# კრიმინალური ავტორიტეტების/ არაფორმალური ჯგუფების გავლენა საარჩევნო პროცესზე



2022 წელი

# კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების გავლენა საარჩევნო პროცესზე

კვლევის ანგარიში

2022 წელი

**კვლევის ავტორები:**

ნატალია ცაგარელი

ნათია იმნაძე

ანტონ (ტატო) ქელბაქიანი

მაია გიგინეიშვილი

სოციოლოგი - იაგო კაჭკაჭიშვილი

*კვლევა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციების "პრევენცია პროგრესისთვის" (PFP) (ყოფილი „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის" RIVG) და „დემოკრატიისა და უსაფრთხოების განვითარების ინსტიტუტის (IDSD)" მიერ „ღია საზოგადოების ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან ავტორები და გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს „ღია საზოგადოების ფონდის" პოზიციას.*

სარჩევი

1. შესავალი 4

2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია 5

3. კვლევის შეზღუდვა 7

4. კვლევის ძირითადი მიგნებები 7

5. კვლევის ძირითადი ნაწილი 12

5.1 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 12

5.1.1 წინასაარჩევნო გარემო 12

*5.1.1.1 სამაგიდე კვლევის შედეგები* ........ 12

*5.1.1.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები* ........ 22

5.1.2 კენჭისყრის დღე 30

*5.1.2.1 სამაგიდე კვლევის შედეგები* ........ 30

*5.1.2.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები* ........ 35

5.2 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 38

5.2.1 წინასაარჩევნო გარემო 38

*5.2.1.1 სამაგიდე კვლევის შედეგები* ........ 38

*5.2.1.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები* ........ 45

5.2.2 კენჭისყრის დღე 49

*5.2.2.1 სამაგიდე კვლევის შედეგები* ........ 49

*5.2.2.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები* ........ 56

5.3. სახელმწიფო უწყებების რეაგირება 61

5.3.1 საკანონმდებლო ჩარჩო 61

5.3.2 სამაგიდე კვლევის მიგნებები 62

5.3.3 ჩაღრმავებული ინტერვიუების მიგნებები 64

1. შესავალი

მოქალაქეების საარჩევნო უფლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებაა. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ საარჩევნო სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების თავისუფალი ნების გამოხატვა. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობისა და ამ პროცესში ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა; ამომრჩევლები არ უნდა დაექვემდებარონ რაიმე სახის შევიწროებას, დაშინებას და იძულებას; ამომრჩევლის დაშინება ან მასზე ძალადობა, მისი ნების თავისუფალი გამოხატვის პროცესში, უნდა აიკრძალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ეს კანონმდებლობა ზედმიწევნით უნდა აღსრულდეს. სახელმწიფოებმა არჩევნებში მონაწილეებისთვის უნდა უზრუნველყონ ძალადობისა და ზეწოლისგან თავისუფალი გარემო როგორც საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ისე ხმის მიცემის პროცესში.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ძირითად დებულებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ამომრჩევლების თავისუფალი ნების გამოვლენა საარჩევნო პროცესში. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და უზრუნველყოფილია ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენა. გარდა ამისა, კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია არჩევნებში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა; წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა; ამომრჩევლის მოსყიდვა.

მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული დებულებებისა, საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესები დღემდე გაუმართავია. როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და რიგითი მოქალაქეების მუდმივ წუხილს წარმოადგენს ამ პროცესში კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა და მათი კავშირი ოფიციალურ უწყებებთან/პირებთან. როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების, ასევე 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში არაერთი საჯარო განცხადება გაკეთდა ასეთი სახის კავშირების არსებობის თაობაზე. გარდა ამისა, სხვადასხვა მედია საშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, სადაც მიუთითებდნენ კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების ჩართულობაზე ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზეგავლენის მიზნით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ არ იყო განხორციელებული საარჩევნო პროცესებში კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობის ანალიზი, რომლის საშუალებითაც შეფასდებოდა მათი ჩართულობა საარჩევნო პროცესებში და თანამშრომლობის მასშტაბები ოფიციალურ თანამდებობის პირებთან. თუმცა ანალიზის პროცესმა ასევე აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში, მმართველი პარტიის აქტივი, სახელმწიფო მოხელეები, არაფორმალური ჯგუფები და კრიმინალური ავტორიტეტები იმდენად ერთგვაროვნად მოქმედებენ, რომ ერთი მხრივ, რთულია იმის გარჩევა, თუ ვინ წარმოადგენს ოფიციალურ თანამდებობის პირს და ვინ - კრიმინალურ ავტორიტეტს/არაფორმალური ჯგუფის წარმომადგენელს, მეორე მხრივ კი, აღნიშნული ჯგუფების ქმედებებს შორის მსგავსება/სინქრონულობა შეთანხმებულ და ერთიან სტრატეგიაზე აჩენს ეჭვს.

## 2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

**ა) კვლევის მიზანს წარმოადგენდა** - საარჩევნო პროცესში კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების ჩართულობისა და გავლენის შეფასება და პრობლემის გადაწყვეტის გზების დასახვა არაფორმალური გავლენების შემცირებისა და საარჩევნო პროცესის გაჯანსაღების ხელშეწყობის მიზნით.

**ბ) პროექტის ამოცანებს წარმოადგენდა** - 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში (წინასაარჩევნო პერიოდი; კენჭისყრის დღე) კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების ჩართულობის შეფასება; კვლევის საბოლოო ანგარიშის და რეკომენდაციების მომზადება.

**გ) კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები - **სამაგიდე** კვლევა და **ჩაღრმავებული ინტერვიუ.** ანალიზის შედეგად შეფასდა როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების, ასევე 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემო და კენჭისყრის დღე.

**სამაგიდე კვლევის** ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების კვლევების/ანგარიშების და სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზი, რომლებიც უკავშირდებოდა 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს; გარდა ამისა, განხორციელდა მედიაში გავრცელებული ინფორმაციის და საჯარო/სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი, რომელიც ასევე უკავშირდება აღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებულ პროცესებს.

**ჩაღრმავებული ინტერვიუების** ფარგლებში გამოიკითხნენ კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტები (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე) და ადგილობრივი/საერთაშორისო არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე, სამოქალაქო აქტივისტები. რესპონდენტების შერჩევისას გათვალსწინებული იქნა მათი გამოცდილება როგორც 2020 წლის საპარლამენტო, ასევე 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განხორციელდა იმ პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლების გამოკითხვაც, ვინც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სხვა პოლიტიკური პარტიის სახელით მოქმედებდა, თუმცა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უკვე ახალი პოლიტიკური სუბიექტების სახით მიიღეს მონაწილეობა.

ინტერვიუები განხორციელდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, რომლებიც შემუშავდა სამაგიდე კვლევის შედეგების საფუძველზე. გამოკითხვის პროცესი განხორციელდა ორ ეტაპად - **2021 წლის სექტემბერში** (2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში) და **2021 წლის ნოემბერში** (2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურების კენჭისყრის დასრულების შემდეგ). ჩაღრმავებული ინტერვიუების მეორე ეტაპზე გამოიკითხნენ იმ პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები, ვინც პირდაპირ ან/და სხვა

პოლიტიკურ სუბიექტებთან კოალიციაში, მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკითხნენ შემდეგი პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები:

- “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 5 რესპონდენტი (3 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 2 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” – 4 რესპონდენტი (3 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- პოლიტიკური პარტია „ლელო“- 4 რესპონდენტი (3 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- “მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლი” - 2 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე);
- „ელენე ხოშტარია - დროა“ - 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე);
- „გირჩი“ - 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე);
- „გირჩი-მეტი თავისუფლება“ - 2 რესპონდენტი (1 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- „გახარია - საქართველოსთვის“ - 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე);
- „ლეიბორისტული პარტია“ - 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე).

არასამთავრობო/საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების და სამოქალაქო აქტივისტების წარმომადგენლების შემთხვევაში, რესპონდენტების ნაწილი - ჩაღრმავებული ინტერვიუების პირველ ეტაპზე, ნაწილი - მეორე, ხოლო ნაწილი ორივე ეტაპზე გამოიკითხა.

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი - 2 რესპონდენტი (1 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება - 2 რესპონდენტი (1 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- „საერთაშორისო გამჭირვალეობა - საქართველო“- 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე);
- ადამიანის უფლებათა ცენტრი - 2 რესპონდენტი (1 რესპონდენტი პირველ ეტაპზე, 1 რესპონდენტი მეორე ეტაპზე);
- „სამოქალაქო პლატფორმა 20/20“ - 1 რესპონდენტი (მეორე ეტაპზე);
- „ეი პი ემ ჯორჯია“ - 1 რესპონდენტი (მეორე ეტაპზე);
- სამოქალაქო აქტივისტი - 1 რესპონდენტი (პირველ ეტაპზე).

ჯამში გამოიკითხა **31 რესპონდენტი**. 21 რესპონდენტი გამოიკითხა პირველ ეტაპზე (2021 წლის სექტემბერში), ხოლო 10 რესპონდენტი - მეორე ეტაპზე (2021 წლის ნოემბერში, მეორე ტურების შემდეგ).

კვლევის ანგარიშში სამაგიდე და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები ცალ-ცალკეა გაანალიზებული და ასახული.

## 3. კვლევის შეზღუდვა

ა) ანალიზის განხორციელების პროცესში, ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში რესპონდენტების გამოკითხვის მიზნით, კვლევით გუნდს კომუნიკაცია ჰქონდა ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტთან. კომუნიკაციის მიუხედავად, გამოკითხვის პროცესში მონაწილეობა არ მიიღეს პოლიტიკური პარტია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქების“, წარმომადგენლებმა.

ბ) საჯარო ონფორმაციის გამოთხოვის მიზნით, კვლევითი გუნდმა წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია საარჩევნო პროცესებში სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით რეაგირების თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული საჯარო ინფორმაცია არ მოუწოდებია, რის გამოც ეს მონაცემები არ არის ასახული კვლევაში.

გ) 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში გამოვლენილ კანონდარღვევებზე შესაბამისი უწყებებისადმი მიმართვებისა და სამართლებრივი რეაგირებების თაობაზე ინფორმაციის მიღება ასევე ვცადეთ პოლიტიკური პარტიებისგან, თუმცა არცერთ მათგანს აღნიშნული ინფორმაცია არ მოუწოდებია.

დ) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, ანგარიშში ძირითადად საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინასწარი ანგარიშები და შეფასებებია ასახული, ვინაიდან კვლევის მომზადების პროცესში, საბოლოო ანგარიშები არ იყო გამოქვეყნებული.

ე) საარჩევნო პროცესებში არსებულ დარღვევებზე სახელმწიფო უწყებების რეაგირება ძირითადად 2020 წლის საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით გაანალიზდა, ვინაიდან კვლევის დასრულების მომენტისთვის 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების შეფასება, ადგილობრივი არჩევნებიდან მცირე დროის გასვლის გამო, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო.

## 4. კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ძალიან ხშირად, არჩევნების შედეგების გაყალბების მცდელობა და გაყალბების პროცესი არა უშუალოდ არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ხორციელდება. გაყალბების მექანიზმები შესაძლოა მოიცავდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ამომრჩევლის მოსყიდვას, დაშინებას, ამომრჩეველზე ზეწოლას, სხვადასხვა ტიპის დაპირებებსა და მუქარას.

კვლევამ აჩვენა, რომ, 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ფაქტობრივად იდენტური ტიპის გამოწვევებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, **კვლევის ძირითადი მიგნებები ორივე არჩევნებთან არის დაკავშირებული.** ამასთან, წინამდებარე დოკუმენტი

მოიცავს იმ მცირედი სახის განსხვავებებსაც, რომლებიც 2020 და 2021 წლების არჩევნებთან მიმართებით გამოვლინდა.

წინასაარჩევნო გარემო, ორივე შემთხვევაში, მმართველ პარტიასა და სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის უთანასწორო შესაძლებლობებით ხასიათდებოდა. კვლევიდან იკვეთება, რომ ხელისუფლება, ხმების მოსაპოვებლად, აქტიურად იყენებდა მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსით სარგებლობის, დაშინებისა და იძულების გზებს. რესპონდენტებმა დაასახელეს კონკრეტული ფაქტები, მმართველი პარტიის მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ცალკეული მუნიციპალური სერვისის თუ სოციალური დახმარების შეწყვეტის მუქარის შესახებ, ასევე, ხმის სანაცვლოდ, დასაქმების, ცალკეული სამედიცინო მომსახურების მუნიციპალური თანხებიდან დაფინანსების ან სხვა ტიპის დახმარების დაპირებების თაობაზე.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2020 წლის და 2021 წლის არჩევნების პერიოდში არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და სამოქალაქო აქტივისტები, არამედ ჟურნალისტები და დამკვირვებლებიც საკმაოდ ხშირად გახდნენ **ძალადობისა და ზეწოლის მსხვერპლი,** რაზეც სამართალდამცავ ორგანოებს სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ. აღნიშნული სამართალდარღვევის ჩამდენები, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალური სუბკულტურის წევრები - უბნის ავტორიტეტები, ე.წ. „ძველი ბიჭები“ და სხვა არაფორმალური ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც აშკარად და ღიად მოქმედებდნენ მმართველი პარტიის სასარგებლოდ და ზოგჯერ, მისი სახელითაც კი.

მნიშვნელოვანია აქვე განიმარტოს, **თუ ვინ შეიძლება მიიჩნეოდეს კრიმინალურ ავტორიტეტად/არაფორმალური ჯგუფის წამომადგნელად.** კვლევამ აჩვენა, რომ ამ ჯგუფების ჩართულობის შესაფასებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, რა სტატუსით სარგებლობენ ეს პირები კრიმინალური სუბკულტურის იერარქიაში. რასაკვირველია, ამ პროცესში კონკრეტული სტატუსის მქონე კრიმინალური ავტორიტეტები, ე.წ „მაყურებლები“ და „უბნის ავტორიტეტებიც“ იყვნენ ჩართულნი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ ჯგუფებსა და საჯარო მოხელეებს/მმართველი პარტიის წევრებს/აქტივისტებს შორის ზღვარი ფაქტობრივად წაშლილი იყო - ისინი ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად, ერთმანეთის ანალოგიური მეთოდებით მოქმედებდნენ. იგივე უნდა ითქვას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზეც, რომელიც, როგორც კვლევის შედეგად გამოჩნდა, კრიმინალური ავტორიტეტების პარალელურად, განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული ოპოზიციური კანდიდატებისა და ამომრჩევლების დაშინებისა და მათზე ზეწოლის პროცესში.

კვლევამ ცხადყო, რომ ე.წ. **კრიმინალური ავტორიტეტები/არაფორმალური ჯგუფები** მოქმედებდნენ როგორც წინასაარჩევნო პროცესში, ისე უშუალოდ არჩევნების დღეს. რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ ხელისუფლებასთან. მათი აქტივობა, როგორც წესი, არჩევნებამდე 30 დღით ადრე იწყებოდა, ხოლო განსაკუთრებულ მასშტაბს არჩევნებამდე 7-10 დღით ადრე იძენდა. კრიმინალური ავტორიტეტების ზეგავლენა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში, კვლავაც აქტუალურია, ამ ჯგუფების მიერ გამოყენებული ზემოქმედების ბერკეტები კი საკმაოდ მრავალფეროვანი.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის ფარგლებში არჩევნების პროცესში „მაღალი ავტორიტეტის მქონე“ კრიმინალური ავტორიტეტების - **„კანონიერი ქურდების“ ჩართულობის შემთხვევებიც გამოიკვეთა.** რესპონდეტების ნაწილის განმარტებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ე.წ. „კანონიერ

ქურდები“, ე.წ. „პრაგონით“[1] ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ადგილებზე ქალაქების, თუ უბნის მაყურებლები, ასევე ყველა ის დაჯგუფება, რომელიც ამ სუბკულტურას მიაკუთვნებს თავს ან მის მიმართ პატივისცემით არის განმსჭვალული, არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატს უნდა დახმარებოდა. „კანონიერი ქურდების“ ასეთი ფორმით ჩართულობა განსაკუთრებით იმ რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში გამოიყენებოდა, სადაც, ერთი მხრივ, სახელისუფლებო პარტიის ხმების მობილიზება უფრო პრობლემური იყო, ხოლო მეორე მხრივ, ამ კონკრეტულ რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება, "კანონიერი ქურდების" ჩართულობის შემთხვევაში, ამომრჩევლის თავისუფალ ნებაზე ზემოქმედების შესაძლებლობებს ზრდიდა.

კვლევამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში, კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების მიერ ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მთავარ საშუალებას არა ფიზიკური ძალადობის, არამედ **ფსიქოლოგიური ძალადობის, ზეწოლის და დაშინების მეთოდები წარმოადგენდა**.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც აღნიშნული ჯგუფები იყენებდნენ, ოპოზიციის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე, პროვოკაციის მოწყობისა და შეხვედრის ჩაშლის მიზნით, **„უბნის ავტორიტეტების“** ახლო დისტანციაზე შეჯგუფება, ხმამაღალი გინება და გამომწვევი ქცევა იყო.

**ფსიქოლოგიური ძალადობის** ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენდა, როდესაც ე.წ. „უბნის ავტორიტეტები“ როგორც ოპოზიციის წინასაარჩევნო შეხვედრებზე, ასევე არჩევნების დღეს, უბნებთან აქტიურად გამოჩენით ცდილობდენ, ზემოქმედება მოეხდინათ ოპოზიციურად ან ნეიტრალურად განწყობილ ამომრჩეველზე. კენჭისყრის დღეს ისინი საარჩევნო უბანთან ჯგუფდებოდნენ, რითიც ამომრჩეველს მიანიშნებდნენ, რომ თვალყურს ადევნებდნენ ხმის მიცემის პროცესს და ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ აკონტროლებდნენ ამომრჩევლის ხმის მიცემის საკითხს.

ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მუქარის შედეგია, ასევე, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან საკმაოდ **ბევრმა ოპოზიციურმა კანდიდატმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა**.

**როგორც კვლევამ აჩვენა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სწორედ ხმის მიცემის ფარულობის მიმართ ამომრჩევლის სკეპტიციზმი წარმოადგენს** - გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბნებზე ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების“ მიერ შექმნილმა დაძაბულობამ აიძულა ოპოზიციური განწყობის ამომრჩეველი, საარჩევნო **უბნიდან უკან გაბრუნებულიყო და უარი ეთქვა მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებაზე.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებით საგულისხმოა კვლევის შედეგად გამოკვეთილი ტენდენცია - სულ უფრო გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს **ფიქტიური არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაცია** და მათი წარმომადგენლების უკვე ოფიციალურად, დამკვირვებლის სტატუსით მობილიზება უბნებზე. კვლევის რესპონდენტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ „კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების“ წარმომადგენლები საარჩევნო უბნებზე უკვე მოქმედებდნენ, როგორც ოფიციალური სტატუსის მქონე

---

[1] კრიმინალური ჟარგონი, რომელიც აღნიშავს კრიმინალური სუბკულტურის მაღალი იერარქიის წარმომადგენლის მითითების ან სხვა სახის სპეციფიკური ინფორმაციის გავრცელებას სუბკულტურის სხვა წევრებს/პატიმრებს შორის.

პირები და ამ ფორმით ცდილობდნენ ამომრჩევლების თავისუფალ ნებაზე ზემოქმედებას, სხვა დამკვირვებლების პროვოცირებას მათი საარჩევნო უბნიდან გაძევების მიზნით და სხვა.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა **ამომრჩევლის მოსყიდვის** იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც გარკვეულ პირებს/ჯგუფებს, ხელისუფლების სასარგებლოდ აქტიურობისთვის, ოჯახის წევრის ან მეგობრის **პატიმრობიდან გათავისუფლებას სთავაზობდნენ.** აღნიშნული ფაქტების თაობაზე რესპონდენტებმა მიუთითეს როგორც 2020, ასევე 2021 წლის არჩევნების პროცესთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეთა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ზოგ შემთხვევაში, გარკვეულ პირებს შეგნებულადაც კი აკავებდნენ წინასაარჩევნოდ, რათა დაკავებულის ოჯახის წევრები და მეგობრები, მისი გათავისუფლების სანაცვლოდ, მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმების მობილიზების პროცესში ჩაერთოთ.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა ნაწილმა ისაუბრა **ამომრჩევლის მოსყიდვის** შემთხვევებზე, რომლებშიც გამოყენებული იყო **ნარკოტიკული საშუალებების დარიგებ**ა და ამ ფორმით კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების მოტივირება სახელისუფლებო პარტიის თუ კანდიდატების მხარდაჭერის პროცესში აქტიური ჩართულობისთვის. მედია საშუალებებით გაშუქდა და რამდენიმე რესპონდენტმაც ისაუბრა შემთხვევებზე, როდესაც უშუალოდ საარჩევნო უბნებეზე, კენჭისყრის მიმდინარეობისას, გაშლილი იყო სუფრები, სადაც ამომრჩევლების „პატივისცემა“, არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატის სასარგებლოდ ხმის მიცემის სანაცვლოდ, საკვებისა და ალკოჰოლის მეშვეობით ხდებოდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს თითქმის ყველა ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით მიეწოდებოდათ ინფორმაცია, პოლიტიკური პარტიებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები საჯარო განცხადებებსაც აკეთებდნენ ყველა ინციდენტთან დაკავშირებით, თუმცა ამ ფაქტებზე, როგორც წესი, **სათანადო რეაგირება არ ხდებოდა.** უმეტეს შემთხვევებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღეს მომხდარ ინციდენტებს ყოფითი სახის დაპირისპირებებად აკვალიფიცირებდა და გამოძიებასაც შესაბამისი მუხლებით იწყებდა, რომლებიც კავშირში არ იყო არჩევნების პროცესებთან. ამ ეტაპზე უცნობია 2021 წელს ძალადობრივ ფაქტებზე დაწყებული გამოძიების შედეგები. რესპონდენტების დიდი ნაწილის გადმოცემით, რასაც მედიით გაშუქებული ფაქტებიც ცხადყოფს, იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციელები თავად შეესწრნენ ე.წ. „კრიმინალური ჯგუფების“ თუ 'უბნის ავტორიტეტების“ მხრიდან მოქალაქეებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებზე ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, თუმცა, ზოგჯერ, უსაფუძვლო ფორმალური მიზეზით (განცხადების დაწერის აუცილებლობა, ხელმძღვანელის მითითება და სხვა), რეაგირებას არ ახდენდნენ, ან მხოლოდ დაზარალებულის „გამოკითხვით“ იფარგლებოდნენ.

კვლევამ აჩვენა, რომ მართალია, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური სუბიექტების უმრავლესობას კარგად აქვს გააზრებული, თუ რა სახის პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური ავტორიტეტების ჩართულობა. თუმცა, დღემდე არ არსებობს პრობლემის მოგვარების ერთიანი სტრატეგიული ხედვა. აღნიშნულ ფენომენზე რეაგირება, ხშირ შემთხვევაში, ამ პრობლემის მშრალი აღწერით, მედია საშუალებებით გაშუქებით და ცალკეულ ინციდენტებთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვით შემოიფარგლება. შესაბამისად, პრობლემის მოგვარების ნაცვლად, როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, იგი სულ უფრო მწვავდება და ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის ახალ ფორმებსა და მეთოდებს იძენს.

რეკომენდაციები:

*საქართველოს პარლამენტს:*

- სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არასათანადო რეაგირების პირობებში, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომლის ფუნქციაც იქნება საარჩევნო პროცესებში არსებული დარღვევების გამოვლენა, მათ შორის, ამ პროცესში კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების ჩართულობის ფორმებისა და მასშტაბების შეფასება.

*საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:*

- უზრუნველყოს საარჩევნო პროცესში მომხდარ ძალადობრივ ფაქტებსა და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ სხვა სამართალდარღვევებზე შესაბამისი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭება და მათი სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება;

- უზრუნველყოს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება და საზოგადოების ინფორმირება აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებაში გატარებული ღონისძიებებისა და შედეგების თაობაზე;

*საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:*

- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლების ჩარევის პრევენციას, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში ასევე, არჩევნების მიმდინარეობისას.

*პოლიტიკურ პარტიებს:*

- შეიმუშაონ სტრატეგია, საარჩევნო პროცესში კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების ჩართულობის აღკვეთისა და მათი გავლენის შემცირების მიზნით, მათ შორის, აღნიშნულის გათვალისწინებით მოამზადონ/გადაამზადონ დამკვირვებლები.

- შეძლებისდაგვარად დაწვრილებით აღრიცხონ ყოველი ასეთი ფაქტი და მათზე წერილობით მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე, ინფორმაცია მიაწოდონ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებს და მედია საშუალებებს.

- არჩევნების დასრულების შემდგომ მოახდინონ საკუთარ საჩივრებზე/განცხადებებზე სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების უწყვეტი მონიტორინგი.

5. კვლევის ძირითადი ნაწილი

## 5.1 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები

### 5.1.1 წინასაარჩევნო გარემო

#### *5.1.1.1 სამაგიდე კვლევის შედეგები*

ნიშანდობლივია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების (წინასაარჩევნო პერიოდი, კენჭისყრის დღე) შესახებ ანგარიშებში უკლებლივ ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაცია მნიშვნელოვან დარღვევებზე, მათ შორის, ძალადობისა და დაშინების ფაქტებზე საუბრობს. ეს ფაქტები აქტიურად შუქდებოდა მედიის საშუალებითაც. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის გამო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლები შეზღუდული რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი, რის გამოც მათი შეფასებები ძირითადად ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებს ეყრდნობა.

**ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE-ODHIR) შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის** შეფასებით, *"შეკრების, გაერთიანების და გამოხატვის თავისუფლებები უმეტესწილად დაცული იყო და საარჩევნო სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად და არასათანადო შეზღუდვების გარეშე ჩატარების საშუალება ზოგადად ჰქონდათ. თუმცა, ფართოდ ვრცელდებოდა ცნობები პარტიების მხარდამჭერებსა და საჯარო სექტორში დასაქმებულების დაშინების შესახებ. მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე არსებულ კარგ პრაქტიკას ეწინააღმდეგება."*[2]

**ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI)** წინასაარჩევნო კამპანია ღიად და პლურალისტურად მიიჩნია, თუმცა აღნიშნა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატა დაძაბულობამ და თავდასხმებმა. ამავე შეფასებაში საუბარია სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებასა და ამომრჩეველთა მოსყიდვის თაობაზე.[3]

**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)** არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისიის შუალედურ ანგარიშში ყველაზე შემაშფოთებელ დარღვევებად შეფასებულია ადმინისტრაციული

---

[2] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, საქართველო, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, გვ. 4-5.

[3] ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ანგარიში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, 2 ნოემბერი 2020 წ., გვ.2: *"მართალია კამპანია ღია და პლურალისტური იყო, თუმცა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად დაძაბულობამ და თავდასხმების შემთხვევებმა იმატა. პარტიებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და მედია გამოცემებმა კამპანიის პერიოდში ძალადობის და დაშინების მრავალი შემთხვევა დააფიქსირეს. ვრცელდებოდა ბრალდებები სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების შესახებ. ასევე, საკმაოდ ხშირი იყო ცნობები ამომრჩეველთა მოსყიდვის თაობაზე."*

რესურსის გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ამომრჩევლებზე და დამკვირვებლებზე ზეწოლა, ოქმებთან დაკავშირებული მანიპულაციები.[4] ანგარიშში საუბარია იმგვარ სერიოზულ დარღვევებზე, როგორებიცაა თავდასხმა კამპანიის აქტივისტებზე, ქონების დაზიანება და ე.წ. ათლეტების რეკრუტირება ამომრჩევლის დასაშინებლად.[5] ანგარიშში განსაკუთრებული შეშფოთებაა გამოთქმული ჟურნალისტების მიმართ ძალადობის ფაქტებზე.[6]

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების** საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია რომ, *„საარჩევნო გარემოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ამომრჩეველზე, აქტივისტებზე, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე განხორციელებული ზეწოლა/მუქარა/ხელის შეშლის ფაქტები წარმოადგენდა. ამგვარი შემთხვევების რაოდენობამ მკვეთრად იმატა კენჭისყრის დღის მოახლოებისას და დააზიანა საარჩევნო პროცესი - ერთი მხრივ, გაართულა პოლიტიკოსების დაუბრკოლებელი კომუნიკაცია მოსახლეობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოხატვას წინასაარჩევნო პერიოდში.“*[7]

**საქართველოს სახალხო დამცველის** 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების უკიდურესად დაძაბული გარემო, ფიზიკური დაპირისპირებებისა და ძალადობის ფაქტები, მათ შორის, თავდასხმა ჟურნალისტებზე.[8]

2020 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა **სამი ავტორიტეტული ადგილობრივი ორგანიზაციის** 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასების დოკუმენტი, რომელშიც ასევე საუბარია ზეწოლისა და მუქარის გახშირებულ შემთხვევებზე, ადგილობრივი აქტივისტების შევიწროებასა თუ მოქალაქეების დაშინებაზე, რომ მათ თავისუფლად ვერ გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები.[9]

---

[4] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში, გვ. 3.

[5] იქვე, გვ. 7.

[6] იქვე, გვ. 8, გვ. 16.

[7] იქვე, გვ. 30.

[8] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, გვ.23: *„2020 წლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო საპარლამენტო არჩევნების სამართლიან და თანასწორ გარემოში ჩატარება. საპარლამენტო არჩევნები წინა გამოცდილებების მსგავსად, კვლავ უკიდურესად დაძაბულ გარემოში ჩატარდა. გამოვლინდა ფიზიკური დაპირისპირებებისა და ძალადობრივი ინციდენტების, მათ შორის, მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტები. საჯარო წყაროებით ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა სუბიექტებს შორის დაპირისპირების, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის, ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის, ამომრჩევლის მოსყიდვის შესაძლო შემთხვევების თაობაზე; ყოველივე ეს ნეგატიურად აისახა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარების საჯარო ინტერესზე; საარჩევნო უფლების რეალიზაციაზე გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამაც.”*

[9] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება, 29 ოქტომბერი 2020 წელი : *„2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ამომრჩევლებზე, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, დამკვირვებლებზე, აქტივისტებზე და მედია საშუალებების წარმომადგენლებზე განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის გახშირებული შემთხვევები იყო. საარჩევნო კამპანიის პერიოდში ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის ზეწოლის, მუქარისა და სამსახურიდან გათავისუფლების 80-ზე მეტი ფაქტის შესახებ გახდა ცნობილი. დამკვირვებლები მრავლად იღებდნენ ინფორმაციას ოპოზიციური პარტიების ადგილობრივი აქტივისტების თვალთვალის შესახებ, ხვდებოდნენ მოქალაქეებს, რომლებიც სოციალური შემწეობის, საჯარო სამსახურში ადგილის დაკარგვის თუ სხვა მიზეზით, პოლიტიკურ შეხედულებებს ღიად ვერ გამოხატავდნენ; არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად გავრცელდა ინფორმაცია ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა არჩევნებზე გავლენის მოხდენის მიზნით საგანგებო დავალებით რეგიონებში მივლინების შესახებ ხელმძღვანელობისგან მიღებული დირექტივით, რომ*

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED)** ანგარიშში აღნიშნულია, რომ საარჩევნო პერიოდში გამოვლინდა მოქალაქეების, მათ შორის, დამკვირვებლების, აქტივისტებისა და ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური დაპირისპირების, ზეწოლისა და მუქარის შემთხვევები და ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემური რეგიონები იყო.[10] ანგარიშის მიხედვით, წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში ორგანიზაციამ ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის 19,[11] ზეწოლა/მუქარა/ხელის შეშლის 90,[12] ხოლო ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის 64 ფაქტი გამოავლინა.[13] ორგანიზაციის შეფასებით, წინასაარჩევნო კამპანია თავიდან მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად მკვეთრად იმატა ძალადობრივმა ინციდენტებმა, ოპოზიციის მხარდამჭერთა შევიწროებისა და მათზე ზეწოლისა თუ მუქარის შემთხვევებმა.*[14]*

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია)** ანგარიშში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საიამ აღრიცხა ზეწოლის, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსა და აქტივისტებზე თავდასხმის, ოფისების დარბევისა და ძალადობის არაერთი შემთხვევა. საია მიიჩნევს, რომ განსაკუთრებით შემაშფოთებელი ამ პროცესებში საჯარო პირების მონაწილეობა იყო. საიას შეფასებით, აღნიშნული ინციდენტების უმრავლესობა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გამოძიება ჭიანურდება და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი კვლავაც არ დამდგარა.[15]

**საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს (TI)** ანგარიშშიც საუბარია როგორც ძალადობაზე, ისე პოლიტიკური ოპონენტების ოფისების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტებზე. ანგარიშში განსაკუთრებით არის აღნიშნული მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მომხდარი ჯგუფური ძალადობის რამდენიმე ფაქტი, ასევე საუბარია ოპოზიციური პარტიების შტაბებზე თავდასხმებზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოწოდებული ინფორმაციით, 20 ოქტომბრის მდგომარეობით, გამოძიება 59 საქმეზე იყო დაწყებული, რომელთაგან 9 საქმეში დადგა კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი.[16]

---

*მმართველი პარტიისთვის ხმების მობილიზებისთვის საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ზეწოლის და მუქარის ბერკეტი. აღნიშნულს ყალბ ამბად აფასებს შსს და საქმეზე გამოძიება არ დაუწყია."*

[10] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) - საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2020.pdf, გვ. 6: *"საარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებით რეგიონებში, გამოწვევად რჩებოდა ფიზიკური დაპირისპირების, ზეწოლის/მუქარის შემთხვევები. მათ შორის ადგილი ჰქონდა „სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლებზე ზეწოლის მცდელობას, ასევე სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობრივ ქმედებებს. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ქალი კანდიდატების მიმართ არაკეთილგანწყობილი გარემო, რაც, ხშირად, გამოიხატებოდა სოციალურ ქსელში მიმდინარე დისკრედიტაციითა და მუქარით. ასევე, გავრცელდა პირადი ცხოვრებით შანტაჟის შესახებ ცნობებიც;"*

[11] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) - საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2020.pdf, გვ. 29.

[12] იქვე, გვ. 30.

[13] იქვე, გვ. 34.

[14] https://drive.google.com/file/d/1LFAfEYXTQILklgpjyX3hLQOMDt12_rNl/view, გვ. 28-29.

[15] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020, გვ. 6.

[16] "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო", "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში", დეკემბერი 2020 წელი, გვ. 4.

ზემოაღნიშნული პრობლემა ხაზგასმულია **სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების** (ISFED) საბოლოო ანგარიშშიც: *„ოპოზიციური პარტიები, მთელი საქართველოს მასშტაბით, მიუთითებდნენ მათ აქტივისტებზე განხორციელებულ ზეწოლა/მუქარის ფაქტების შესახებ, რის გამოც უჭირდათ თანამშრომლების მოძებნა და წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება. ისინი საუბრობდნენ ლიდერებისა და წევრების თვალთვალზე, მოსახლეობასთან შეხვედრებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დასწრებაზე. მათი თქმით, რეგიონებში, სააგიტაციო შეხვედრებს, ხშირად, „ქართული ოცნების" აქტივისტები ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები აკონტროლებდნენ და იქ მყოფ მოქალაქეებს აღრიცხავდნენ, რაც უარყოფითად მოქმედებდა ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურ აქტიურობაზე."*[17] *აღნიშნული ორგანიზაციის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ - „პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხშირად, საუბრობდნენ მერიის თანამშრომლების, განსაკუთრებით, კი, მერის წარმომადგენელთა მიერ, აქტივისტების დაშინებასა და სოციალური დახმარების ჩამორთმევის მუქარაზე. პოლიტიკოსები არ ასახელებდნენ ამ პირთა ვინაობას, რათა დაეცვათ ისინი მოსალოდნელი ზეწოლისგან. შესაბამისად, რთულია მსგავს ფაქტებზე რეაგირება, რადგან სავარაუდო დაზარალებულები, მეტი პრობლემის შექმნის შიშით, უარს აცხადებენ საჯაროდ გამოჩენაზე."*[18]

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მეორე შუალედურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საარჩევნო კამპანიისას დაშინებასა და ზეწოლაზე რამდენჯერმე ისაუბრა პარტია „ლელომ". ერთ-ერთ შემთხვევაში, მათი წარმომადგენლის განცხადებით, „ქართული ოცნების" კოორდინატორი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი სოციალური დახმარებისა და უფასო სასადილოს სერვისზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვით დაემუქრნენ მათ წევრს, თუ იგი ოპოზიციის მხარდაჭერას განაგრძობდა.[19] ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საიასთვის ცნობილი გახდა „ქართული ოცნების" მხრიდან საჯარო მოხელეების სავარაუდო მობილიზების შესახებ, დაშინებისა და იძულების გზით. გავრცელებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც მმართველ პარტიაში შეიტყვეს, რომ თბილისის უბანს აგებდნენ, კოორდინატორებს დაევალათ საჯარო მოხელეების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხმების მოპოვების მიზნით.[20]

2012 წლის 12 ოქტომბერს, "ლელოს" მაჟორიტარობის კანდიდატების განცხადებით, წალენჯიხაში, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის და მარტვილის საარჩევნო ოლქის კანდიდატის თამარ ზელქანიას პრესმდივანს დიმა კვარაცხელიას, რომელიც ამასთანავე ადგილობრივი მედიასაშუალების "ჯვარინიუსის" ჟურნალისტია, "ქართული ოცნების" შტაბის წარმომადგენელი, გულბაათ ქარდავა დაემუქრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. "ლელოს" წევრების თქმით, გ.ქ. "ქართული ოცნების"

---

[17] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) - საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2020.pdf, გვ. 30.
[18] იქვე.
[19] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, გვ. 9.
[20] იქვე.

სამეგრელოს ოლქის “ზონდერია”.[21] როგორც **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შუალედურ ანგარიშშია** აღნიშნული, ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საუბრისას დ. კვარაცხელიამ განაცხადა, რომ მუქარის მიზეზი მისი ფეისბუქ სტატუსი იყო, რომელიც მოგვიანებით, მისგან დამოუკიდებლად წაიშალა. მისივე განცხადებით, მისი ფეისბუქ გვერდის გატეხვა ადრეც უცდიათ.[22]

აღსანიშნავია, რომ დ.კვარაცხელია ერთადერთი ჟურნალისტი არ არის, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დაზარალდა. სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში ჟურნალისტებზე თავდასხმის არაერთი შემთხვევაა აღწერილი.[23]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო შტაბის უფროსის და საკრებულოს წევრის მირანდა მირცხულავას ვაჟის, გიორგი გოგავას განცხადებით, 2020 წლის 30 სექტემბერს, სენაკში, სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსანი იარაღის გამოყენებით დაემუქრა. გოგავა ინციდენტს დედის პოლიტიკურ აქტიურობას უკავშირებს.[24] სახალხო დამცველის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 151-ე (მუქარა) და 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) მუხლებით დაიწყო.[25]

2020 წლის 13 სექტემბერს, პარტიამ „ლელო საქართველოსთვის" სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი ლაშა გვასალია მუქარასა და შევიწროებაში დაადანაშაულა. “ლელო საქართველოსთვის" წარმომადგენელთა განცხადებით, ლ.გვასალია მათი პარტიის ქალ წევრებს შეურაცხყოფას აყენებდა და პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროებით ემუქრებოდა. ლელოს ბრალდებებს ლაშა გვასალია უარყოფს და ამბობს, რომ „ლელოს" წევრებმა ხუმრობა შეურაცხყოფად აღიქვეს.[26] **სახალხო დამცველის აპარატის** მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები “ლელოს" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს და ლ.გვასალიას გაესაუბრნენ, რის შედეგადაც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების ფაქტი არ დადასტურდა.[27]

2020 წლის 6 სექტემბერს, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით შანტაჟზე განცხადება „სტრატეგია აღამაშენებლის" ლიდერმაც გააკეთა. გიორგი ვაშაძემ 6 სექტემბერს საჯაროდ განაცხადა, რომ მისი პარტიის წევრს დაემუქრნენ. შედეგად ვაშაძე გამოკითხვაზე დაიბარეს, თუმცა ვაშაძემ გამოკითხვა მაგისტრი მოსამართლის თანდასწრებით მოითხოვა.[28] მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პარტიას

---

[21] https://www.interpressnews.ge/ka/article/623284-lelo-samegrelos-ert-erti-olkis-cevrs-zonderigulbaat-kardava-daemukra/ ; https://rustavi2.ge/ka/news/178503.

[22] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,, 2020 წლის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის III შუალედური ანგარიში, გვ. 10-11

[23] მაგ. “საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს" ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის 16 სექტემბერს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახიდურში ბოლნისის საკრებულოს „ქართული ოცნების" წევრმა ვუგარ ისაევმა მთავარი არხის ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობის შესრულებისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დანით დაჭრით დაემუქრა. იმავე ანგარიშში აღწერილია ტელეკომპანიების “მთავარი არხი" და “პირველი არხი" ჟურნალისტებზე თავდასხმა “ქართული ოცნების" მხარდამჭერთა მხრიდან, რომელიც 2020 წლის 29 სექტემბერს მოხდა მარნეულში.

[24] https://mtavari.tv/news/17578-mukara-enm-s-cevris-shvilze-ojakhi-levan?fbclid=IwAR3CCZ7a8lRr6JcpVie269ITAbhCX82fQvTxZht0AD-kM6Wishli0Pt9k04 ; https://old.newposts.ge/?newsid=241591

[25] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N24/8662, 7 სექტემბერი 2021 წელი.

[26] https://mtavari.tv/news/15716-es-sakaleti-satsodavebi-arian-otsnebis;

[27] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N24/8662, 7 სექტემბერი 2021 წელი.

[28] https://mtavari.tv/news/15034-chven-tanagundels-piradi-tskhovrebis-kadrebit.

სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ მიუმართავს.[29] უცნობია, დაიწყო თუ არა გამოძიება მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

2020 წლის 16 ოქტომბერს, "ევროპული საქართველოს" ოფისში გამართულ ბრიფინგზე, ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა, ნინო გედენიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ მასთან სახლში "ქართული ოცნების" აგიტატორი მივიდა, რომელიც მასზე ზეწოლას ახდენდა და მის სამუშაო ადგილზე მიანიშნებდა.[30]

2020 წლის 22 ივნისს, ტელეკომპანია "ფორმულაზე", გადაცემის "დროება" სიუჟეტი[31] "მამა-შვილი ზონდერები" სწორედ ზემოხსენებულ მოვლენებს მიეძღვნა. მოჭიდავე ფირუზ წულუკიძე საუბრობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის მამის და პოლიციის უფროსის, კონსტანტინე ანანიაშვილის მცდელობაზე, მოეხდინათ ყოფილი და მოქმედი მოჭიდავეების მობილიზება არჩევნებისთვის. სანაცვლოდ, ფირუზ წულუკიძის მტკიცებით, მოჭიდავეების მეუღლეების ანგარიშებზე სახელმწიფო ხაზინიდან 2000-2000 ლარი ჩაირიცხა. კონსპირაციული შეხვედრა, რომელზეც ფ. წ. საუბრობს, მისივე თქმით, 2020 წლის მარტში, აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში გაიმართა.

მოგვიანებით, 29 ივნისს, იმავე ტელეკომპანიის ეთერში გასულ სიუჟეტში[32] საუბარია ფ.წულუკიძის მიმართ მუქარაზე. სიუჟეტის თანახმად, გაცხადებულ მუქარაზე პროკურატურა გამოძიებას არ იწყებს.

საიას სადამკვირვებლო მისიის ანგარიშში ზემოაღნიშნულ ფაქტებზე მითითებულია, რომ *„ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, აკრძალული მეთოდების გამოყენება და სპორტსმენების არაფორმალურ ჯგუფებად მობილიზება სცადა.“*[33]

სამაგიდე კვლევის ფარგლებში, სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზისა და მედია მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში არაერთი ძალადობრივი ინციდენტი მოხდა.

პარტია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან" "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" გადასვლის შემდეგ, დეპუტატობის კანდიდატის, კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერებზე მედიაში გავრცელდა არაერთი ასეთი სახის ინფორმაცია:

- "მთავარი არხის" ეთერში გასული სიუჟეტის მიხედვით, 2020 წლის 15 სექტემბერს, დმანისში, გაურკვეველი პირების ჯგუფი ოქრიაშვილის შტაბთან შეიკრიბა. შტაბის წევრების მიმართ გინებას და სიტყვიერ შეურაცხყოფას ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, რომლის შედეგადაც ერთი პირის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო.[34] ნეტგაზეთის ინფორმაციით, მომხდარზე

[29] https://rb.gy/bpt4va.
[30] https://rb.gy/b78jdn.
[31] https://www.youtube.com/watch?v=u6VV-19LKuE;
[32] https://www.youtube.com/watch?v=ngzjARAPv74;
[33] საია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი 2020 წელი, გვ. 38.
[34] https://www.facebook.com/watch/?v=344554666595530.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე (ძალადობა) და 187-ე (სხვისი ნივთის დაზიანება) მუხლებით დაიწყო;[35]

- 2020 წლის 19 ოქტომბერს, კახა ოქრიაშვილის შტაბის წევრის განცხადებით, მათი მხარდამჭერების მანქანას ბოლნისის შტაბიდან ავტომობილით უცნობი პირები აედევნენ, ჯერ გაჩერება მოსთხოვეს და იარაღიდან ექვსჯერ გაისროლეს ჰაერში, საიდანაც ერთი ტყვია ოქრიაშვილის მხარდამჭერთა მანქანას უკანა ნაწილში მოხვდა. ამის შემდეგ თავდამსხმელებმა დაზარალებულებს მანქანა დააჯახეს.[36] მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო;[37]
- 2020 წლის 20 ოქტომბერს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავშანიანში, ბოლნისის 59-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მამედ შამილოვმა ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ამავე სოფლის პედაგოგს, რომელიც კახა ოქრიაშვილის მხარდამჭერია.[38]

ზემოაღნიშნული ინციდენტების გარდა, მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, წინასაარჩევნო პერიოდში, კ. ოქრიაშვილის საარჩევნო შტაბის დარბევის თაობაზე (იხ ქვემოთ).

2020 წლის 19 ოქტომბერს, თბილისში, იოსებიძის ქუჩაზე ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშიას" აქტივისტს, ლაშა ცუცქირიძეს, რის შედეგადაც მან თავისა და სახის არეში დაზიანება მიიღო.[39] რადიო "თავისუფლების" ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ჯგუფური ძალადობა) დაიწყო.[40]

2020 წლის 24 სექტემბერს, თბილისში, ღამით, როცა ოპოზიციის აქტივისტი ნინია ცისკარიშვილი საარჩევნო შტაბიდან სახლში ბრუნდებოდა, კუკიის დასახლებაში უცნობმა პირმა ძლიერად უბიძგა და მიწაზე დააგდო. დაზარალებულის თქმით, თავდამსხმელები ორნი იყვნენ და ისინი აშკარად არ მოქმედებდნენ ძარცვის მიზნით - მათ არც ჩანთა წაუღიათ და არც მობილური ტელეფონი, რომელიც ინციდენტის შედეგად დაიმტვრა.[41] საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი და 187-ე მუხლის პირველი ნაწილებით დაიწყო.[42]

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრის, თინა ბოკუჩავას განცხადებით, ლ. ცუცქირიძესა და ნ. ცისკარიშვილზე თავდასხმა პარტიის საბურთალოს შტაბის მიერ მმართველი პარტიის ქურდულ

---

[35] https://netgazeti.ge/news/481980/.

[36] https://www.interpressnews.ge/ka/article/624489-gaertianebuli-opoziciis-cevris-inpormaciit-kaxa-okriashvilis-aktivistis-mankanas-iaragidan-esroles/ ; https://netgazeti.ge/news/490446/.

[37] https://netgazeti.ge/news/490446/.

[38] https://www.facebook.com/TvMtavari/posts/447608329942616.

[39] https://www.facebook.com/watch/?v=353187155811993 ; https://netgazeti.ge/news/482959.

[40] https://www.radiotavisupleba.ge/a/30846415.html.

[41] https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C/30858186.htm ; https://formulanews.ge/News/37188.

[42] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N24/8662, 7 სექტემბერი 2021 წელი.

სამყაროსთან თანამშრომლობის ფაქტის გამოვლენას უკავშირდებოდა, რის გამოც „ქართულ ოცნებას“ სოფელ დიღომში ოფისის დახურვა მოუწია.[43]

გარდაბანსა და მარნეულში „ევროპული საქართველოს” მაჟორიტარობის კანდიდატის, აჰმედ იმამკულიევის განცხადებით, 2020 წლის 28 სექტემბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. სადახლოში, მისი პარტიის ერთ-ერთ აქტივისტს პნევმატური იარაღიდან ესროლეს.[44] “ტაბულას” ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.[45]

2020 წლის 4 სექტემბერს, თბილისში, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ შტაბის უფროსს გიორგი გლურჯიძეს რამდენიმე პირი ქუჩაში დაესხა თავს. თავდამსხმელებმა მას პრეტენზია განუცხადეს, თუ რატომ უჭერდა მხარს „ლელოს“. თავდასხმის შედეგად გ. გლურჯიძემ ტვინის შერყევა მიიღო.[46] “პალიტრა ნიუსის” ინფორმაციით, გამოძიება 126-ე მუხლით მიმდინარეობს.[47]

2020 წლის 16 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. მეჯვრისხევში, გორისა და კასპის საარჩევნო ოლქში „ევროპული საქართველოს” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ლევან თარხნიშვილის განცხადებით, მას და მისი შტაბის წევრებს თავს დაესხნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელები „ქართული ოცნების“ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი აქტივისტები იყვნენ.[48] ინტერნეტპორტალის “დროა” ინფორმაციით, შსს-მ მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო.[49]

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2020 წლის 27 სექტემბერს, " ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოგი მეშველიანის ძმა, დაახლოებით ათამდე მხარდამჭერთან ერთად, ჩაიხანაში შეიჭრა და პოლიტიკურ ოპონენტებს სცემა.[50] მედიის ინფორმაციით, შსს-მ მომხდარზე 126-ე მუხლით დაიწყო გამოძიება.[51]

ამ და სხვა ინციდენტების თაობაზე საუბარია, ასევე, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და “საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს” ანგარიშებშიც.[52]

---

[43] https://www.interpressnews.ge/ka/article/620276-tina-bokuchavas-inpormaciit-sopel-digomshi-ocnebis-shtabi-ec-kanonieri-kurdis-glexovichis-carmomadgenlis-mier-iqo-gaxsnili/.

[44] https://publika.ge/chvens-ativists-tiris-tofidan-esroles-ahmed-imamyulievi/.

[45] https://tabula.ge/ge/news/653969-marneulshi-evropuli-sakartvelos-aktivists-tiris.

[46] https://www.interpressnews.ge/ka/article/616616-lelos-ert-ert-aktivists-tavs-daesxnen/.

[47] https://palitranews.ge/video/lelos-ert-ert-aktivistze-gankhortsielebuli-tavdaskhmis-faktze-shss-m-gamodzieba-daitsqo.

[48] https://formulanews.ge/News/38135 ; https://netgazeti.ge/news/490061/

[49] https://droa.ge/?p=87228.

[50] https://mtavari.tv/news/17129-bolnisshi-otsnebis-mazhoritarobis-kandidatis-dzma?fbclid=IwAR0uL701OnX-JUBFirtE9D0tRDkTaWW7pd4gKr_on4d-I7DKX5zRNt_ToxY ; https://bit.ly/2S5Rdy4.

[51] https://akhalitaoba.ge/2020/09/gogi-meshvelianis-dzma-shemovarda-50-katsthan-erthad-da-natsionali-iusupovi-gaigdes-tsikhlqvesh-ra-mokhda-bolnisshi/.

[52] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020, გვ. 38-47; “საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო”, “ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში”, დეკემბერი 2020 წელი, გვ. 10-14.

2020 წლის 9 სექტემბერს, ზუგდიდში, პარტიამ „ლელო საქართველოსთვის" სამეგრელოს მუნიციპალიტეტების ოლქების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. ღონისძიება დადიანების სასახლის ეზოში გაიმართა, რომელსაც პარტიის ლიდერები და მათი მხარდამჭერები დაესწრნენ. შეხვედრაზე, „ლელოს" ლიდერს, მამუკა ხაზარაძეს, რამდენიმე მოქალაქე დაუპირისპირდა და ის ეროვნული მოძრაობის დევნაში დაადანაშაულა. ისინი ასევე პრეტენზიებს გამოთქვამდნენ „თიბისი ბანკის" საქმიანობასთან დაკავშირებით.[53] მოგვიანებით დადგინდა, რომ მ. ხაზარაძესთან დაპირისპირებული პირები საბიუჯეტო ორგანიზაციებში იყვნენ დასაქმებულები.

იმავე დღეს, თბილისში, მეტრო "ვარკეთილის" მიმდებარედ, თავდასხმა განხორციელდა პარტია "სტრატეგია აღმაშენებლის" წარმომადგენლებზე. პარტიის წარმომადგენლებს მეტროს მიმდებარედ კარავი ჰქონდათ განთავსებული, სადაც ხელმოწერებს აგროვებდნენ საბანკო სესხებზე პროცენტის განახევრების ინიციატივის მხარდასაჭერად, რა დროსაც მათ თავს დაესხნენ უცნობის პირები, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჩამოხიეს პარტიის ბანერი და დააზიანეს კარვები.[54] ინტერნეტგამოცემა "პუბლიკას" ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით შსს-მ ორი პირი ადმინისტრაციული წესით, წვრილმანი ხულიგნობისთვის დააკავა.[55]

2020 წლის 13 აგვისტოს, თბილისში, ახალგაზრდების ჯგუფმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პარტია "ხალხისთვის" წარმომადგენლებს და ხელი შეუშალა მათ შეხვედრას ამომრჩეველთან.[56]

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" განცხადებით, 2020 წლის 28 ოქტომბერს, სოფელ მარტყოფში, თავდასხმა განხორციელდა მათ აქტივისტებზე, როდესაც ისინი საარჩევნო ფლაერებს არიგებდნენ და მოსახლეობას ესაუბრებოდნენ. პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, „ქართული ოცნების" მხარდამჭერმა 4-მა ადამიანმა „ლეიბორისტული პარტიის" ახალგაზრდებს შეურაცხყოფა მიაყენა, სააგიტაციო მასალა გაუნადგურა და აიძულა, სოფელი დაეტოვებინა.[57] „ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, მისი პარტიის აქტივისტებზე თავდასხმა გარდაბნის მერის მრჩეველმა გიორგი შინჯიკაშვილმა და მისმა ცოლისძმა ნიკოლოზ სალთხუციშვილმა განახორციელეს.[58]

ეს და სხვა ინციდენტები, რომლებიც წინასაარჩევნო ღონისძიებების დროს ოპოზიციური პარტიებისთვის დაბრკოლებების შექმნას, ფიზიკურ თუ სიტყვიერ ზეწოლას და სხვა სახის პროვოკაციებს უკავშირდება, აღწერილია სადამკვირვებლო ორგანიზაციების, საია-ს და "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს" ანგარიშებშიც.[59]

---

[53]https://1tv.ge/news/mamuka-khazaradze-ackhadebs-rom-zugdidshi-amomrchevlebtan-shekhvedrisas-momkhdari-incidenti-qartuli-ocnebis-wevrebisa-da-mati-mkhardamcherebis-mier-iyo-dagegmili/ ; https://www.radioatinati.ge/akhali-ambebi/article/73672-zugdidshi-lelos-mazhoritarobis-kandidatebis-tsardgenisas-mcire-incidenti-mokhda.html

[54] https://tabula.ge/ge/news/652878-vashadze-chvens-mokhaliseebs-tavs-daeskhnen-minda; https://publika.ge/varketilis-metrostan-gushin-momkhdar-incidentze-vashadze-ganckhadebas-aketebs/.

[55] https://publika.ge/varketilis-metrostan-gushin-momkhdar-incidentze-vashadze-ganckhadebas-aketebs/

[56]https://imedinews.ge/ge/samartali/159780/ana-dolidze-saarchevno-kampaniis-dros-momkhdar-intsidenttan-dakavshirebit-gamokitkhvaze-daibares

[57] https://formulanews.ge/News/38623.

[58] https://www.labour.ge/ka/akhali-ambebi/article/15172-cnobilia-martyofshi-leiboristebze-thavdamskhmelebis-vinaoba.

[59] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი

**"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს"** ანგარიშში აღნიშნულია, რომ *„29 სექტემბერს სადამკვირვებლო ორგანიზაციის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" გრძელვადიანი დამკვირვებელი წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში აკვირდებოდა პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს" კანდიდატის შეხვედრას დედოფლისწყაროს სოფელ საბათლოში. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის ავტომობილი გააჩერეს მათთვის უცნობმა პირებმა და ხელს უშლიდნენ თავისუფლად გადაადგილებაში. „სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელი შეეცადა, მოვლენები ვიდეო კამერით გადაეღო, რაშიც მერის წარმომადგენლის ძმამ და ადგილობრივი მაღაზიის გამყიდველმა ხელი შეუშალეს, მოსთხოვეს გადაღების ნებართვა და დაემუქრნენ, რომ „სოფლიდან ვერ გავიდოდა".*"[60]

**„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის"** ანგარიშში მითითებულია მეორე ტურამდე მომხდარ შემთხვევაზეც, როდესაც, 2020 წლის 7 ნოემბერს, ბათუმში, ე.წ. „ხოფას ბაზრობის" ტერიტორიაზე, ოპოზიციის წარმომადგენლებს ფლაერების დარიგებისას თავს უცნობი პირები დაესხნენ.[61]

ლ. ხაბეიშვილის ოფისზე თავდასხმის ფაქტი მედია საშუალებებითაც გაშუქდა. "ნეტგაზეთის" ინფორმაციით, სამგორში, აფრიკის დასახლებაში, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატის, ლევან ხაბეიშვილის შტაბს თავს დაესხნენ. ლ. ხაბეიშვილის თქმით, სავარაუდოდ, ორმა პირმა შტაბს აგურები ესროლა, რის გამოც ჩაიმსხვრა მინები. თავდასხმის დროს ადგილზე არავინ იმყოფებოდა.[62] ტელეკომპანია "ფორმულას" ცნობით, შსს-მ გამოძიება 187-ე (სხვისი ქონების დაზიანება) მუხლით დაიწყო.[63]

ტელეკომპანია "მთავარის" ინფორმაციით, 2020 წლის 23 სექტემბერს, "ბოლნისში, "ქართული ოცნების" აქტივისტები გაერთიანებული ოპოზიციისა და ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბებს თავს დაესხნენ. თავდამსხმელებმა ჩამოხიეს პლაკატები, დააზიანეს სათვალთვალო ვიდეო კამერები და კედლებზე დაწერეს შეურაცხმყოფელი სიტყვები."[64] მედიის ინფორმაციით, შსს-მ გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით დაიწყო.[65] 13 ოქტომბერს კი იმავე დეპუტატობის კანდიდატის შტაბის ოფისი გატეხეს და კომპიუტერული ტექნიკა წაიღეს.[66] ინტერნეტგამოცემა "პუბლიკას" მიხედვით, შსს-მ გამოძიება სსკ-ის 177-ე (ქურდობა) მუხლით დაიწყო.[67]

გარდა ამისა, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია ოპოზიციური პარტიების ოფისებზე თავდასხმებთან დაკავშირებით.

---

- 21 ნოემბერი, 2020, გვ. 38-47; "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო", "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში", დეკემბერი 2020 წელი, გვ. 10-14.

[60] „„სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელს საქმიანობაში ხელი შეუშალეს", isfed.ge, 30.09.2020, https://bit.ly/3lT1tX4.

[61] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020, გვ. 43.

[62] https://netgazeti.ge/news/482614/.

[63] https://formulanews.ge/News/36885.

[64] https://mtavari.tv/news/16717-bolnisshi-gaertianebuli-opozitsiis-shtabs-tavs.

[65] https://publika.ge/bolnisshi-dzala-ertobashias-shtabi-daazianes/.

[66] https://www.interpressnews.ge/ka/article/623547-nacionaluri-mozraobis-inpormaciit-bolnisshi-kaxa-okriashvilis-saarchevno-shtabis-opisi-gatexes/

[67] https://publika.ge/bolnisshi-kakha-oqriashvilis-saarchevno-shtabis-ofisi-gatekhes-enm/.

- 2020 წლის 12 ოქტომბერს ქუთაისში ,,ევროპული საქართველოს" ოფისს ქვები დაუშინეს და საარჩევნო ბანერი დააზიანეს;[68]
- 2020 წლის 9 და 27 სექტემბერს ენმ-ის ბანერები დააზიანეს ასევე აჭარაში;[69]
- 2020 წლის 16 ნოემბერს გლდანის მაჟორიტარობის კანდიდატის, ნიკანორ მელიას საარჩევნო შტაბი დაარბიეს და დაწვეს. ნ. მელიას შტაბის წევრის, თამარ ზერეკიძის განცხადებით, დაახლოებით 06:00 საათზე, შტაბს ესროლეს ქვები და დამსხვრეულია მინები. ასევე, გამოყენებულია ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი, რის შედეგადაც ოფისში ცეცხლი გაჩნდა. დამწვარია ოფისის ნაწილი.[70] რადიო "თავისუფლების" ინფორმაციით, ნ. მელია აღნიშნულ ინციდენტს საბერძნეთის საპატიმროში მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდის, ნოდარ შუკაკიძის ჩარევას უკავშირებს, რომელსაც, მისივე თქმით, მჭიდრო ურთიერთობა აქვს დედაქალაქის მერთან, და "ქართული ოცნების" მაჟორიტარ კანდიდატთან.[71] ნეტგაზეთის ინფორმაციით, შსს-მ მითითებულ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით დაიწყო.[72]

ზემოაღნიშნულ ინციდენტებზე საუბარია ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციების "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო" და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ანგარიშებში.[73]

### *5.1.1.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები*

ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა განმარტებით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყველა ის მეთოდი იყო გამოყენებული, რომელზეც სამაგიდე კვლევაშია საუბარი. შესაბამისად, წინასაარჩევნო გარემო ხასიათდებოდა უთანასწორო შესაძლებლობებით მმართველ პარტიასა და სხვა პოლიტიკური პარტიებს შორის. გამოკითხული რესპონდენტები საუბრობენ, რომ განსაკუთრებული ზეწოლისა და წნეხის ქვეშ ხვდებოდნენ საჯარო უწყებების თანამშრომლები, პედაგოგები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ არა მხოლოდ ხმა მიეცათ ხელისუფლების სასარგებლოდ, არამედ ემუშავათ სახელისუფლებო კანდიდატების შტაბებში, ჩართულიყვნენ სააგიტაციო პროცესში და დასწრებოდნენ სახელისუფლებო კანდიდატების შეხვედრებს. პარტია „საქართველოსთვის" წარმომადგენელმა (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იყოს საჯარო მოხელე) განაცხადა, რომ მმართველი ძალის ცალკეულ ქმედებებს ოპოზიციური გადმოსახედიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად აფასებს, თუმცა ამაზე ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სხვა შეხედულება ჰქონდა.

რესპონდენტები ასევე საუბრობდნენ შემთხვევებზე, როდესაც ისეთ საკითხებშიც კი, როგორებიცაა ოფისის ფართის ქირაობა, საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის მომხრეებთან შეხვედრა და მათი მობილიზება, აქტიური ბარიერები ხვდებოდათ. პირველადი თანხმობის შემდეგ, როგორც ფართის

---

68 https://www.kutaisipost.ge/ka/statiebi/politika/article/18654-quthaisshi-evropuli-saqarthvelos-ofiss-qvebi-daushines; https://publika.ge/gushin-evropuli-saqartvelos-ofiss-agurebi-daushines-daazianes-baneri-otar-kakhidze/.
69 https://www.ajaratv.ge/article/64182 ; https://batumelebi.netgazeti.ge/news/302583/.
70 https://droa.ge/?p=91682; https://reginfo.ge/politics/item/20041-gldanshi,-nika-melias-saarchevno-shtabshi-xanwari-iybo ; https://1tv.ge/news/gldanis-saarchevno-shtabis-khelmdzghvaneli-ackhadebs-rom-nika-melias-ert-ert-ofiss-ceckhli-waukides/
71 https://www.radiotavisupleba.ge/a/30953138.html.
72 https://netgazeti.ge/news/498750/.
73 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში, 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020, გვ. 38-47; "საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო", "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში", დეკემბერი 2020 წელი, გვ. 10-14.

მესაკუთრეები, ისე მათი მხარდამჭერები, სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის გამო, უარს აცხადებდნენ ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობაზე.

როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან ირკვევა, ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მექანიზმს არაფორმალური გავლენის მქონე პირები, ე.წ. „უბნის ავტორიტეტები“ წარმოადგენენ. არაფორმალურ ავტორიტეტებზე საუბრისას არ მოიაზრებიან მხოლოდ სუბკულტურული სტატუსის მქონე პირები. ესენი შესაძლოა ყოფილიყვნენ როგორც სუბკულტურული იერარქიის მაღალი საფეხურის წარმომადგენლები (უბნის მაყურებელები; ქვეყნის ფარგლებს გარეთ მყოფი "კანონიერი ქურდები“), ისე უბრალო „ქუჩის ბიჭები“, რომლებიც ასრულებდნენ უფრო მაღალი სტატუსის მქონე ე.წ. „ავტორიტეტის“ ან ხელისუფლების დავალებებს.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები/არაფორმალური ჯგუფები წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან. **მათი აქტივობა ძირითადად არჩევნებამდე 30 დღით ადრე იწყება,** თუმცა განსაკუთრებულ მასშტაბს კენჭისყრის დღემდე 7-10 დღით ადრე იძენს. კვლევა ცხადყოფს, რომ ამ ჯგუფების მიერ გამოყენებული ზემოქმედების ბერკეტები საკმაოდ მრავალფეროვანია, გარკვეულ შემთხვევევბში ისინი იყენებენ ე.წ. ავტორიტეტს, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც აღნიშნული სუბკულტურული სტატუსის რომანტიზება ისევ აქტუალურია.

> **პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი:** *„უბანში ავტორიტეტი რომ ცხოვრობს ვიღაც, კრიმინალური ავტორიტეტი, აი, მოქურდო ძველი ბიჭი, ის ზეგავლენას ახდენს უბანში მცხოვრებ ახალგაზრდებზე და უკვე საარჩევნო ფონი მუდმივად იქმნება ისეთი, რომ „ე, ბიჭო შენ ამ ბ--ებს როგორ უჭერ მხარს.“*
>
> **პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი**: *„ერთ-ერთი ამათი მთავარი დასაყრდენი ახლა სამეგრელოში არიან ეს ძველი ბიჭები, ქუჩის ბიჭები, მათ შორის, კანონიერი ქურდები, ვინც არიან, ე.წ. მაყურებლები და იცით, რომ უკვე ჰყავთ უბნებს თავისი მაყურებლები, ქალაქს ჰყავს თავისი მაყურებელი და ასე შემდეგ. ჩართული ჰყავთ უბნებში თავიანთი ამომრჩევლის მობილიზაციისთვის და ცუდად განწყობილი ამომრჩევლის დასაშინებლად.“*
>
> **პოლიტიკური პარტია “ლელოს” წარმომადგენელი #1:** *„გამოყარეს მთელი ბიჭები გარშემო, ზონდერები, მათ შორის, კრიმინალური სუბკულტურის ხალხი.... პირდაპირ მე მეძახდნენ „ცოცხი გინდა?“ და ხო ვხედავდი ვინ იყვნენ.“*
>
> **პოლიტიკური პარტია “ლელოს” წარმომადგენელი #2:** *„არჩევნებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე ინტენსიურად გამოჩდნენ საგარეჯოს ქუჩებში, მათ შორის, ცნობილი კრიმინალი რომ გახლავთ “X” აქაურია და ბოლო დღეს არჩევნების დღეს უბრალოდ დადიოდა საგარეჯოს ქუჩებში, მაგრამ ეს ისეთი ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო მოსახლეობაზე, რომ ძალიან ბევრმა არჩევნებზე, უბანზე მისვლაც კი გადაიფიქრა. უბრალოდ ჩამოვლა იყო, მეტი არაფერი. ასევე, დაახლოებით 10 დღით ადრე, ინტენსიურად მოძრაობდნენ გარეთ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, ბირჟის ბიჭები და ასე*

*ვთქვათ ძველბიჭურად ავალდებულებდნენ მოსახლეობას, რომ მხარი დაეჭირათ მთავრობისთვის.“*

**პოლიტიკური პარტია “გირჩის” წარმომადგენელი:** *„უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც ჩვენს კანდიდატთან ძველი ბიჭი მივიდა ადგილობრივი და ახლა ჯერ კიდევ საქმის გარჩევის ეტაპზე ვართ, ქოცებს უნდა შევხვდე და უნდა გავაჩერო მათ მიერ მოგზავნილი ძველი ბიჭები.“*

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია საქართველოს - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი:** - *„ჩვენ დავაფიქსირეთ საკმაოდ დიდი რაოდენობით ასეთი შემთხვევები, მაგალითად, ხშირი იყო ოპოზიციური პარტიების ოფისების დარბევა. მათ შორის იყო ნაციონალური მოძრაობის ოფისზე თავდასხმა და ნივთების დაზიანება, იყო ევროპული საქართველოს შემთხვევაშიც. ასევე, ჩვენ დავაფიქსირეთ აჭარაში, მაგალითად, ესეთი კონსპირაციული შეხვედრა შედგა და აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში მთავრობის ხელმძღვანელის X –ს მამამ და პოლიციის სამმართველოს უფროსმა, შეკრიბეს მოჭიდავეები და მათ შესთავაზეს სარგებელი იმისთვის, რომ დახმარებოდნენ ძალადობრივად და ძალის გამოყენებით წინასაარჩევნო პერიოდში“.*

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში რესპონდენტების უმრავლესობამ ხაზი გაუსვა, რომ წინასაარჩევნო პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ჩართული იყო თითოეულ ოჯახთან კომუნიკაციაში, სხვადასხვა დაპირებით თუ მუქარით მათ დარწმუნებაში, ხმა მიეცათ მმართველი პოლიტიკური ძალისთვის. გამოიყენებოდა ზემოქმედების ისეთი ფორმებიც, როგორებიც არის სამსახურიდან გათავისუფლების, ოჯახის წევრის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სპორტული კარიერის პერსპექტივის მოსპობისა თუ სოციალური შემწეობის ან უფასო სასადილოთი სარგებლობის უფლების ჩამორთმევის მუქარა. ამავდროულად, გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, **ზღვარი სუსსა და ოჯახის ნათესავებს, სუსსა და უბნის ავტორიტეტებს, თუ სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერებს შორის, ფაქტობრივად წაშლილი იყო** - ცალკეული ადამიანები ამ განსხვავებულ როლებს ერთდროულად ირგებდნენ და მსგავსი მეთოდებით მოქმედებდნენ.

**სამოქალაქო აქტივისტი**: *„ეს ჯგუფები ადგილზე შეიძლება ზოგი საიპ-ის თანამშრომელი იყოს ან ფორმალური სტატუსი საერთოდ არ ჰქონდეს, მაგრამ პირდაპირი დაინტერესება აქვს, იმიტომ, რომ ტენდერებში იღებს მონაწილეობას და ამით იღებს გარკვეული ტიპის სარგებელს.“*

**პოლიტიკური პარტია “მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის” წარმომადგენელი:** *„დაპირდნენ ჩვენი მხარდამჭერის შვილს, რომ პირობით სასჯელს მოუხსნიან და სანაცვლოდ უთხრეს, რომ დედაშენი აღარ უნდა მონაწილეობდეს საარჩევნო პროცესში.“*

**პოლიტიკური პარტია - „ელენე ხოშტარია - დროა“-ს წარმომადგენელი:** *„ვისაც მოუნდებოდა არჩევნებში ჩართვა ან პარტიაში გაწევრიანება, შეეძლო მარტივი ფორმის შევსება და ჩვენ ყველას ვურეკავდით. სამი ადამიანი იყო გლდანიდან, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ კამპანიაში ჩავერთვები, უბანზეც დავდგები და ყველაფერში დაგეხმარებით, შეხვედრა ჩავნიშნეთ და მეორე დღეს რომ უნდა მივსულიყავით და ვურეკავდი, ერთმა ტელეფონი გათიშა, მეორემ აღარ მიპასუხა და დაახლოებით ორი კვირაა, კონტაქტზე ვეღარ გამოდიან.“*

ჩარღმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტები ცალსახად აცხადებენ, რომ ე.წ. „კრიმინალური ჯგუფების“, „უბნის არაფორმალური ავტორიტეტების“ ჩარევას შეუძლია, არჩევნების შედეგებზე რეალური ზეგავლენა მოახდინოს. მათივე განცხადებით, კრიმინალებთან კავშირში მყოფი პირები არ ისჯებიან, პირიქით, ზოგ შემთხვევაში, **სამართალდამცავი ორგანოები მათ დანაშაულს ხელსაც კი აფარებენ.** ისინი თვალს ხუჭავენ ამ ჯგუფების მიერ ნარკოტიკული საშუალებების გამოყენების ფაქტებზეც. აღნიშნული გარემოებები კი ამომრჩეველს აფიქრებინებს, რომ ვინაიდან არჩევნების შემდეგაც ამ ხალხთან ერთად მოუწევს უბანში ცხოვრება, მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოება არ იქნება დაცული. კვლევამ გამოკვეთა შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებს მათი მშობლის პოლიტიკური აქტიურობის ან სოციალურ ქსელში გაკეთებული შეფასების გამო სთხოვდნენ პასუხს, რიგ შემთხვევებში მათ ე.წ. „ქუჩურ გარჩევებზეც“ იბარებდნენ. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მაშინ, როდესაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მწვავე კონკურენციაა და თითოეული ხმა შეიძლება საარჩევნო უბანზე გადამწყვეტი აღმოჩნდეს, ძალადობრივ საარჩევნო კამპანიას და პროცესს შეუძლია რეალურად შეცვალოს არჩევნების შედეგები და გაყალბების სხვა მექანიზმების პარალელურად, უზრუნველყოს სახელისუფლებო პარტიისთვის ხელსაყრელი შედეგის მიღწევა.

> **საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი:** *"რთულია ასეთ სისტემაში, სადაც ყველაფერს აკონტროლებს ქურდული სამყარო, პოლიციით დაწყებული და სუსით დამთავრებული, სადაც ერთიანი სისტემა აქვს შექმნილი სახელმწიფოს, რთულია ადამიანები დაარწმუნო, რომ რისკის ქვეშ დააყენონ საკუთარი თავი, როდესაც მათ ვერ აძლევ შენ უსაფრთხოების გარანტიებს".*

> **პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი:** *„ამათ ყველაზე მეტად აწყობთ, რომ აქტივობა იყოს ძაან დაბალი და მოახერხონ ისევ, ამ ქუჩური და კრიმინალური ადამიანების დახმარებით, თავისი ხალხის დაშინება, მობილიზება და მიყვანა".*

რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, სხვადასხვა რეგიონსა თუ უბანში ზემოქმედების ძალიან აქტიურად გამოყენებული ხერხია, წინასაარჩევნოდ, შედარებით მსუბუქი **დანაშაულისთვის, უბნელის ან ნათესავის დაპატიმრება, ფაქტობრივად მისი მძევლად აყვანა, სოფლის, უბნის ან ახლობლების საარჩევნო ხმების სანაცვლოდ.** რესპონდენტები იხსენებენ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო პროცესების ნაწილი სპეციალურად გაჭიანურდა, ან საეჭვოდ დაემთხვა არჩევნების წინა ან შემდგომ პერიოდს, რათა ან ისეთი პირი გათავისუფლებულიყო, არჩევნებში სახელისუფლებო პარტიაზე „მუშაობის“ პირობით, ვისი ზეგავლენის სააჭიროებაც არსებობდა, ან კონკრეტული პირის ახლობელი, ოჯახის წევრი დარჩენილიყო პატიმრობაში, სანამ არ ჩაივლიდა არჩევნები და არ შეფასდებოდა, რამდენად კარგად „იმუშავა“ იმ პიროვნებამ, ვის საქმიანობასაც, დაპირების თანახმად, შედეგად უნდა მოჰყოლოდა დაკავებული პირის გათავისუფლება.

> **პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1:** *„ეს ადამიანები ცხოვრობენ ამგავრი ცხოვრების წესით, ნარკოტიკების მომხმარებლებიც არიან, არიან ჩართულნი ამ კრიმინალურ ცხოვრებაში, ყველაზე აქვთ კომპრომატი და ეუბნებიან ძალიან ღიად, რომ აი შენ შეგაბრუნებთ უკან ციხეში, თუ არ იმუშავებ. სადღაც სოფელში ვიღაცას დაიჭერენ, მაგალითად მარიხუანაზე, ამ ძველ ბიჭებს ჩართავენ და ეუბნებიან, რომ გამოვუშვებთ ამ ბიჭს, თუ ხმას მოგვცემთ. ეს ადამიანები ჩემთან მოვიდნენ, მათ შორის, ჩვენი*

*მხარდამჭერებიც და მეუბნებიან, თქვენი მხარდამჭერები ვართ სულით და გულით, მაგრამ ოცი წლის ბავშვზეა საუბარი, რომელიც ციხეში უნდა იყოს და მეზობელია და რანაირად გავაკეთოთ ეგ ამბავი.“*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" *წარმომადგენელი* #2:** *„არჩევნებამდე ჩვენ რომ დავთვალეთ, 100-მდე ადამიანი ჩახსნეს პოლიტიკური პროცესებიდან. სხვადასხვა ზეწოლებით, დაშინებით და მუქარით, რომ აქ რჩებით და მშვიდად იყავით, მე სულ აქ ვარ. და მე რომ აქ ვცხოვრობ, უფრო გამოგადგებათ, ვიდრე Y-ს საარჩევნო კამპანიაში ჩაბმა. თუ რამე დაგჭირდება, მე მითხარი და მე გადაგიწყვეტ“.*

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ საარჩევნო პროცესში, ე.წ. უბნის ავტორიტეტების მიერ აპრობირებული მეთოდია **წინასაარჩევნო შეხვედრებზე ახლო დისტანციაზე შეჯგუფება, ხმამაღალი გინება და გამომწვევი ქმედება პროვოკაციის მოსაწყობად,** რასაც ისინი აქტიურად მიმართავენ ოპოზიციური კანდიდატების მიერ უბნებში დაგეგმილი შეხვედრების ჩასაშლელად. ამავდროულად, შეხვედრის ახლოს მოძრაობით, ისინი დამსწრეებში ქმნიან განცდას, რომ იციან ვინ რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერია და თუ ეს არ ემთხვევა მათ პოლიტიკურ გემოვნებას ან სცდება მათი ინტერესების დაცვის მიზანშეწონილობას, შეუძლიათ შესაბამისი პირების მიმართ ზემოქმედების გარკვეული ბერკეტები გამოიყენონ. რესპონდენტები ხაზს უსვამენ მსგავს შემთხვევებში პოლიციის უმოქმედობას ან/და არასაკმარის რეაგირებას.

**პოლიტიკური პარტია - "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის"** *„ახლა ყველაზე აქტიური პერიოდი იწყება, იმიტომ რომ როგორც წესი რასაც ვაკვირდები არჩევნებამდე 10 დღით ადრე იწყებენ ისინი მობილიზებას, მერე უკვე გვხვდება მათი ბიჭები უბნებში, დაგვყვებიან და ცდილობენ უფრო აქტიურად პროვოკაციების მოწყობას.“*

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი:** *„იყო შემთხვევა რომ ამ ჩვენს წარმომადგენელს დაადგნენ თავზე იქ მობილიზებული ძველი ბიჭები და იყო ერთი დიდი ალიაქოთი და აიძულებდნენ რომ გაჩუმებულიყო. როგორც წესი, ეს ძველი ბიჭები წინასაარჩევნო პროცესში მობილიზებულია ქართული ოცნების ოფისებთან, უბნებში და კარგად იციან იმ უბნიდან ვინ არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში“.*

**პოლიტიკური პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენელი:** *„ფიზიკური დაპირისპირება მქონდა და მქონდა თან რამდენჯერმე. ფიზიკურად გამოიწვიენ, გაწევ-გამოწევა მოხდა და ჟურნალისტებმა დამიცვეს.“*

**პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი:** *"იყო ხელშეშლის ფაქტები და ეს ხელშეშლის ფაქტები დამკვიდრებული ტრენდია. მაგალითად, რაღაც მანქანა რომ ჩაივლის და შეგაგინებს. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ქვები დაუშინეს ერთ-ერთ შეხვედრაზე, კორპუსიდან ისროდნენ და ა.შ.“*

**პოლიტიკური პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება“-ს წარმომადგენელი:** *„დგებიან და იწყებენ სიტყვაზე გინებას ხმამაღლა, ოღონდ თან შენ არ გაგინებენ, უბრალოდ გინება გესმის და ცდილობენ, რომ წყობიდან გამოგიყვანონ და დაეჭვდე, მე ხომ არ მაგინებს და რამე უპასუხო,*

*რომ მერე რაღაცაში ჩაგითრიოს. ვერ ხვდები, შენი მისამართით ლაპარაკობენ თუ არა. ნუ შორიახლო მოძრაობენ, რომ რაღაცაზე პასუხი გასცე. ეგ თან ისეთი ქცევა არის, რომელსაც ეგრევე გრძნობ“.*

**პოლიტიკური პარტია „ელენე ხოშტარია - დროა“-ს წარმომადგენელი:** *„ყველა ფეხის ნაბიჯზე პრაქტიკულად ვაწყდებოდით პროვოკაციებს, არ ვიცი, ძველი ბიჭები, ბირჟები და ა.შ. განსაკუთრებით წინა არჩევნებზე ... რომ დავდიოდით, იქ ვაწყდებოდით განსაკუთრებულ აგრესიას და მაშინ ჩვენი სტრატეგია იყო რომ საერთოდ არავის არ ვეპასუხებოდით, ვტრიალდებოდით და მოვდიოდით უკან. შესაბამისად, ჩვენვე ავირიდეთ ნებისმიერი პროვოკაციული ქმედება“.*

ჩაღმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ რიგ შემთხვევებში, ხელისუფლების მხარდაჭერის მითითებას საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი **კრიმინალური ავტორიტეტები და ე.წ. „კანონიერი ქურდებიც“** იძლეოდნენ. მათი განმარტებით, აღნიშნულს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს - ერთი მხრივ, კრიმინალურ ავტორიტეტებს არ აწყობთ წინა ხელისუფლების დაბრუნება, ზოგ შემთხვევაში კი სანაცვლოდ იღებენ მათი მეგობრის, ახლობლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობისგან გათავისუფლებას ან გათავისუფლების დაპირებას, ცალკეული დანაშაულისთვის ინდულგენციას. რესპონდენტების ნაწილის განმარტებით, რიგ შემთხვევებში, ე.წ. „უბნის ავტორიტეტები“ ამომრჩეველს (განსაკუთრებით მათ, ვინც ამ ჯგუფების მიმართ მეტ-ნაკლები სიმპატიით არის განწყობილი) ახსენებენ, რომ წინა ხელისუფლების დროს ისინი ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და შესაძლოა, ხელისუფლების მხარდაჭერაზე უარის თქმის შემთხვევაში, კვლავ ის დრო დაბრუნდეს, სხვა შემთხვევებში კი უბრალოდ ასრულებენ სუბკულტურულ იერარქიაში ზემდგომის მითითებებს.

**პოლიტიკური პარტია "გირჩი - მეტი თავისუფლება"-ს წარმომადგენლის** განმარტებით, გარკვეული პირები ასეთ განმარტებას აკეთებენ: *„რა ვქნათ, ჩვენი ძმა არის დაჭერილი და შეგვპირდნენ, რომ გამოგაშვებინებთ და მართალია, წინაზეც შეგვპირდნენ და გადაგვაგდეს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამჯერად მაინც გამოუშვებენ, ამიტომ ეს არის ბოლო არჩევნები, როცა ვეხმარებით. სხვა გზა არ გვაქვს, აბა ძმას ციხეში ხომ არ ჩავტოვებთ?!“*

**პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი:** *„ზოგადად მერე როგორ ხდება ხოლმე იცით?! რომელიმე კრიმინალურ ავტორიტეტს დააკავებენ საარჩევნოდ, აი ეგეთი შემთხვევა იყო ტაბახმელაში, რომელსაც ამ თავის წრეში „პატივს სცემენ“ და მერე იმის ძმასთან მუშაობა, რომ ხმები უნდა მოგვიტანოთ, რომ შენი ძმა გამოვუშვათ.“*

რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ **კრიმინალურ ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის კავშირზე** მეტყველებს, როგორც ამ კრიმინალური ჯგუფების წარმომადგენელთა დაუსჯელობა, ისე საარჩევნო პროცესში მათ მიერ ჩადენილი დარღვევებისა თუ ძალადობრივი ქმედებებისას სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა და ასევე, სხვადასხვა დროს, ამ ჯგუფების ხელისუფლების სასარგებლოდ გამოყენება. მაგალითად, კონტრაქციების ორგანიზების ან ძალადობრივი მეთოდებით სამოქალაქო აქტივისტებთან თუ პოლიტიკურ ოპონენტებთან დაპირისპირებისთვის.

**სამოქალაქო აქტივისტი:** *„ქურდები რეკავდნენ პირდაპირ საქართველოს ფარგლებს გარედან და ავალებდნენ ასეთ ადამიანებს და ე.წ. პრაგონის გატარებას ჰქონდა ადგილი ქურდების მხრიდან, რომ ისინი ჩაერთნენ და არ მისცემენ უფლებას ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის.“*

**პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის წარმომადგენელი #1:** *„გამოიჩენენ ხოლმე თავს, რომლებიც საზღვრებს გარეთ არიან, სკაიპით უკავშირდებიან ადგილობრივ ლიდერებს, ეგრეთ წოდებულებს და მერე ეს ადგილობრივი ლიდერები, მაყურებლები, რაღაც ტერიტორიის მაყურებლებს ეძახიან და მერე უკვე ეს მაყურებლები, იმ ქურდების სახელით ახდენენ ზემოქმედებას იმათზე, ვისთვისაც ეს ქურდული მენტალიტეტი მნიშვნელოვანია. შემდეგ ეს ქურდული მენტალიტეტი უკვე უბნებზე იშლება, ყველა უბანზე ესენი იდგნენ მთელი არჩევნების განმავლობაში;“*

**პოლიტიკური პარტია - ევროპული საქართველოს წარმომადგენელი #2***: „ძმას გამოვუშვებთ, ნათესავს და შემდეგ კრიბავენ ამ უბნის ბიჭებს და ეუბნებიან, რომ იცით, რა არის ახლა, მაგალითად, არჩევნებში მივეხმარებით და ჩვენი ძმაკაცი, პირობითად, ვახო გამოვა ციხიდან და ეს ადამიანები მოტივირებულად მუშაობენ იმაზე, რომ ეს ადამიანი გაათავისუფლონ ციხიდან.“*

ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნო პროცესში, ოპოზიციური პარტიების საქმიანობის ხელშეშლის მიზნით, რამდენიმე **პარტიის ოფისზე თავდასხმა** განხორციელდა, რასაც როგორც პოლიტიკური პარტიის, ასევე სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები ადასტურებენ. მათი განმარტებით, ასეთ ფაქტებზე ფაქტობრივად არანაირი რეაგირება არ მომხდარა.

**პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი:** *„ძალადობის შემთხვევები, პრინციპში, უბნებში როცა ხდება, იქ ერთზე გადავლის დემონსტრირებით სხვისი შეშინების მცდელობაა და ძალადობა პრინციპში აღიარებული, არც არავინ აღიარებს ამ ძალადობას. ესე ღიად ძალადობა, რომელმაც გაჟონა, ოფისებში მივარდნები და რაღაცეები, აი, ელენეს ოფისში იყო ძირითადად მივარდნები, მანდ მონაწილეობდნენ და იქ იყო ძალადობა და არამარტო ისინი (ავტორიტეტები), საჯარო მოხელეებიც მონაწილეობდნენ მაგაში“.*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1:** *„იმის მიუხედავად, მათ ჩვენი ოფისი დაწვეს და იმ ოფისის ირგვლივ 5-6 კამერა არის რომელსაც ნათლად შეეძლო დაეფიქსირებინა, ვინ იყო, იდენტიფიცირება ადვილად მომხდარიყო, დღემდე არ არის გამოძიებული“.*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #2:** *„რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, იგივე ლევან ხაბეიშვილის შტაბზე 2020 წლის 17 სექტემბერს მოხდა თავდასხმა, დაარბიეს ეს ახლადგახსნილი ოფისი, ჩაამტვრიეს შუშები, დააზიანეს ინვენტარი. მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ თვითმხილველები, იყო კამერებიც, მოსული იყო პოლიციაც, დღემდე არანაირი რეაგირება არ მომხდარა და არავინ არ დაუკავებიათ ამ საქმეზე“.*

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო პროცესში გამოიყენებოდა **ამომრჩევლების მოსყიდვის** სხვადასხვა მეთოდი. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად რეპონდენტებმა პირადობის მოწმობების გარკვეული ვადით „გაქირავების" პრაქტიკაც დაასახელეს, როდესაც ამომრჩევლებს, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, დროებით ართმევდნენ პირადობის მოწმობებს. ამ ტიპის მიდგომა ძირითადად იმ ამომრჩევლებთან გამოიყენებოდა, რომელთა ერთგულებაშიც მმართველი ძალა დარწმუნებული არ იყო. შესაბამისად, არასანდო ამომრჩევლების საარჩევნო პროცესისგან სრულად ჩამოცილება და ხელისუფლების საწინააღმდეგო არჩევანის გაკეთების გამორიცხვა ერჩია. პირადობების "გაქირავების" პრაქტიკაში, ოჯახის ნაცნობებთან, სუსთან და სხვა სამსახურებთან ერთად, გარკვეული დოზით, ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტებიც" იყვნენ ჩართულნი. მოსყიდვის ფორმებს შორის რესპონდენტების ნაწილმა, არაფორმალური ჯგუფების/კრიმინალური ავტორიტეტებისთვის ნარკოტიკულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაც დაასახელეს. შესაძლოა ამომრჩევლის მოსყიდვის ერთ-ერთ ფორმად მივიჩნიოთ ის შემთხვევებიც, როდესაც უბანში/თემში დაკავებული პირის გათავისუფლების სანაცვლოდ, მის ახლობლებს/ნათესავებს, მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ხმების მობილიზებას სთხოვენ.

> **არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენელი:** *„ე.წ. ხელმძღვანელი ურიგებდა ფულს საჭმელი რომ ეჭამათ, მიდიოდა, თუ სკოლა იყო, მეორე სართულზე, თუ არა და იქვე ეს მარიხუანას მოხმარება. ეს დაზოლილი ბიჭები გამოდიოდნენ, ზაცნობდნენ, წამოძახებებით და ცდილობდნენ ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მოხდენას."*

> **პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი #1:** *„ამ სუბკულტურის ადამიანებს, ზოგადად, ვინც ეგეთი ცხოვრებით ცხოვრობს, ე.წ. ქურდულ სამყაროს რასაც ეძახიან და ძველი ბიჭები და ა.შ., ამ ადამიანებს საერთოდ არ აინტერესებთ პოლიტიკა და არჩევნები. მათივე წესები და მათივე სუბკულტურა უკრძალავთ მათ ამ საქმეებში ჩართვას, ნელ-ნელა ეს ყველაფერი შეცვალეს და დღეს ეს ადამიანები არჩევნებს იყენებენ მათი საჭიროებიდან გამომდინარე და ხელისუფლებაც ამ ადამიანებთან ჯდება მოლაპარაკების მაგიდაზე და ეუბნება, რომ ამას გამოვუშვებ, შენ ცოტა ხანი არ შეგეხები და ნარკოტიკებზე რომ არიან, მეთადონის პროგრამაში ჩაგსვამ და ა.შ".*

> **პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი #2:** *„მაგათ (კრიმინალური ავტორიტეტები) ფულს არავინ არ ანდობს. კი, როგორ არა. ოჯახებში მიდიოდნენ, მაგალითად, ჩემი მეგობარია დაჭერილი კონტრაბანდაზე და მის ოჯახს წინა არჩევნებში, არჩევნებამდე, სულ ეუბნებოდნენ, რომ ეხლა არჩევნებში დაგვეხმარე და გავათავისუფლებთ, დაგეხმარებით გათავისუფლებაში და შემდეგ არც არავინ მიაქცია ყურადღება, მაგრამ მაინც. ეს მუშაობს, პირობითის მოხსნის თემა მუშაობს ძირითადად, პირობითს მოგიხსნი და შენ იქ დაალაგე სიტუაცია."*

> **პოლიტიკური პარტია - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1:** *„იყო შემთხვევები, როდესაც პირადობები გამოართვეს ადამიანებს, ამის დადასტურებული ფაქტი არ არის, თუმცა მუსირებდა ბოლო ორი დღე აზრი, რომ კაი, არ გინდივართ ჩვენ, ამ პირადობაში მე გაძლევ 200$, 100 ლარს, 150 ლარს და არჩევნების დღეს ეს პირადობა დამითმე."*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1:** *„თუ საარჩევნო პროცესში დავაკვირდებით არჩევნების დაწყების და დასრულების ციკლს, ხელმისაწვდომობა ნარკოტიკული საშუალებების ხდება უფრო ადვილი. ამას, სავარაუდოდ, ხელისუფლება აკეთებს მათ სასარგებლოდ, რომ ეს ადამიანები კმაყოფილები ყავდეს, მე ამას ვამბობ ჩემი დაკვირვების საფუძველზე, ანუ პროცესს რომ დავაკვირდეთ".*

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი***: „მოსყიდვის შემთხვევებიც კვლავ გვაქვს და ფაქტობრივად ეს ტენდენცია ნარჩუნდება".*

**პოლიტიკური პარტიის "გირჩი - მეტი თავისუფლება" წარმომადგენელი:** *„მოსყიდვას რაც შეეხება, ეს მოსყიდვაც ხომ პირობითი სახელი არის, მოსყიდვას ის უკავშირდება, რომ ბევრი ფული იხარჯება და სისტემები არის აწყობილი, რომლითაც ეს ფული რაღაცნაირად გაიწოვება და მიდის კონკრეტულ ადამიანებამდე, რომლებიც მერე ამაში საკუთარ ხმებს იძლევიან, მაგრამ ეს არ ხდება ესე - ქუჩაში არავინ არავის არ აჩერებს და არ ეუბნება, რომ მოგცემ ეხლა 30 ლარს, შენ წადი და ხმა მომეცი, ეგრე არ ხდება. ყველაფერი ხდება შინაურულ, ახლობლურ ამბავში."*

**პოლიტიკური პარტია "გირჩის" წარმომადგენელი:** *„მოსყიდვა ბუნებრივი ამბავია. მოსყიდვას ჩვენ არ მივიჩნევთ პრობლემად იქიდან გამომდინარე, რომ ვიღაცა მოდის სულელი და ფულს გაძლევს იმაში, რომ ვიღაცა შემოხაზო. შენ საერთოდ არ გაინტერესებს არჩევნები. მანდ მთავარი არის, ჩემი აზრით, დაცულობა არჩევნების საიდუმლოსი, ურნის დაცვა არის მთავარი. თორე ისე, მოსყიდვით, თან იმდენნაირი ფორმა არსებობს ამ ქვეყანაში წლების განმავლობაში დახვეწილი, რომ ვერავის ვერ ეტყვი, ფულს რატომ აძლევ ვიღაცასო".*

## 5.1.2 კენჭისყრის დღე

### *5.1.2.1 სამაგიდე კვლევის შედეგები*

კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია სხვადასხვა ორგანიზაციების ანგარიშებში. **საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის** მიხედვით, მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს და შედეგების შეჯამებისას. სახალხო დამცველი საუბრობს ფიზიკური დაპირისპირებებსა და ძალადობრივი ინციდენტებზე, რომლებიც უკვე ტენდენციად იქცა. სხვადასხვა გადაცდომებს შორის ანგარიშში მოხსენიებულია ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლი, მოსყიდვის შესაძლო შემთხვევები და სხვა.

საბოლოო ჯამში, სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნულმა დარღვევებმა დააზარალა არჩევნების მშვიდ გარემოში ჩატარების საჯარო ინტერესი.[74]

**საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI)** კენჭისყრის დღის გარემო მშვიდობიანად შეაფასა, თუმცა მოიხსენია იზოლირებული ინციდენტები გლდანსა და მარნეულში.[75]

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED**) დამკვირვებლების მიერ ფიზიკური ძალადობის/მუქარის ფაქტები საარჩევნო უბნების 2%-ზე დაფიქსირდა, რაც, ორგანიზაციის შეფასებით, მცირედ გაუარესებულია 2016 წლის არჩევნებთან შედარებით (1%).[76] ISFED-ის მიერ შეტანილ საჩივრებს შორის 17 შეეხებოდა ორგანიზაციის დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვას, რომელთაგან 3 განხორციელდა ფიზიკური ძალადობით ან ძალადობის მუქარით.[77]

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის** ანგარიშში დადებითად არის შეფასებული ხელისუფლების ძალისხმევა არჩევნებისთვის მშვიდი და თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების კუთხითაც. თუმცა, საბოლოო ჯამში, იმავე ორგანიზაციამ, პრაქტიკაში გამოვლენილი ძალადობრივი ფაქტების და დარღვევების ფონზე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ქართული ოცნების მმართველობის პირობებში ყველაზე ცუდად ორგანიზებულ არჩევნებად შეაფასა.[78]

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას, სხვადასხვა მედიასაშუალებებით აქტიურად შუქდებოდა ინფორმაცია საარჩევნო უბნებზე ე.წ. ძველი ბიჭების მობილიზების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციები საკუთარ ანგარიშებში აღწერენ ძალადობისა/დაშინების და საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნის ფაქტებს, არცერთ ანგარიშში არ არის განხილული საარჩევნო პროცესებში კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენელთა და უბნის ე.წ. ავტორიტეტების მონაწილეობის ფაქტები და მათი გავლენა ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობასა და საბოლოო ჯამში, არჩევნების შედეგებზე. **ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შეზღუდული სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშში აღნიშნულია** მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების უმრავლესობის გარეთ პარტიების კოორდინატორებისა და აქტივისტების ყოფნის ფაქტები, რომლებიც ხშირად ამომრჩეველთა აღრიცხვას აწარმოებდნენ.

---

[74] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, გვ. 317.
[75] IRI არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში, გვ. 10.
[76] ISFED - საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში 2020.pdf, გვ. 38.
[77] იქვე, გვ. 57.
[78] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, "საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია, წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში. 1-ლი ივნისი - 21 ნოემბერი, 2020, გვ. 9.

დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული მობილიზება, შესაძლოა, ამომრჩევლების დაშინებას იწვევდა.[79]

იქვე აღნიშნულია, რომ მართალია, კენჭისყრის კაბინებში ხმის მიცემის ფარულობა ძირითადად დაცული იყო, თუმცა, მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების უმრავლესობაში, ხმის მიცემის პროცესის, მუდმივი უნებართვო ვიდეო და ფოტო გადაღება პოტენციურად დაშინების გარემოს შექმნას უწყობდა ხელს: *"შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ შემთხვევების უმრავლესობაში უცნობი იყო ის თუ ვინ განათავსა ადგილებზე ვიდეო კამერები. ამგვარი ვიდეო ჩანაწერები ამომრჩევლებისთვის თვალის დევნების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რაც პოლიტიკური დაინტერესებული მხარეების მიერ არჩევნების დღის შემდეგ ბოროტად შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული."*[80]

არჩევნების დღეს გამოქვეყნდა **სახალხო დამცველის განცხადებაც,** რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ქსნის N15 პენიტენციური დაწესებულების ე.წ "მაყურებლები" ომბუდსმენის წარმომადგენლებს თავს დაესხნენ და არჩევნებზე დაკვირვების საშუალება არ მისცეს, რის შედეგადაც, სახალხო დამცველის განცხადებით, ვერ მოხერხდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება არაპრივილეგირებული პატიმრების უფლებების დაცვა. სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გაახსენა საზოგადოებას, რომ იგი არაერთი წელია, საუბრობს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ კრიმინალური სუბკულტურის პრობლემაზე, რაც ხშირად პატიმრების ჩაგვრისა და უფლებებით სარგებლობის შეზღუდვის მიზეზიც ხდება. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაწესებულების ადმინისტრაციას არაფერი გაუკეთებია მის წარმომადგენელთა მიმართ ზეწოლისა და შეურაცხყოფის აღსაკვეთად: "*მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის წევრების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა რამდენიმე წუთს გრძელდებოდა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მსჯავრდებულებისთვის არ მოუწოდებიათ შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება."*[81]

მთავარი არხის ეთერში გასულ სიუჟეტში ნათლად ჩანს ე.წ. ძველი ბიჭების მობილიზაცია ვანის საარჩევნო უბნებზე. მთავარის ინფორმაციით, *"ვანის საარჩევნო ოლქებთან, "ოცნების" დავალებით, კანონიერი ქურდის ძმის ლ.ნ-ს მიერ მობილიზებული ჯგუფები, უბანზე სიტუაციას აკვირდებიან და ამომრჩეველს მიუთითებენ ვინ უნდა შემოხაზონ. საარჩევნო უბნებთან გაშლილია სუფრა, ეწევიან მარიხუანას და ამბობენ, რომ დაბადების დღეს აღნიშნავენ".*[82]

კენჭისყრის დღეს ტვ "პირველის" სიუჟეტიც[83] გლდანის საარჩევნო უბნებზე ე.წ. „ძველი ბიჭების" მობილიზებას მიეძღვნა, რომლებიც აკონტროლებდნენ, ვინ ვის სასარგებლოდ აძლევს ხმას მათ მიერ კონტროლირებად უბნებში. იმავე სიუჟეტის თანახმად, "მოძველბიჭო ელემენტების" ანალოგიური მობილიზაცია აღინიშნებოდა სამგორის, მთაწმინდის, ისნის, ვეძისის და დიღმის საარჩევნო უბნებზეც. სიუჟეტში ნათქვამია, რომ ყველგან, სადაც "უბნის ბიჭები" იდგნენ, საარჩევნო პროცესი ფიზიკურ

---

[79] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, საქართველო, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეზღუდული საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ვარშავა, 2021 წლის 5 მარტი, გვ. 53.

[80] იქვე.

[81] https://ombudsman.ge/geo/190510074540siakhleebi/sakhalkho-damtsvelis-aparats-n15-penitentsiur-datsesebulebashi-khmis-mitsemis-protsesis-dakvirvebisa-da-patimrebtan-gasaubrebis-shesadzlebloba-ar-mietsa .

[82] https://mtavari.tv/news/21141-kanonieri-kurdis-dzma-misi-maqurebelta-jgupi.

[83] https://www.myvideo.ge/v/3981220.

დაპირისპირებაში გადაიზარდა, თუმცა ამ დაპირისპირებებზე პოლიცია, როგორც წესი, არ რეაგირებდა. სიუჟეტის მიხედვით, ე.წ. ძველ ბიჭებს, საარჩევნო უბნებზე, მმართველი პარტიის კოორდინატორების დაცვის ფუნქციაც ჰქონდათ შეთავსებული და საშუალებას არ აძლევდნენ მედიას, მიახლოებოდნენ მმართველი პარტიის აქტივს და მათთვის კითხვები დაესვათ. სიუჟეტში ჩანს, როგორ მიუთითებენ "ძველი ბიჭები" ამომრჩევლებს 41 ნომრის შემოხაზვისკენ და თავად მიაცილებენ ამომრჩეველს უბნისკენ, რა დროსაც "ქართული ოცნების" კოორდინატორები ამომრჩევლების პირად მონაცემებს ინიშნავენ. ჟურნალისტების კითხვას, რა მიზნით დგანან საარჩევნო უბნებთან, მხოლოდ აგრესია და შეურაცხყოფა მოყვება.

ტელეკომპანია "მთავარი არხის" ერთ-ერთ სიუჟეტში საუბარია ბათუმის 44-ე საარჩევნო უბანთან მობილიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებებზე, რომლებიც არჩევნებზე მოსულ ამომრჩევლებს აღრიცხავენ. სიუჟეტის თანახმად, *"დარღვევა აჭარის არაერთ უბანში დაფიქსირდა. ქედაში "ქართული ოცნების" მხარდამჭერებს საწვავის ტალონებიც დაურიგეს. ბათუმის რამდენიმე უბანში არჩევნებზე მისულ ადამიანებს ხელმოსაწერი გრაფა უკვე ხელმოწერილი ხვდებოდათ. "*[84]

2020 წლის 7 ნოემბერს, ტელეკომპანია "ფორმულას" გადაცემა "შაბათის ფორმულაში" გასული სიუჟეტი სახელწოდებით "უტიფარი არჩევნები"[85] აჯამებს არჩევნების დღეს, სხვადასხვა უბნებზე მომხდარ კანონდარღვევების ფაქტებს, რომლებიც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ე.წ. „ძველი ბიჭების" ქმედებებს უკავშირდება.[86]

2020 წლის 07 ნოემბერს, ტვ "პირველის" გადაცემა "ნოდარ მელაძის შაბათში" გასული სიუჟეტის მიხედვით, ცნობილი „კანონიერი ქურდის", ასლან უსოიანის (ე.წ „დედ ჰასანი") დისშვილი, გოჩა ბალოიანი საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართულ ოცნებას" გაურიგდა. გოჩა ბალოიანი არჩევნებში „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, სოზარ სუბარს ხმების მობილიზებაში ეხმარებოდა, სანაცვლოდ კი „ქართული ოცნება" გოჩა ბალოიანის შვილს, რომელიც ყაჩაღობის ბრალდებით არის დაკავებული, ციხიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლებდა. სიუჟეტის თანახმად, 31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, გ.ბ. თანხმლებ პირებთან ერთად, გადაადგილდებოდა ავტომანქანით, რომელზეც დაკრული იყო სოზარ სუბარის საარჩევნო პლაკატები, ამავე დროს ის შეურაცხყოფას აყენებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებს.[87]

2020 წლის 20 ნოემბერს, ტელეკომპანია "მთავარში" გასული სიუჟეტიც არჩევნებში კრიმინალური ავტორიტეტების როლს და "ქართულ ოცნებასთან" მათ კავშირს მიეძღვნა - სიუჟეტში საუბარია 31 ოქტომბრის არჩევნების "ყველაზე აგრესიულ და დასამახსოვრებელ პერსონაზე", რომელიც *ლევან კობიაშვილის სამადლობელ სუფრაზე დაპატიჟეს. "პოღოსა" იგივე თემურ გასანოვი , "რომელიც, პირველი ტურის დროს, ღიად ემუქრებოდა ჟურნალისტებს, ახლა სახეს მალავდა, მაგრამ მისი ამოცნობა მაინც მოხერხდა. კრიმინალი, რომლის წინააღმდეგაც გამოძიება ჟურნალისტური საქმიანობის ხელის შეშლისა და ძალადობის მუხლით მიმდინარეობს, გირაოთია გათავისუფლებული და მადლობას იღებს "ქართული ოცნებისგან."*[88]

---

[84] https://mtavari.tv/news/21131-dzalovnebi-kriminalebi-otsnebis-davalebas.

[85] https://formulanews.ge/News/39285.

[86] იქვე.

[87] https://www.facebook.com/watch/?v=730364654272898;

[88] https://mtavari.tv/news/23530-poghosas-otsnebis-sakhe-kriminalebi-mmartveli

სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშები და მედია მონიტორინგის შედეგები მოწმობს, რომ არაფორმალური ჯგუფები არც კენჭისყრის დღეს შემოფარგლულან მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლით. ანგარიშებში განსაკუთრებით მწვავედ არის ხაზგასმული გლდანისა და მარნეულის ინციდენტები.

კენჭისყრის დღეს მომხდარი ფიზიკური ძალადობის არაერთი ფაქტია აღწერილი **"საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველოს"** ანგარიშში. კერძოდ, საუბარია კენჭისყრის დღის მანძილზე მომხდარ რამდენიმე ფიზიკურ დაპირისპირებაზე გლდანის N39 საჯარო სკოლასთან, სადაც სამი საარჩევნო უბანი იყო განლაგებული. დაპირისპირებების დროს დაზარალდნენ ჟურნალისტებიც, რომლებიც ადგილიდან ცდილობდნენ ინციდენტების გაშუქებას.[89] სახალხო დამცველის ინფორმაციით, აღნიშნულზე გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით დაიწყო, ერთი პირი ცნობილი იქნა დაზარალებულად, ხოლო ერთს ბრალი წარედგინა სსკ-ის 126-ე და 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლებით.[90]

იმავე ანგარიშში მითთებულია ფიზიკური ძალადობის თაობაზე ქუთაისის მერის რიგგარეშე არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის მერობის კანდიდატის, ირაკლი კიკვაძის მიმართ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი N37 უბნის გარეთ სცემეს. შემთხვევას ადასტურებს თვითმხილველიც, რომელიც 15-მდე თავდამსხმელზე საუბრობს.[91] ტელეკომპანია "მეგას" ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 162[1] მუხლის მე-3 ნაწილით (საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ჩადენილი ჯგუფურად) დაიწყო.[92]

ანგარიშში მითთებულია, ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. დაშტაფის N52 და სოფ. ყიზილაჯლოს N89 საარჩევნო უბნებზე, ზუგდიდის N80 საარჩევნო უბანთან, რუსთავის N16 საარჩევნო უბანთან მომხდარი ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე. რუსთავის შემთხვევაში ხუთამდე პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა თავად "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" დამკვირვებელს მიაყენა. ანგარიშში მითითებულია, რომ შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო.[93]

ტელეკომპანია "მთავარი არხის" სიუჟეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გლდანის 84-ე უბნის ინციდენტს, სადაც ფიზიკურ დაპირისპირებას სროლაც მოჰყვა.[94] "მთავარმა არხმა" გლდანის ინციდენტის ვიდეომასალა მოიპოვა, სადაც ჩანს, რომ დაპირისპირების ერთ-ერთ მონაწილეს ხელში ცეცხლსასროლი იარაღი უჭირავს. "მთავარი არხის" ინფორმაციით, ხელჩართული დაპირისპირებისა და სროლის მთავარ ორგანიზატორად ე.წ. კანონიერი ქურდის, ნოდარ შუკაკიძის ძმა, ლევან შუკაკიძე

---

[89]"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში, 24 დეკემბერი, 2020, გვ. 15.

[90] საქართველოს სახალხო დამცველის წერილი N24/8662, 7 სექტემბერი 2021 წელი.

[91] "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში, 24 დეკემბერი, 2020, გვ. 15.

[92] https://megatv.ge/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90/

[93]"საერთაშორისო გამჭვირვალეობა - საქართველო", "ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის - საბოლოო ანგარიში", დეკემბერი 2020 წელი, გვ. 15.

[94] https://mtavari.tv/news/21104-srola-gldanshi-dapirispirebis-detalebi.

სახელდება.[95] მოსახლეობის ინფორმაციით, ლევან შუკაკიძე "ქართულ ოცნებასთან", უფრო კონკრეტულად კი, გლდანის, მაჟორიტარობის კანდიდატთან, ლევან კობიაშვილთან, დაახლოებული პირია.[96] ნიკა მელიას მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, პირი, რომელიც გლდანის 84-ე უბანზე ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილდება, თბილისის მერის, კახა კალაძის ბავშვობის მეგობარი დათო კვიჟინაძეა.[97] ტელეკომპანია "მთავარის" ცნობით, აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით შსს-მ 5 პირი დააკავა.[98]

ტელეკომპანია "მთავარი არხის" სიუჟეტი სამგორის 39-ე უბანზე ფიზიკურ დაპირისპირებასაც მიეძღვნა: *"ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ტერიტორიაზე ოპოზიციის წარმომადგენლებმა და დამკვირვებლებმა უბანთან მობილიზებული "ოცნების" წარმომადგენლები და ე. წ. ძველი ბიჭები დააფიქსირეს. მმართველი გუნდის კოორდინატორები ამომრჩევლების სიებით გადაადგილდებოდნენ. ჩხუბის დრო ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციელები, რომლებმაც ტერიტორიიდან ისევ ოპოზიციის დამკვირვებლები გაიყვანეს."*[99]

თელავსა და მარნეულში მიმდინარე საარჩევნო პროცესის თანმდევ ძალადობასა და მასში სხვადასხვა ელემენტების ჩართულობაზე ასევე ისაუბრა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ. მისი განცხადებით, მარნეულის მეხუთე უბანზე "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებელი "ადვოკატთა და იურისტთა საერთაშრისო საზოგადოების" წარმომადგენელმა სცემა, ხოლო თელავის მეხუთე უბანზე დამკვირვებელს მობილური წაართვეს, დარღვევის ამსახველი ფოტო წაუშალეს და უბნიდან გამოაძევეს.[100]

### *5.1.2.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები*

ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ არჩევნების გაყალბების პროცესი კენჭისყრის დღემდე ბევრად უფრო ადრე იწყება და ფაქტობრივად უფრო მასშტაბური სწორედ წინასაარჩევნო პერიოდშია, თუმცა კენჭისყრის დღესაც ხდება ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედება და ამ პროცესშიც ე.წ. „არაფორმალურ ავტორიტეტებს" თავიანთი როლი აქვთ განსაზღვრული. ისინი ცდილობენ, ერთი მხრივ, გადაამოწმონ ყველა იმ ამომრჩევლის გამოცხადება კენჭისყრის უბანზე, რომელთა ხმასაც ხელისუფლების სასარგებლოდ მოიაზრებენ და მეორე მხრივ, ყველა ზომას ხმარობენ, რათა ნეიტრალური ან ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი არჩევნებზე არ გამოცხადდეს. შესაბამისად, არაფორმალური ჯგუფები ერთდროულად სახელისუფლებო ხმების მობილიზებას და ოპოზიციურად განწყობილი ან გადაუწყვეტელი ამომრჩევლის საარჩევნო პროცესიდან იზოლირებას უზრუნველყოფენ.

---

[95] https://mtavari.tv/news/21136-mtavarma-arkhma-gldanshi-dapirispirebis.
[96] https://mtavari.tv/news/21124-srola-gldanshi-mosakhleoba-dapirispirebis.
[97] https://droa.ge/?p=89546.
[98] https://mtavari.tv/news/21106-shinagan-sakmeta-saministrom-gldanshi-momkhdar.
[99] https://mtavari.tv/news/21043-dasakhotsebi-khart-tkveni-dzveli-bichebi-otsnebis .
[100] https://mtavari.tv/news/21055-saias-damkvirvebeli-stsemes-darghvevebis.

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისევე, როგორც წინასაარჩევნო პროცესში, ამ ეტაპზეც ზემოქმედების ბერკეტებს შორის არის **ფსიქოლოგიური ძალადობა.** რესპონდენტების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ე.წ. „უბნის ავტორიტეტები“ და „უბნის/ძველი ბიჭები“, როგორც წინასაარჩევნოდ, ისე არჩევნების დღეს, უბნებში აქტიურად გამოჩენით ცდილობენ, გარკვეული ზეწოლა მოახდინონ ოპოზიციურად ან ნეიტრალურად განწყობილ ამომრჩეველზე. ისინი ჯგუფდებიან საარჩევნო უბნებთან, რითაც მიანიშნებენ ამომრჩეველს, რომ თვალყურს ადევნებენ ხმის მიცემის პროცესს და ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ აკონტროლებენ ამომრჩევლის ხმის მიცემის და ნების გამოხატვის პროცედურას. როგორც კვლევამ აჩვენა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სწორედ ხმის მიცემის ფარულობის მიმართ ამომრჩევლის სკეპტიციზმი წარმოადგენს. რესპონდენტების ნაწილმა დაასახელა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბნებზე ე.წ. უბნის ავტორიტეტების მიერ შექმნილმა დაძაბულობამ და არაკეთილსაიმედო საარჩევნო გარემომ აიძულა ოპოზიციური განწყობის ამომრჩეველი, საარჩევნო უბნიდან უკან გაბრუნებულიყო და უარი ეთქვა მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებაზე. რესპონდენტების განცხადებით, ამომრჩეველს ხშირად ეუბნებიან, რომ კანდიდატები წავლენ, ისინი კი იმ უბანში რჩებიან და შემდეგ “მიხედავენ”, ან უფრო პოზიტიურად აყალიბებენ გზავნილს და ჰპირდებიან, რომ დაეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

> **პოლიტიკური პარტია “ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი #1:** *„ჩემი სოფლელი გლეხი უბრალოდ მიდის, რო თავისი არჩევანი გააკეთოს, როდესაც იცის, რომ გარეთ ხვდება 20-30 ასეთი კატეგორიის ადამიანი, ეშინია მას, შვილი ჰყავს, ცოლი ჰყავს, ოჯახი ჰყავს, ამიტომ ეგ არის მათთვის შემაკავებელი ფაქტორი. ამ სამი მიმართულებით მუშაობენ, ეს არის დაშინება, მოსყიდვა და უბანზე ისეთი დისკომფორტის შექმნა, რომ ჩვენი ამომრჩეველი მანდ არ მივიდეს.“*

> **პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი #2***: „ეს X თავის საძმოსთან ერთად მოძრაობდა და აკვირდებოდა ხალხს. ზოგს ესალმებოდა, ხომ იცი, რა უნდა გააკეთო, ესეთი საუბრები იყო, ოღონდ ეს ხდებოდა უბნის გარეთ.“*

> **პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი #1***: „არჩევნებზე ვინც მოდის, იმათზე გავლენის მოხდენა. შესვლამდე დალაპარაკება ან ვინმე არასასურველი თუ მოვა არჩევნებზე, უკან გაბრუნება.“*

> **პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი #1:** *„კენჭისყრის დროს ჩვეულებრივად ბეისბოლის ბიტებით დგანან უბნებთან რომ შეგეშინდეს.“*

> **პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი #2:** *„კონკრეტულ შემთხვევაში იყო ასეთი მესიჯი რომ ესენი რომ წავლენ შემდეგ მოგხედავთ და ადამიანს, ნორმალურ, წესიერს, აქვს შიში მოკრიმინალო ჯგუფების, ადამიანების იმიტომ რომ რას იკადრებს და რას იზამს კაცმა არ იცის.“*

> **პოლიტიკური პარტია “გირჩი - მეტი თავისუფლება”-ს წარმომადგენელი:** *„იქვე იყვნენ ჩაკუზულები, რეკავდნენ და მესმოდა, ეუბნებიან, „რა პონტში არ მოდიხარ, ძმაო, ჩვენი ძმა არის აგერ ციხეში და კაცს ციხეში ტოვებ, ბრაატ, არ მოსულა ძმაო ეგეთი საქციელი“ და იქიდან თუ რაღაცას პასუხობდნენ, სიტყვაზე, შეიძლება უთხრან, რომ სუფრაზე ვარ ან რაღაცა, აქედან*

*მობილიზებულები არიან ესენი და ეუბნებიან, „ეგ არ არის პრობლემა, ბრატ, სად ხარ, მითხარი და მანქანას გამოგიგზავნი“... თითო ხმაზე ჩალიჩობენ, მანქანების გაგზავნა და მოყვანა სათითაოდ ამ ხალხის“.*

**პოლიტიკური პარტია “ელენე ხოშტარია - დროა”-ს წარმომადგენელი:** *„ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტი X დილიდან იქ იყო გამაგრებული თავის ბიჭებთან ერთად და ვცდილობდი, რომ თუ რამე მოხდებოდა, მათი იქ ყოფნის კადრები წინასწარ მქონოდა. ვხედავდი, იქ იყო ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი, მათ შორის, მესმოდა, რომ საუბრობდნენ და მათი ნაწილი გაბრუნდა უკან. ამ ინციდენტმა გამოიწვია შიში, რომ აი, მე წავალ, დავუშვათ, ამ უბნიდან დღის ბოლოს და მერე ჩვენ ვინ დაგვიცვას?!“.*

***საქართველოს* ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი:** *“მობილიზებული იყვნენ ძველი ბიჭები და აკონტროლებდნენ სიტუაციას, რომ თუ რომელიმე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი რაიმეზე თვალს არ დახუჭავდა და რაიმე ტიპის რეაგირება ექნებოდა, აჩუმებდნენ ამ ადამიანებს. ერთ-ერთს ფეისბუქის ერთ-ერთ ჯგუფში X-თან დაკავშირებული კრიტიკული მოსაზრებების გამო დაუნიშნეს შეხვედრა, ე.წ. „სტრელკები“ და საქმის გარჩევები, რომ ჩვენ ჩვენი უბნისთვის კარგი გვინდა და შენ ვინ გეკითხება და მოეშვი კრიტიკას, თორემ შემდეგზე დავილაპარაკებთ სხვანაირად.“*

**პოლიტიკური პარტია “გირჩის” წარმომადგენელი:** *“ფაქტია, რომ მათი (ქართული ოცნების) სახელით ხალხი მიდის და ვიღაცა ძველი ბიჭები “აკაჩავებენ” ხალხს. თან არ ვიცი, ეს როდის მერე იყო, რომ ქურდულად შეიძლება აწვებოდე არჩევნების ამბავს. ეს პირველად ხდება მემგონი. ნოუ-ჰაუ ქართული ოცნებისგან”.*

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი:** *„როდესაც 2020 არჩევნების დროს დამკვირებლად მობილური ჯგუფიდან შევდიოდი უბანზე შუადღეს, რომ მენახა, რა სიტუაცია იყო, გადამიდგნენ და მითხრეს, რომ ვერ შევიდოდი, იმიტომ, რომ უბნის უფროსი არ იყო ადგილზე. ვიკითხე სტატუსი, ვინ არის ეს უბნის უფროსი (ეს ხდება გორში, საზღვრისპირა სოფლებში) და აქაურობის უფროსია და მის გარეშე აქ არაფერი არ ხდებაო. გაწევა დამჭირდა ადამიანის, რომ უბნაზე შევსულიყავი, ძველი ბიჭები იყვნენ, რა თქმა უნდა, და რომ შევედი და გამოვედი, ეს უფროსიც დამხვდა ბოდიშებით, რომ არ იცოდაო, ვინ იყავითო, უცხო ხალხთან ცოტა ფრთხილად ვართო.“*

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფარგლებში, რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ როდესაც ამომრჩეველი აკვირდება ე.წ. “უბნის ავტორიტეტების” ქცევას პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან, ან უბრალოდ ხედავს, რომ საარჩევნო უბანზე აყალმაყალი და დაძაბულობაა, ამჯობინებს, ზეწოლა, კონფლიქტი თავიდან აირიდოს და საერთოდ არ გამოცხადდეს საარჩევნო უბანზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ის პირები, რომლებიც ზეწოლას განიცდიან, იმდენად არიან დაშინებულნი, რომ ხშირად, ამ ფაქტის გახმაურებასაც ერიდებიან და საჯარო განცხადებების და შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვის წინააღმდეგნი არიან.

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი:** *„მე გახლდით 2020 მეორე ტურის არჩევნებზე და თითქმის ყველა უბანი მოვიარე. რუსთავში, მაგალითად და აი იქ აშკარად შეინიშნებოდა*

*ალკოჰოლური თუ სხვა ტიპის ნივთიერებების თრობის ქვეშ მყოფი პირები. უბნის სიახლოვეს, ეზოსთან ძალიან ახლოს, მანქანებში იყვნენ ეს ადამიანები ....ძალიან ახლოს მომიახლოვდნენ, მართალია, არ ყოფილა ვერბალური კომუნიკაცია, მაგრამ არ იყო ჩემთვის სასიამოვნო თუნდაც უსიტყვო კომუნიკაცია. იმდენად ბარბაცებდნენ, რომ ვფიქრობდი, ეხლა დამეჯახებიან თქო. როდესაც ადამიანი მიდის საარჩევნო უბანზე, კანონის და კარგი პრაქტიკის მიხედვით არ უნდა ჰქონდეს დისკომფორტი. ....ამომრჩეველი უბრალოდ თავის არიდების მიზნით, რომ არ მოხვდეს ან არ გაეხვას შარში, ურჩევნია, არ მივიდეს საარჩევნო უბანზე ან თავი შეიკავოს. ან თუ მივა ... ამდენი ადამიანის მობილიზების პირობებში ფიქრობს, რომ ის უბრალოდ კუთხეშია მიმწყვდეული და მისი ნება არც ისე ფარულია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მათ, უმეტეს შემთხვევაში, ამომრჩეველთან პირდაპირი კომუნიკაცია არ აქვთ, ეს გარემო თავად ქმნის ამომრჩეველზე ზემოქმედების რისკებს.“*

**პოლიტიკური პარტია “სტრატეგია აღმაშენებლის” წარმომადგენელი:** *„ქართული ოცნების შტაბთან არიან სრულ კოორდინაციაში, მობილიზებული არიან უბნებთან, აკეთებენ ასეთ რაღაცას, ზემოქმედების დერეფანი დავარქვათ და როცა ადამიანი მოდის უბანთან, აუცილებლად მოუწევს ამ ადამიანებისთვის თვალებში ჩახედვა. და მარტივი მესიჯი აქვთ, ხო იცი, რაც უნდა გააკეთო.“*

## 5.2 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

### 5.2.1 წინასაარჩევნო გარემო

#### *5.2.1.1 სამაგიდე კვლევის შედეგები*

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემოც მეტ-ნაკლებად კონკურენტულ, თუმცა დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა კანდიდატების დაშინების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები. 2021 წლის საარჩევნო პერიოდში, გასული წლის მსგავსად, ძალადობისა და დაშინების ფაქტებმა არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატა. აღნიშნული საკითხები დასტურდება სხვადასხვა სადამკვირვებლო მისიის ანგარიშებით, მედიაში გასული სიუჟეტებით, საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა განცხადებებით.

2021 წლის 30 სექტემბერს **საქართველოს სახალხო დამცველმა** გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ *“გამოიკვეთა ოპოზიციური პარტიების კანდიდატების მიმართ სავარაუდო ზეწოლის, ძალადობის, საბავშვო ბაღებში/საჯარო სკოლებში დასაქმებულ პირთა მიმართ პოლიტიკური ზეწოლისა და პერსონალური მონაცემების სავარაუდოდ უკანონო დამუშავების, ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტები. ასევე, გამოიკვეთა მედიისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის მტრული გარემოს შექმნის ტენდენციაც.”*[101]

---

[101] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, 30 სექტემბერი 2021 წელი.

**ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიშის თანახმად**, წინასაარჩევნო პერიოდში საუბარი იყო კანდიდატებზე ზეწოლაზე, რათა მათ კანდიდატურა მოეხსნათ.[102] ამავე ანგარიშის თანახმად, ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში დაგმო აქციების მიმდინარეობისას ჟურნალისტებზე მასობრივი ძალადობა და ხელისუფლებას ბოლო წლებში მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი ყველა ძალადობის შემცველი ინციდენტის და არასათანადო მოპყრობის სრულად გამოძიებისკენ მოუწოდა.[103]

**სამი ავტორიტეტული ადგილობრივი ორგანიზაციის** 2021 წლის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასების დოკუმენტის თანახმად, წინასაარჩევნო გარემო იყო მეტ-ნაკლებად კონკურენტული ამის მიუხედავად, ადმინისტრაციული და სხვა სახის რესურსების მობილიზაციის ხარჯზე აშკარა იყო მმართველი პარტიის დიდი უპირატესობა.[104] ანგარიშში საუბარია პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის, მუქარის, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების ან წასვლის იძულების ფაქტებსა და მათ არაეფექტიან გამოძიებაზე.[105]

იმავე ტენდენციებზეა საუბარი **საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის** (IRI) სადამკვირვებლო მისიის ანგარიშშიც.[106]

2021 წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნდა **საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მოხსენება მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის თაობაზე წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ**. მოხსენებაში ნათქვამია, რომ არჩევნები, ზოგადად, კარგად ადმინისტრირებული იყო, კანდიდატებს კამპანიის თავისუფლად წარმართვა შეეძლოთ და არჩევნების დღემაც მთლიანობაში მშვიდად ჩაიარა, თუმცა, ამის პარალელურად, ანგარიშში საუბარია უწყვეტ პოლარიზაციასა და ნეგატიური რიტორიკის გამწვავებაზე, რამაც პროცესზე უარყოფითად იმოქმედა. იმავე დოკუმენტის თანახმად, შენარჩუნდა ამომრჩევლების დაშინებისა და ზეწოლის ბრალდებები, ხოლო რესურსებს შორის მკვეთრი დისბალანსი და ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებული შეუსაბამო უპირატესობა მმართველ პარტიას დამატებით აძლევდა ხელს და საასპარეზო პირობებს ცვლიდა.[107] *"ასევე ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ცალკეული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, შეშფოთების საფუძველს ქმნიდა."*[108]

ზემოაღნიშნული შეფასება, თავის განცხადებაში, **ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომაც** გაიზიარა.[109] იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ მეორე ტურშიც გაგრძელდა დაშინება,

---

[102] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია საქართველოში, ადგილობრივი არჩევნები, 2 ოქტომბერი 2021 წელი, შუალედური ანგარიში, 26 აგვისტო - 15 სექტემბერი, 17 სექტემბერი 2021, გვ.11-12.

[103] იქვე, გვ. 16.

[104] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება, 01 ოქტომბერი, 2021.

[105] იქვე.

[106] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), არჩევნების ტექნიკური შეფასების მისიის ანგარიში საქართველოს, 28 ოქტომბერი 2021, გვ. 1, 10, 12, 13.

[107] საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საქართველო - მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი - მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ წინასწარი დასკვნები, გვ. 1.

[108] იქვე.

[109] https://www.facebook.com/usingeo/posts/10159539293312954

შეურაცხმყოფელი რიტორიკა, ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენება, ხმების აშკარად მოსყიდვის შესახებ ცნობები და სხვა დარღვევები.[110]

2021 წლის 29 ოქტომბერს **სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში** გამოაქვეყნა, რომელშიც ორგანიზაცია კვლავ მთელ რიგ დარღვევებსა და არაჯანსაღ გარემოზე საუბრობს: *"მეორე ტურის ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა, აღნიშნულ პერიოდში კვლავ დაფიქსირდა სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის/მუქარის/ხელის შეშლის, ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების, სოციალური ქსელით აგიტაციისა და ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის რამდენიმე ფაქტი."*[111]

**საქართველოს სახალხო დამცველის** 2021 წლის 30 სექტემბრის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, სავარაუდო ზეწოლა და დაშინება 59 ოპოზიციური კანდიდატის მიმართ განხორციელდა, რის შედეგადაც აღნიშნულმა პირებმა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, განცხადებები დაწერეს კანდიდატურის მოხსნის თაობაზე. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ პარტიების ცნობით, სავარაუდო მუქარების ერთ-ერთი წყარო კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პირებიც იყვნენ. *"პარტიების ცნობით, კანდიდატებს ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით, საკუთრების დაზიანებით და სამეწარმეო საქმიანობაში ხელშეშლით (ცალკეულ შემთხვევებში კანდიდატების კომპანიებში სახელმწიფო უწყებებმა ინსპექტირება დაიწყეს), ოჯახის წევრებისა და ახლობლების უსაფრთხოების ხელყოფით, მათი სამსახურიდან გაშვებით, სოციალური დახმარების მოხსნით, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის არასასურველად დასრულებით. ზოგს კი, კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში, სამომავლოდ დასაქმებას ან ოჯახის წევრის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ჰპირდებოდნენ." "ის ფაქტი, რომ თითქმის არცერთ კანდიდატს არ სურს მომხდარზე საუბარი არც საჯაროდ და არც სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ზეწოლის/მუქარის განხორციელების შემთხვევაში, ყოფილ კანდიდატებს მუქარის აღსრულების მოლოდინი აქვთ."*[112]

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების I შუალედური ანგარიშის** თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ ფიქსირდებოდა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლებისა და ზეწოლა/მუქარის ტენდენციები. ანგარიშის თანახმად, გამოვლინდა ოპოზიციის მიერ წარდგენილ კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები, რათა მათ უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე.[113] ასევე, ორგანიზაციის დაკვირვებით, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა:

---

[110] იქვე.

[111] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 29 ოქტომბერი 2021, გვ. 4-5.

[112] საქართველოს სახალხო დამცველის ანცხადება წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით, 30 სექტემბერი 2021 წელი.

[113] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში, 29 ოქტომბერი 2021, გვ. 4.

სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ძალადობის - 2; სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების/წასვლის იძულების - 4, სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის/მუქარის/ხელის შეშლის - 21, ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენებისა და არაუფლებამოსილი პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის - 15, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის - 5, მოქმედი თანამდებობის პირების კამპანიის - 1, საგანმანათლებლო დაწესებულებების პოლიტიზების - 5 ფაქტი. „სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელზე ზეწოლის 1 შემთხვევა; ქვეყნის მასშტაბით - სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტები.[114]

2021 წლის 11 სექტემბერს, ვანში, მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენისას, გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს მმართველი პარტიის მხარდამჭერები დაესხნენ თავს და შეხვედრის ჩაშლა სცადეს.[115] მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ინციდენტში მონაწილე პირები ვანის მერიის სპორტის ააიპ-ის თანამშრომელი და ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტი აღმოჩნდნენ.[116] მომხდართან დაკავშირებით "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი ხატია დეკანოიძე პოლიციაში დაიბარეს,[117] თუმცა უცნობია, დაიწყო თუ არა გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე.

2021 წლის 20 სექტემბერს, რუსთავში, საკუთარ სადარბაზოსთან, სასტიკად სცემეს ყოფილი საჯარო მოხელე ვანო გველესიანი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ოპოზიციიის წინასაარჩევნო კამპანიაში. დაზარალებულმა მრავლობითი მოტეხილობა და ტვინის შერყევა მიიღო.[118] მისი ნათესავის განცხადებით, დაზარალებული წარსულში გააფრთხილეს, რომ პოლიტიკური აქტივობისთვის თავი დაენებებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ.[119] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისოს საზოგადოების ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო.[120]

2021 წლის 21 სექტემბერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში, გაერთიანებული ოპოზიციის მერობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრისას მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დროს ოპოზიციის ორი მხარდამჭერი ცივი იარაღით დაჭრეს. იმავე ინციდენტის დროს სხვა რამდენიმე

---

[114] იქვე, გვ. 5-6.

[115] https://mtavari.tv/news/56120-dapirispireba-vanshi-otsnebis-mkhardamcherebi; https://newposts.ge/news/politica/videokhmauri-da-dapirispireba-vanshi-qartuli-otsnebis-mkhardamcherebma-opozitsiis-tsinasaarchevno-shekhvedris-chashla-stsades; https://www.alia.ge/mauri-da-dapirispireba-vanshi-qarthuli-otsnebis-mkhardamtcherebma-opozitsiis-tsinasaarchevno-shekhvedris-chashla-stsades/.

[116] https://mtavari.tv/news/56124-sajaro-mokhele-kriminaluri-avtoriteti-vin-arian?fbclid=IwAR1hAdeaMyAZMUy-VgI9D74IHiq6c9Op3S4E7DDKBQ4OuzpAFHl_WCpYdvw

[117] http://cyc.ge/%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%94%e1%83%99%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a8/?fbclid=IwAR3rZflgSkjDnWEx8S0JGA5ZFMeAfyQLJv-tHR8yNszjGDNi9PtkJsjDf2A

[118] https://mtavari.tv/news/57257-motekhilobebi-tvinis-sherqeva-otsnebis?fbclid=IwAR3lovRPZFf-L9ii4Ub-dS-u7G8ajz9RMkli_G1Od2B2Qdo4zxjjCJnSxRk; https://www.radiotavisupleba.ge/a/31470862.html

[119] https://www.alia.ge/etchvi-gvaqvs-kastetithaa-natsemi-rusthavshi-enm-is-mkhardamtchers-thavs-daeskhnen/.

[120] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წისაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის II შუალედური ანგარიში, 01 სექტემბერი 2021 წელი, გვ. 16.

პირიც დაშავდა.[121] ენმ-ის წევრმა, კახა ოქრიაშვილმა თავმდამსხმელების ვინაობა დაასახელა, მათ შორის არიან "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი და მისი ვაჟი.[122]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე სამართალდამცველებმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 1 პირი დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით (ჯგუფური ძალადობა) მიმდინარეობს.[123]

**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო** საქართველოში დმანისისა და რუსთავის ინციდენტებს გამოეხმაურა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ *"ამერიკის შეერთებული შტატები გმობს ძალადობრივ, როგორც ჩანს, პოლიტიკურად მოტივირებულ თავდასხმებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინ დმანისსა და რუსთავში. ეს და ქვეყნის მასშტაბით ოპოზიციის კანდიდატების მიმართ ზეწოლისა და დაშინების შესახებ მრავალი ცნობა წარმოშობს სერიოზულ ეჭვებს მთავრობის ერთგულებაზე უსაფრთხო წინასაარჩევნო კამპანიისა და დემოკრატიული არჩევნების მიმართ."*[124]

2021 წლის 25 სექტემბერს, ცაგერში, ღამით, პარტია "საქართველოსთვის" ცაგერის მერობის კანდიდატის მანქანა მისივე საცხოვრებელი სახლის წინ დაცხრილეს.[125] "ნეტგაზეთის" ინფორმაციით, შსს-მ გამოძიება სსკ 187-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის განადგურებას ან დაზიანებას გულისხმობს.[126]

სამაგიდე კვლევის შედეგები ადასტურებს გახშირებულ ზეწოლის ფაქტებს ოპოზიციურ კანდიდატებზე, რის შედეგადაც ბევრმა მათგანმა კანდიდატურა მოხსნა. როგორც მედია საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაციითა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებიდან ირკვევა, ოპოზიციონერ კანდიდატებზე ზეწოლას, გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო მოხელეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ან კრიმინალური სუბკულტურის წარმომადგენლები ახორციელებდნენ.

2021 წლის 24 ნოემბერს, პარტია "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" გამოაქვეყნა აუდიო ჩანაწერი, რომელიც, პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ადასტურებს "ქართული ოცნების" ზეწოლას ბათუმის საკრებულოში, მათ მაჟორიტარ დეპუტატზე, ნუგზარ ფუტკარაძეზე, რომელიც აუდიოჩანაწერის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე გულის შეტევით გარდაიცვალა.[127] ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ყოფილი ძალოვნები ნუგზარ ფუტკარაძეს, ასი ათასი დოლარის სანაცვლოდ, პარტიის დატოვებას და საკრებულოში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით მუშაობის გაგრძელებას სთხოვდნენ, რაზეც ნ.ფუტკარაძემ უარი განაცხადა. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის თქმით, დეპუტატმა თვითონვე გააკეთა ჩანაწერები, როდესაც მასზე ზეწოლა

---

[121] https://www.radiotavisupleba.ge/a/31471302.html; https://mtavari.tv/news/57219-dmanisshi-opozitsiis-2-mkhardamcheri-dachres?fbclid=IwAR25dwImy4kj3x6oxdpmpKeLqpGFKF-NUvKmCQWYCca7H-Dl5YMpbG5Uvdg;
[122] https://formulanews.ge/News/56965?fbclid=IwAR25dwImy4kj3x6oxdpmpKeLqpGFKF-NUvKmCQWYCca7H-Dl5YMpbG5Uvdg;
[123] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-dmanisis-munitsipalitetshi%C2%A0momkhdari-dachris-faqti-tskhel-kvalze-gakhsna-dakavebulia-1-piri/14924.
[124] https://www.facebook.com/usingeo/posts/10159470636972954.
[125] https://netgazeti.ge/news/565055/; https://mtavari.tv/news/57697-sami-tqviaa-nasroli-cinascari-monatsemebit-akm?fbclid=IwAR2b_P7aU__G3UUR2A1BX2JQWiiFqIC4IANjv94MglUY1u_74vHfiJN7dfA.
[126] https://netgazeti.ge/news/565055/.
[127] https://www.radiotavisupleba.ge/a/31576612.html.

გაუსაძლისი გახდა.[128] ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებას ზეწოლით გამოწვეულ ნერვიულობას უკავშირებს.[129]

2021 წლის 29 ოქტომბერს, პარტია "საქართველოსთვის" ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ქალაქის საკრებულოში პროპორციული სიით არჩეულმა ირაკლი თავდგირიძემ პარტია დატოვა და განაცხადა, რომ დამოუკიდებლად გააგრძელებდა მუშაობას.[130] იმავე დღეს პარტია "საქართველოსთვის" ბათუმის ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ მათი ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე „ქართულმა ოცნებამ" მოისყიდა ან დააშინა.[131]

2021 წლის 08 სექტემბერს, პარტია "საქართველოსთვის" ხაშურის მერობის კანდიდატმა, ზვიად ტეფნაძემ განაცხადა, რომ მას ე.წ. „კანონიერი ქურდები" სიცოცხლის მოსპობითა და ქონების გადაწვით ემუქრებიან.[132] მისივე განცხადებით, მისი პოლიტიკური დევნის პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ისე კრიმინალური ავტორიტეტები.[133] აღსანიშნავია, რომ ზვიად ტეფნაძე 2021 წლის ივლისამდე ხაშურის საკრებულოში პარტია "ქართულ ოცნებას" წარმოადგენდა.[134]

2021 წლის 19 სექტემბერს, "მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებლის" სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაში-იანეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა ნიკა საკანდელიძემ, მის მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრა. ნ.საკანდელიძის თქმით, მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და შვილების დახოცვით დაემუქრნენ, რის შემდეგაც მან კანდიდატურის მოხსნაზე "ქართული ოცნების" სამტრედიის ოფისში განცხადება დაწერა. აღსანიშნავია, რომ პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, საკანდელიძის მიერ კანდიდატურის მოხსნის შესახებ სიუჟეტი ტელეკომპანია "იმედზე" საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამისი განცხადების რეგისტრაციამდე გავიდა.[135] ნ.საკანდელიძემ ასევე განაცხადა, რომ მასთან ერთად კანდიდატურა მოხსნა ნაზაკევის მაჟორიტარობის კანდიდატმა პარტია "ლელო"-დან.[136]

ეს და სხვა მრავალი ზეწოლის ფაქტი გაშუქდა მედია საშუალებებით და ასევე აღწერილია ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებში. მაგალითად, მედია გამოცემა "ბათუმელების" ინფორმაციით, კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით ზეწოლა და მუქარა ასევე განხორციელდა, აჭარის მუნიციპალიტეტის ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარობის კანდიდატზე.[137]

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების** ანგარიშის მიხედვით, ზეწოლისა და მუქარის შედეგად კანდიტატურა მოხსნეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჭალე-მუჟავას

---

128 https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/13190-zetsola-nugzar-putkaradzeze-enm-m-audiochanatseri-gaasajarova.
129 https://www.radiotavisupleba.ge/a/31576612.html.
130 https://www.radiotavisupleba.ge/a/31534997.html.
131 https://1tv.ge/news/partia-saqartvelostvis-batumis-organizaciashi-ackhadeben-rom-mati-yofili-tavmjdomare-irakli-tavdgiridze-qartulma-ocnebam-moisyida-an-daashina/.
132 https://www.facebook.com/G.Vashadze/videos/560013315277656/.
133 https://fortuna.ge/fortuna/post/gakharias-tanagundeli-da-khashuris-merobis-kandidati-zviad-tefnadze-ackhadebs-rom-mas-e-w-kanonieri-qurdebi-sicockhlis-mospobita-da-qonebis-gadawvit-emuqrebian.
134 https://www.facebook.com/Qartli.ge/posts/4249281168454764/; https://netgazeti.ge/news/554156/.
135 http://www.electionsportal.ge/geo/incident/6657.
136 https://netgazeti.ge/news/564051/.
137 https://batumelebi.netgazeti.ge/news/364649/?fbclid=IwAR1O7srDqMD_pOkjREU5r8MMJfua2I4b0IpbyYBsjm6w0NCxXvVJyI4ZlrY.

მაჟორიტარობის კანდიდატმა პარტია "საქართველოსთვის" ასევე, კანდიდატმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან", რის შედეგადაც აღნიშნულ მაჟორიტარულ ოლქში ერთადერთი კანდიდატი "ქართული ოცნებიდან" დარჩა.[138] ამავე ანგარიშის თანახმად, ზეწოლა და მუქარა ასევე განხორციელდა ოპოზიციური პარტიების სხვა არაერთ მაჟორიტარობის კანდიდატზე.[139]

ოპოზიციონერი კანდიდატების მიმართ სავარაუდო მუქარისა და იძულების ფაქტებზე საუბრობს ასევე, **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მეორე შუალედური ანგარიშიც.**[140]

**ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშები** იშვიათად მიუთითებს საარჩევნო პერიოდში განხორციელებული ძალადობისა და ზეწოლის ავტორების კრიმინალური სამყაროსადმი კუთვნილებაზე. 2021 წლის 30 სექტემბრის კომენტარში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელმა საარჩევნო უბნებთან მობილიზებული უცნობი პირების პრობლემაზე ისაუბრა: *"ჩვენ წინა წლებში მუდმივად ვსაუბრობდით იმას, რომ არჩევნების მიმდებარე ტერიტორიაზე უცნობი ადამიანების მობილიზება, პრობლემას წარმოადგენს იმიტომ რომ ამან შესაძლოა შექმნას დამაზიანებელი და დამაშინებელი გარემოება ამომრჩევლისთვის…. სწორედ ამიტომ წელს გარე დამკვირვებლებიც გვეყოლება სამართლიან არჩევნებს, რომლებიც გარე პერიმეტრებსაც დააკვირდება, რომ ვთქვათ თუ იქნება მსგავსი ასევ ვთვქათ შემთხვევები ამაზე მივმართოთ შესაბამის უწყებებს…"*[141]

აღნიშნულ საკითხზე საუბრობს **საქართველოს სახალხო დამცველიც.** 2021 წლის 30 სექტემბრის ბრიფინგზე, რომელიც წინასაარჩევნო დარღვევებს მიეძღვნა, სახალხო დამცველმა განაცხადა: *"თავად განმცხადებლები ან პარტიები, რომლებიც მოგვმართავენ ჩვენ, ასახელებენ ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს ადგილობრივ ერთეულებში, როგორც ზეწოლის განმახორციელებელ პირებს. თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ ტიპის ზეწოლასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ადამიანები უარს ამბობენ როგორც სამართალდამცავ უწყებებთან, ასევე სახალხო დამცველის აპარატთან საუბარზე. მათ არ სურთ მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო ზეწოლების, დაშინებების გარემოებების თაობაზე არც საჯაროდ და არც კონფიდენციალურად საუბარი. ეს მე პირადად მიღრმავებს იმის განცდას და რწმენას, რომ მათ ამ მუქარების რეალურად განხორციელების მოლოდინი აქვთ და შეშინებულები არიან, რადგან დუმილი გამოიკვეთა როგორც ტენდენცია."*[142]

2021 წლის 26 ოქტომბერს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა ანა წითლიძემ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ზუგდიდის არჩევნებში მონაწილე ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა და სუსის მართული კრიმინალების ერთობლივი სია გამოაქვეყნა.[143] ა.წითლიძის მტკიცებით, ეს ადამიანები პასპორტების წართმევაში, მოსყიდვასა და დაშინებებში მონაწილეობდნენ.

---

[138] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის II შუალედური ანგარიში, 01 სექტემბერი 2021 წელი, გვ. 18.

[139] იქვე. გვ. 18-23.

[140] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის II შუალედური ანგარიში, აგვისტო - სექტემბერი, გვ. 23-25.

[141] https://mtavari.tv/news/58324-kriminaluri-avtoritetebis-gavlena saarchevno?fbclid=IwAR3SVUdwcJEWzsfZ6EFvniQUp8JMpLgOgeddlJf4kQMPNkymPvmLsDJeMIE, 5.29 წთ.-დან.

[142] https://www.facebook.com/watch/?v=742224939918154, 2.25 წთ-დან; https://netgazeti.ge/news/565877/.

[143] https://www.facebook.com/ani.tsitlidze/posts/4793044847386012.

2021 წლის 26 ოქტომბერს ტელეკომპანია “ფორმულას” ეთერში გასულ სიუჟეტში საუბარია საარჩევნო პროცესებში 90-იანი წლების არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების, ე.წ. ტყის ძმების მეთაურის და მისი შვილის მონაწილეობაზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ. სიუჟეტში ასევე საუბარია მათ კავშირზე სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მაღალჩინოსნებთან.[144]

2021 წლის 24 ოქტომბერს, რუსთავის მერიასთან აქცია გამართეს „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირისა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დაკავებულთა უფლებადამცველებმა და ოჯახის წევრებმა. მათი მტკიცებით, ბრალდებულებს, რომლებიც უარს აცხადებენ ხელისუფლების კანდიდატის მხარდაჭერაზე, პაემნის და ტელეფონით სარგებლობის უფლებას უზღუდავენ და სპეციალურ სადამსჯელო საკნებში ამყოფებენ. ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებულთა დევნა მათ დაკავებამდე, ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა პირებმა უარი თქვეს საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატის მხარდაჭერაზე.[145]

### *5.2.1.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები*

ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო 2020 წლის არჩევნებში აპრობირებული მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა **დაშინება, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა, მუქარა.** რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თუ ამომრჩეველზე ზემოქმედების სხვა ნაკლებად ძალადობრივი ბერკეტები, მაგალითად, მოსყიდვა ან დარწმუნება არ იმუშავებდა, შემდეგ უკვე ხდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენება, ან ამ მეთოდების გამოყენების მუქარა. წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა როგორც უშუალოდ ფიზიკური შეურაცხყოფის ან ქონების დაზიანების შემთხვევები, ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებიც. კვლავაც აქტიური იყო ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების როლი წინასაარჩევნო პროცესებში. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ რამდენიმე შემთხვევაში გატარდა ე.წ. „კანონიერი ქურდების“ „პრაგონი“, რომ კონკრეტული უბნის ამომრჩევლებს არჩევნებზე მმართველი პარტიისთვის უნდა მიეცათ ხმა. კვლავაც ხდებოდა კანდიდატებზე ზეწოლა კანდიდატურის მოხსნის იძულების მიზნით, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სწორედ ამ მეთოდით ცდილობდნენ ქართული ოცნების კანდიდატისთვის კონკურენტების ჩამოშორებას და მათი გამარჯვების უზრუნველყოფას.

> **პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი:** *„ქვემო ფონიჭალაში არის ასეთი X კრიმინალური ავტორიტეტი, რომელიც კონკრეტულად მოედანზე აგროვებს ხოლმე ახალგაზრდა ბიჭებს და ეუბნება, რომ „ქურდული პრაგონია,“ რა ნაცმოძრაობა, ბებიებს, ბაბუებს, მშობლებს, ბიძებს ყველას ხელი მოკიდეთ და ყველა ხმას ვაძლევთ “ქართულ ოცნებას”, ვინც არა, დაისჯება.“*

> **სადამკვირვებლო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელი:** *„აღსანიშნავია ზეწოლა კანდიდატებზე, რომ მოეხსნათ*

[144] https://www.facebook.com/watch/?v=569035064367714; https://rb.gy/1ojpfx.

[145] https://www.radiotavisupleba.ge/a/31526979.html?fbclid=IwAR1fyTmYuf1sHM3Qje5gZ09F--7wzu1Nqwa4plHnr_vOUHHBMRsxHWtl28g.

*კანდიდატურა და ამ პროცესის შედეგად მთელ რიგ ადგილობრივ-მაჟორიტარულ ოლქებში საერთოდ უკონკურენტო არჩევნებამდე მივედით, ანუ, ერთი კანდიდატი დარჩა.“*

კვლევაში მონაწილეების ნაწილი აღნიშნავს, რომ ძირითადად უბნის საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება უბნის მაცხოვრებლებისგან ხდება, შესაბამისად, ყველა კარგად იცნობს ერთმანეთს და იციან, ვინ რა წარსულის მქონეა. აქედან გამომდინარე, როდესაც აქვთ ინფორმაცია, რომ ესა თუ ის პირი ე.წ. „უბნის ავტორიტეტია“, თვით კომისიის წევრებიც კი ფიქრობენ, რომ თუ რამეს მმართველი პარტიის მოსაწონად ვერ გააკეთებენ, შესაძლოა მათი ან მათი შვილების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხე შეიქმნას. კვლევის რესპონდენტებმა ისაუბრეს შემთხვევაზე, როდესაც პარტიის აქტივისტის შვილის მიმართ ხორციელდებოდა მუქარა, რომ რადგან მის შვილს პირობითი სასჯელი ჰქონდა, შესაძლოა რაიმე ტიპის პრობლემა შექმნოდა და ეს ადამიანი ფაქტობრივად იძულებული გახდა, უარი ეთქვა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობაზე.

**პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი:** *„კომისიის წევრებიც და ეს კრიმინალიც საკმაოდ კარგად იცნობენ ერთმანეთს და ამ კომისიის წევრებმა ზუსტად იციან, რომ იქ რაღაცა რომ არ გააკეთოს, მის შვილს შეიძლება რაღაცა დაუშავდეს, აი, პანჩური ამოარტყას. ქუჩაში ვერ გავა ამის შიშით. კომისიის თავმჯდომარემ იცის, რომ ეს კრიმინალური დამკვირვებელი არის მისი მაკონტროლებელი. თუ ვინმემ იქ რაღაცა ზედმეტი გაბედა, ეს არის ადამიანი, რომელიც მათ კანონით კი არა, ფიზიკურად დასჯის.“*

**პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი:** *„ ჩვენი ზონის უფროსი იყო X-მა გაწყვიტა ჩვენთან კავშირი, იმიტომ რომ თან რაღაც პირობითი აქვს მის შვილს, ნარკოდამოკიდებულია და შესაბამისად რაღაც დაშინებები იყო ასე რომ ვთქვათ, თვითონ X ის მხრიდან.“*

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ განხორციელებულ **მუქარებს** მათი მომხრეებიც კი საკმაოდ სერიოზულად აღიქვამდნენ, უჩნდებოდათ საფუძვლიანი შიში, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრებს პრობლემები შეექმნებოდათ და ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობას წყვეტდნენ, ან მათ მიმართ მხარდაჭერას აღარ გამოხატავდნენ. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტებით, წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა კანდიდატების მანქანის ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილვის ფაქტი, ასევე ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები “ნაციონალური მოძრაობის” და “ევროპული საქართველოს” მიმართ. აღნიშნული რესპონდენტის განმარტებით, ეს გარკვეულწილად პარტიის წევრებს შორის დაპირისპირებას წარმოადგენდა, თუმცა იყო სხვა ტიპის თავდასხმის შემთხვევებიც.

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია - *„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „წარმომადგენელი:*** *„ეს იყო რაღაც პარტიებს შორის დაპირისპირება, თუმცა იყო თავდასხმის შემთხვევებიც, მაგალითად, შარშანდელის მსგავსად ნაციონალური მოძრაობის წევრს და ასევე ევროპული საქართველოს წევრს რომელიც აქციაზე მიდიოდა უცნობი პირები თავს დაესხნენ და გაუსწორდნენ.“*

**პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი:** *„ადამიანები, რომლებიც არჩევნებამდე 1 კვირით ადრე ისე არიან, რომ შენი მომხრეები არიან და მერე*

*გვირეკავენ, იცით, კი, მაგრამ მეშინია, ვერ გავუწევ წინააღმდეგობას და თან წელს ჩვენთან ელექტრონული არჩევნები იყო და ეს გამოიყენეს ძალიან კარგად, ესეც უთხრეს, რომ ჩვენ ვუყურებთ, ვის აძლევთ ხმას და შესაბამისად ვერ მოგვატყუებთ."*

როგორც უკვე აღინიშნა, წინასაარჩევნო პერიოდში, 2020 წლის არჩევნების მსგავსად, უბნებში ჩნდებოდნენ ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტები", რომლებიც უბნის მოსახლეობას არჩევნებში მმართველი პარტიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. რიგ შემთხვევებში, აღნიშნულ საქმიანობაში ჩვეულებრივ „უბნის ბიჭებზე" უფრო **მაღალი სუბკულტურული სტატუსის მქონე პირებიც მონაწილეობდნენ,** ისინი ან თვითონ ჩნდებოდნენ არჩევნებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე, ან სხვების საშუალებით ატარებდნენ ე.წ. „პრაგონს". წინასაარჩევნო პერიოდში, ისევე, როგორც კენჭისყრის დღეს, მოსახლეობისთვის ცხადი იყო, რა სურვილები ჰქონდათ ამ ე.წ. ავტორიტეტებს და ერთი ნაწილი - გარკვეული მენტალობის პატივისცემის, მეორე ნაწილი კი შიშის გამო ითვალისწინებდა მათ მოწოდებასა და გადაწყვეტილებას.

**არასამთავრობო ორგანიზაცია - „სამოქალაქო პლატფორმა 20/20-ის" წარმომადგენელი:** *„დამკვირვებელი იყო გარეთ და რომ ვკითხე, რატო ხარ გარეთ თქო, ამ უბანზე ქურდიაო ადგილობრივი, აქ ცხოვრობსო, აქ დაიბადაო, ეს მისი უბანიაო და წინასწარ დარეკაო და ჩვენ აქ ზედმეტად ვერ ჩავერევითო, პატივი უნდა ვცეთ ამ ადამიანსო. ეს ხდებოდა მცხეთაში. რუსთავში იყო ასეთი შემთხვევა, რომ ქურდმა დარეკაო, ესო მაგისი უბანიაო და ეხლა აქ ზედმეტი რამე არ გვინდაო, ეუბნებოდნენ ჩვენ დამკვირვებელს."*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი:** *„ზემო ფონიჭალაში X-ს ჰქონდა ჩაბარებული მეორე ტური. კრიმინალური ავტორიტეტია ესეც. პირველ ტურში არ მომიკრავს თვალი, მეორე ტურში ოთხი საარჩევნო უბანი არის ერთად და იქ იდგა თავისი მანქანით."*

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ მმართველ პარტიას აქვს **ე.წ. შავი სალარო,** საიდანაც ე.წ. „უბნის ავტორიტეტებისთვის" გარკვეული თანხების ჩარიცხვა ხდება. ე.წ. ავტორიტეტები შემდეგ ამ თანხებს საკუთარი შეხედულებებისა და საჭიროების მიხედვით ანაწილებენ. იქ, სადაც დარწმუნება ჭრის, შესაძლოა მატერიალური კომპენსაცია არ გახდეს საჭირო და ამომრჩევლები „უფასოდ" დაარწმუნონ; რიგ შემთხვევაში, ე.წ. მითითებების შემსრულებელ ამომრჩეველთან შესაძლოა მხოლოდ სუფრის გაშლა ან ალკოჰოლური სასმელით გამასპინძლება აღმოჩნდეს საკმარისი. ასევე დასახელდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველს ხმის სანაცვლოდ კონკრეტული თანხა გადაეცემოდა. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნოდ ე.წ. „უბნის ავტორიტეტების" მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ძალიან თვალსაჩინო იყო, რაც მათი აზრით ცალსახად მიუთითებს, რომ მათთვის გადაცემული თანხის დიდ ნაწილს ეს პირები თავად იტოვებენ და პერსონალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის ხარჯავენ.

**პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი:** *„არჩევნების პერიოდში აი ამ კრიმინალ დამკვირვებლების ყოფითი პირობები უმჯობესდება შესამჩნევად. ზოგი მანქანას გამოცვლის, ზოგი სხვადასხვა აქტივობებს იწყებს. არის ერთი კონკრეტული უბანი და ამ უბანზე ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ვითომდა მოკრიმინალო დამკვირვებელი არის მოითხოვა მაგალითად 15 000 ლარი*

*რომ საერთოდ დახმარებოდა. შემდეგ ამ 15 000 ლარს როდესაც გადასცემენ, ვინმეს მისცემს, ასე ვთქვათ, პატივს სცემს, მის მარიფათზეა დამოკიდებული.“*

**პოლიტიკური პარტია "გირჩი - მეტი თავისუფლება"-ს წარმომადგენელი:** *„ძირითადად, ორი საშუალება არის, ერთი დაშინება, მეორე მოსყიდვა. მაგალითად, მოსყიდვის მაგალითი იყო, რომ ეზოსთან ასფალტს დაგიგებთ და ჩვენ ვიქნებით შუამავალი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მეორე მხრივ, არის დაშინება, რომ უბანში თავი აღარ გამოგეყოფა, ეს ხელისუფლება როდესაც დარჩება ხელისუფლებაში არჩევნების მერე, ნახავ, რა მოგივა და ასეთი საუბრები არის ხოლმე“.*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ნაწილიც ადასტურებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო უპრეცედენტო და გამორჩეული ამომრჩეველთა **მოსყიდვის კუთხით**, როდესაც მმართველი პარტიის მომხრეები და წარმომადგენლები უშუალოდ არჩევნების დღესაც არ ერიდებოდნენ ფულის გადაცემას ადამიანების ხმების სანაცვლოდ. რესპონდენტების ნაწილმა ისაუბრა ასევე, რომ ცალკეულ უბნებში მოსყიდვის საშუალებად გამოყენებული იყო ნარკოტიკული საშუალებები.

**არასამთავრობო ორგანიზაცია - "ეი პი ემ ჯორჯიას" დამკვირვებელი:** *„ აბსოლუტურად ყველამ იცის, დიდუბეს რა იგებს. დიდუბეს იგებს წამალი და ეს რიგდება.“*

**პოლიტიკური პარტია "გირჩი - მეტი თავისუფლება"-ს წარმომადგენელი:** *„აქ იყო უფრო მეტი ფულის ხარჯვა, რიცხვები აჩვენებს რომ ქართულ ოცნებას ყველა არჩევნები უჯდება სულ უფრო და უფრო მეტი და მათი გაყალბების მასშტაბი უფრო და უფრო იზრდება. ცდილობენ სხვადასხვა პრივილეგიების შეთავაზებას, მაგალითად, ის რომ ნარკოტიკის მოხმარების გამო არავინ ამ ხალხს აღარ მიაკითხავს, პოლიციას არ ექნება ამაზე რეაგირება, მაგალითად ის რომ ვიღაცას აქვს პირობითი ციხეში და თუკი ეს კონკრეტული ძველი ბიჭი ხელისუფლებას დაეხმარება საარჩევნო პერიოდში ამ ადამიანს გაუთავისუფლებენ. მოკლედ ბევრი პრივილეგია არის.“*

რესპონდენტების ნაწილმა ხაზი გაუსვა, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თანხის ან ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის გზით მოსყიდვის პარალელურად, კვლავ აქტიურად გამოიყენებოდა, ხმის მიცემისა და მხარდამჭერთა მობილიზების სანაცვლოდ **პატიმარი ოჯახის წევრის ან/და მეგობრის გათავისუფლების დაპირებაც**, რაც მოსყიდვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან არამატერიალური სარგებლის სანაცვლოდ ამომრჩევლის მხრიდან გარკვეული მოქმედების განხორციელებას მოიაზრებს და შესაბამისად, მის ნებაზე ზემოქმედების ხასიათს ატარებს.

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1 „** *„პირდაპირ მითხრა X-მა რომ მისი ძმა Y იყო დაპატიმრებული, გამოუშვეს და ამიტომ ვალდებული არიან ის და მისი ძმაც, რომ დაეხმარონ.“*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1** *„ მომხრეებს უთხრეს, შეგვპირდნენ ბიჭო, რომ ლ-ს გამოუშვებენ და შენ რატო ეხმარები ნაცებს?! 10 წელი აქვს მისჯილი და არ გეცოდება? ასეთი შემთხვევებიც იყო, აი, მართვის მოწმობა აქვს ჩამორთმეული და მართვის მოწმობის გაკეთებას შეპირდნენ.“*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #2** *„მეორე ტურზე იყო მაქსიმალური მობილიზება და რაც გააკეთეს, ე.წ. „კუშები", რომელიც იწყებოდა 100 ლარიდან. ანუ, მასიური მოსყიდვა იყო ქუთაისში. მეთადონის პროგრამაში რომ არის, ეგ ტაბლეტები რომ დაარიგეს ზუსტი ინფორმაცია მაქვს. კარგად იმუშავა ასევე პირადობების თემამაც, ვისაც კი გვარი ჰქონდა შეცვლილი კარუსელები ატრიალებინეს და ნუ ეს ძველი ბიჭები, არჩევნების მეორე დღესვე ჩანდა რომ მთელი ქუთაისი სავსეა უკვე ამ ინსულინის შპრიცებით".*

## 5.2.2 კენჭისყრის დღე

### *5.2.2.1 სამაგიდე კვლევის შედეგები*

2021 წლის 03 ოქტომბერს, **ევროსაბჭოს სადამკვირვებლო მისიამ, ეუთო/ოდირის მისიის წვერებმა და ევროპარლამენტარებმა** თვითმმართველობის არჩევნების I ტურის საარჩევნო პროცესი შეაჯამეს.[146] საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით, საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები კონკურენტული და კარგად ადმინისტრირებული იყო, თუმცა ამომრჩევლებზე ზეწოლის, ამომრჩეველთა მოსყიდვისა და უთანასწორო პირობების შესახებ ბრალდებებმა პროცესი დააზიანა. ევროპული პარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელის, მაიკლ გალერის განცხადებით, *„მიუხედავად კონკურენტული ხასიათისა, წინასაარჩევნო გარემომ ვერ უზრუნველყო თანაბარი პირობები არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატებისთვის."* საერთაშორისო დამკვირვებლებმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, საფუძვლიანად გამოიძიონ ოპოზიციის კანდიდატების დაშინების შემთხვევები, რომლებიც მიზნად ისახავდა ოპოზიციის მიერ კანდიდატურის მოხსნას და რიგი სხვა დარღვევები, რათა დამატებით არ გაძლიერდეს დაუსჯელობის განცდა.[147]

ეუთო-ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, არჩევნების დღე ზოგადად მშვიდი იყო, თუმცა საარჩევნო უბნებს გარეთ პარტიულ მხარდამჭერებს შორის რამდენიმე დაპირისპირება მოხდა, "... დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები მოქმედებენ როგორც პარტიის მხარდამჭერები, და დროდადრო პროცესში ერევიან, ასევე ზოგიერთი საარჩევნო უბნის გარეთ ცალკეული ადამიანების ჯგუფები, რომლებიც პოტენციურად ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლებზე, შეშფოთების საფუძველს ქმნიდა."[148]

2021 წლის 04 ოქტომბერს, **ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ** საქართველოში გაავრცელა განცხადება, რომლითაც "ამერიკის შეერთებული შტატები იზიარებს ეუთო/ოდირის პირველად შეფასებას, რომ არჩევნები ტექნიკურად კარგად იყო ადმინისტრირებული, მაგრამ [საარჩევნო] გარემო დაზიანებული იყო ფართოდ გავრცელებული და განმეორებითი საჩივრებით დაშინების, ხმების მოსყიდვის, კანდიდატებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლის, მოქალაქე დამკვირვებლების პარტიის წარმომადგენლებად არასათანადო გამოყენების, არათანაბარი სამოქმედო პირობების შესახებ, მათ

---

146 https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1453174601748643/.

147 https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/499474.

148 https://www.osce.org/files/f/documents/f/f/502719_0.pdf.

შორის, წინასაარჩევნო პერიოდშიც."[149] განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსა და პარტიულ რესურსებს შორის წაშლილმა ზღვარმა და ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ მნიშვნელოვანმა ცნობებმა წარმოშვა ეჭვი არჩევნების ზოგადი სამართლიანობის შესახებ.[150] საელჩოს განცხადებით,[151] მეორე ტურში დაშინება, შეურაცხმყოფელი რიტორიკა, ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენება, ხმების აშკარად მოსყიდვის შესახებ ცნობები და სხვა დარღვევები გაგრძელდა. განცხადებაში განსაკუთრებული შეშფოთებაა გამოთქმული დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების მიმართ ძალადობის გამო.

არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობაზე კომენტარი გააკეთა **ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა** და აღნიშნა, რომ მართალია იმ უბნებზე, სადაც თავად იმყოფებოდა, მშვიდობა იყო, თუმცა აშშ-ის საელჩოს 26 სადამკვირვებლო ჯგუფის წევრებისგან შეგროვებული ინფორმაციით, ყველგან ვითარება ასეთი მშვიდი არ არის: *„მიხარია, რომ ამომრჩეველი მოდის არჩევნებზე, რადგან დემოკრატიის შენების პროცესში არჩევნები ფუნდამენტური რამაა, თუმცა მოგვდის ინფორმაცია ჩვენი დამკვირვებლებისგან, რომ ისინი გახდნენ მედიაზე თავდასხმის მომსწრენი, ასევე იტყობინებიან დამკვირვებლებზე ხელის შეშლის ფაქტების შესახებ, შეესწრნენ ფიზიკურ შეხლა-შემოხლასაც..."*[152]

არასამთავრობო ორგანიზაციამ **"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"** მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მეორე ტურს მთელი ქვეყნის მასშტაბით 250-მდე დამკვირვებლით გაუწია მონიტორინგი. ორგანიზაციის განცხადებით, არჩევნების დღის პირველი ნახევარი ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა მოგვიანებით ბევრ საარჩევნო ოლქში სიტუაცია დაიძაბა და გახშირდა ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების ფაქტები.[153]

**სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ** 2021 წლის 30 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის არჩევნების დღის შემაჯამებელი შეფასებისას განაცხადა, რომ *„23 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობისა (2) ან/და სიტყვიერი დაპირისპირების (21) ფაქტები; აქედან, 8 შემთხვევა თბილისის, 5 რუსთავის, 4 ზუგდიდის, 2 ქუთაისის, 2 ბათუმის და თითო შემთხვევა ფოთისა და ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში გამოვლინდა".*[154]

2020 წლის არჩევნების მსგავსად 2021 წლის თვითმართველობის არჩევნების ორივე ტურის განმავლობაში დაფიქსირდა ძალადობის და ზეწოლის არაერთი ფაქტი მათ შორის ე.წ. „ძველი ბიჭების" ტრადიციული თავშეყრა და აქტიურობა საარჩევნო უბნებთან.

2021 წლის 2 ოქტომბერს არაფორმალური ჯგუფების და უბნის "ავტორიტეტების" აქტიურობას არაერთი დამკვირვებლის ფეისბუქ სტატუსი თუ სატელევიზიო რეპორტაჟი მიეძღვნა. მათ შორის:

---

149 https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-2021-georgian-municipal-elections-ka /.

150 https://ge.usembassy.gov/ka/u-s-embassy-statement-on-2021-georgian-municipal-elections-ka/.

151 https://ge.usembassy.gov/ka/https-ge-usembassy-gov-u-s-embassy-statement-following-the-second-round-of-georgian-municipal-elections/.

152https://www.radiotavisupleba.ge/a/31537120.html?fbclid=IwAR359Bt3WGgoQPxCX2Zvod2Ag6DQBij-zn1r4_I-8z_aOYf8BTnCMy7PJjQ.

153 https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-municipalitetis-organota-2021-clis-archevnebis-meore-turis-dakvirvebis-shedegebis.

154 https://www.isfed.ge/geo/2021-adgilobrivi-tvitmmartvelobis/ubnis-motskobis-kenchiskrisa-da-khmis-datvlis-protsesis-statistika-.

- ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა და სამოქალაქო აქტივისტმა, გიორგი მელაძემ, რომელიც არჩევნების I ტურის კენჭისყრის პროცესს მცხეთის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა, ფეისბუქ სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია: *"მცხეთაში ვარ #1 უბანზე დამკვირვებლად და ასეთი ამბებია: გარეთ აგრესიული ხალხის "ბირჟა" უცხოელი დამკვირვებლების მოსვლისთანავე დაიშალა. თუმცა, კარგად ვერ უთხრეს ეტყობა და დროზე ადრე გამოვიდნენ სამალავიდან, ამიტომ ამერიკელმა დამკვირვებელმაც დააფიქსირა და ეუთომაც - ჭირდებათ დამატებითი ტრენინგი. გვერდით უბანზე ქურდს დაურეკავს და იქ ყველა სიმშვიდეს ინარჩუნებს, ვერ შეარცხვენენ იმ კაცს, შედეგი უნდა დაუდონ. პოლიცია აინუნშიც არ აგდებს "ჩაცუცქულებს" და ისეთ უხერხულ ადგილზე დგას, რეპუტაციას ულახავს ფორმას. ადგილი უნდა შეიცვალონ - სჭირდება დამატებითი ტრენინგი. პოლიციასა და "ბირჟას" შორის მოძრაობს კაპიშონიანი კაცი, რომელმაც ერთი მანქანა საჭმელი მოიტანა უბანზე - ტრენინგი არ სჭირდება, საქმე იცის…"*[155]
- პარტია "ლელოს" წევრმა, ლანა გალდავამ, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც ავლაბრის ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მობილიზებული უცნობი პირები არიან აღბეჭდილი;[156]
- ტვ პირველის გადამღებმა ჯგუფმა დააფიქსირა არაფორმალური ჯგუფების აქტივობა ოზურგეთის საარჩევნო უბანთან;[157]
- მოძრაობა "სირცხვილიას" წევრმა თამარ კურატიშვილმა, რომელიც არჩევნებს არასამთავრობო ორგანიზაცია "აჭარის განვითარების ცენტრის" ეგიდით აკვირდებოდა, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც უცნობი პირები ბათუმის ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მოძრაობენ;[158]
- ტვ პირველმა ქუთაისის ერთ-ერთი უბნის დამკვირვებლის მიერ გადაღებული ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ჩანან უბანზე მყოფი უცნობი პირები.[159]
- ერთ-ერთი დამკვირვებლის, ივერი ბალახაშვილის, ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეოში ნაჩვენებია უცნობი პირების და მანქანების მოძრაობა ყარაჯალას ერთ-ერთ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე;[160]
- ტელეკომპანია "მთავარის" სიუჟეტში ჩანს უცნობი პირების და ე.წ. ძველი ბიჭების მობილიზება გონიოს ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან;[161]
- ტვ "პირველის" სიუჟეტი თბილისის, მცხეთის, სამეგრელოს, ოზურგეთის და სხვ. საარჩევნო უბნებზე ე.წ. ძველი ბიჭების, უბნის ავტორიტეტების და სპორტსმენების მმართველი პარტიის

[155] https://www.facebook.com/giomeladze/posts/10165675377150298.
[156] https://www.facebook.com/lana.galdava.1/posts/4805120659507081.
[157] https://www.facebook.com/watch/?v=1742840309243241.
[158] https://www.facebook.com/tamarkuratishvili/posts/4396152343779785.
[159] https://www.facebook.com/watch/?v=538656064057877.
[160] https://www.facebook.com/iveriko/videos/151881530479955/.
[161] https://www.facebook.com/watch/?v=403015774559175.

სასარგებლოდ აქტიურობას მიეძღვნა. სიუჟეტში ასევე ნაჩვენებია მათი აგრესია, მათ შორის, ფიზიკური ზეწოლა ჟურნალისტებზეც;[162]

- საარჩევნო უბნებზე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების საქმიანობას მიეძღვნა ტელეკომპანია "ფორმულას" გადაცემა "პოლიტმეტრი", სადაც აღნიშული პირების მხრიდან სხვადასხვა ტიპის დარღვევები, გადაცდომები, ამომრჩევლის ნებაზე ზეწოლა და დამკვირვებლების საქმიანობისთვის ხელის შეშლა არის აღწერილი;[163]

- ტელეკომპანია "ფორმულას" ეთერში გასულ სიუჟეტში ზუგდიდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე პირი ელექტროშოკით გადაადგილდება და ჟურნალისტებს მისი გამოყენებით ემუქრება.[164]

**საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ** არჩევნების I ტურზე ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლებზე თავდასხმის ფაქტები აღრიცხა და სამართალდამცავ ორგანოებს მათი დაუყოვნებლივი გამოძიებისკენ მოუწოდა.[165] კერძოდ, ქარტიის განცხადების მიხედვით, კენჭისყრის დღეს ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის, მუქარის, ტექნიკის დაზიანებისა და წართმევის ფაქტები მთელი საქართველოს მასშტაბით გამოვლინდა - განცხადებაში აღწერილია თბილისში, ბათუმში, ქარელში, ზუგდიდში, მარნეულში და სხვა ადგილებში მომხდარი ინციდენტები.

2021 წლის 2 ოქტომბრის საღამოს განცხადება გაავრცელა **შინაგან საქმეთა სამინისტრომაც**, სადაც აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს მომხდარ ორ ინციდენტზე გამოძიება სისხლის სამართლის წესით დაიწყო; ერთ შემთხვევაში საქმე შეეხებოდა ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის (სსკ 154-ე მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში - კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის (სსკ $162^1$ მუხლი) ფაქტს.[166] განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ - "*გარდა ამისა, ამ ეტაპისათვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიღებული შეტყობინებებისა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრების, ან ამომრჩეველთა აღრიცხვის ფაქტებზე, ასევე 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსების ფაქტებზე, ადმინისტრაციული*

---

162 https://www.facebook.com/watch/?v=597447027957092.

163 https://formulanews.ge/Programs_Video/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/8786.

164 https://www.facebook.com/watch/?v=336689748216367; https://formulanews.ge/all_videos/%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97/57753.

165 https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/89669-2021-tslis-archevnebis-dghes-kentcisyris-mimdinareobisas-zhurnalistebis-uflebebis-darghvevis-faqtebi.

166 https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-informatsia%C2%A0munitsipalitetis-organota-archevnebis%C2%A0-mimdinareobis-shesakheb/14955.

*წარმოების ფარგლებში რეაგირება განახორციელა 30-მდე შემთხვევაზე."*[167] *იმავე განცხადების თანახმად, აღნიშნულ სამართალდარღვევებზე მხოლოდ ერთი პირი დაჯარიმდა. სხვა შემთხვევებში პოლიცია სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.*[168]

**2021 წლის 30 ოქტომბერს**, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურმა არაფორმალური ჯგუფების არანაკლები აქტიურობის ფონზე ჩაიარა, რაც მედია საშუალებებითაც გაშუქდა. მაგალითისთვის:

- ტვ "პირველის" სიუჟეტი "აგიტატორები, კრიმინალები და ძველი ბიჭები სენაკის საარჩევნო ოლქში" სათაურში მოხსენიებული პირების სენაკის საარჩევნო უბნებზე უკანონო საქმიანობებს მიეძღვნა;[169]

- ტელეკომპანია "მთავარის" ეთერში გასული სიუჟეტის მიხედვით, დიდი დიღმის ერთ-ერთ უბანზე დამკვირვებლებმა ღვინით მოსყიდვის ფაქტი დააფიქსირეს, თუმცა როდესაც ამ ფაქტის გადაღება სცადეს, შეკრებილმა პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ, ერთ-ერთ მათგანს საყურის ბრტყელტუჩით ჩამოგლეჯით დაემუქრნენ, მეორე კი, ნინია ცისკარიშვილი, სასტიკად სცემეს;[170]

- ტელეკომპანია "მთავარის" ინფორმაციით, ჩუღურეთის ერთ-ერთ უბანზე, 18 წლის დამკვირვებელ გოგონას მეტადონის პროგრამაში ჩართული 10 მამაკაცი ფიზიკურად გაუსწორდა, მობილური წაართვა და ყველა ის ვიდეო წაუშალა, სადაც კონკრეტული დარღვევები იყო დაფიქსირებული. დაზარალებულის თქმით, კადრებში ჩანდა, რომ საარჩევნო უბანზე რიგდებოდა ფული და ამ პროცესში მეტადონის პროგრამაში ჩართული ადამიანები მონაწილეობდნენ. აგრესიულმა მამაკაცებმა ნაცემ გოგონას ტელეფონი მხოლოდ მას შემდეგ დაუბრუნეს, რაც ყველა ვიდეო წაშალეს;[171]

- ინტერნეტგამოცემა "ნეტგაზეთის" ინფორმაციით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრესსამსახურის წარმომადგენელს, ნენე დალაქიშვილს, ზუგდიდის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.[172] დალაქიშვილის თქმით, ენმ-ს თავიანთი დამკვირვებლისგან მიუვიდა ინფორმაცია, რომ 26-ე უბანზე მცდელობა ჰქონდა "კარუსელის" დატრიალებას. ადგილზე მისულს უბანზე დახვდა ორი პირი, რომელიც "კარუსელის" შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელს "საქმეს ურჩევდნენ";[173]

- ტელეკომპანია "ფორმულას" სიუჟეტში ჩანს გონიოს ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან მობილიზებული "ძველი ბიჭების" ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება ჟურნალისტებთან;[174]

---

[167] იქვე.
[168] იქვე.
[169] https://www.myvideo.ge/?video_id=4075421&fbclid=IwAR2TIzAqj7BGBjFn0t-KRBjrd8O-Uk3PemIhmMM7lY-F8sIIQo59dPwMuxI.
[170] https://www.facebook.com/watch/?v=320420422762082.
[171] https://mtavari.tv/news/62725-5-6-mamakatsi-micherda-mirtqamda-damkvirvebels.
[172] https://www.facebook.com/watch/?v=4759485817448006;
[173] https://netgazeti.ge/news/572559/?fbclid=IwAR2bYwR_HhVZrd7PMeYIlLnN9BBNe90mm7cZAly-1060QJLUNQejuJdSE4Y.
[174] https://www.facebook.com/watch/?v=1279411039189444.

- ვაზისუბნის ერთ-ერთ უბანთან, როდესაც თბილისის მერობის კანდიდატი ნიკანორ მელია კომენტარს აკეთებდა ჟურნალისტებთან, უკნიდან უცნობი პირი წამოეპარა, სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;[175]

- მეორე ტურის მომდევნო დღეს ტვ"პირველმა" ე.წ. ძველი ბიჭების საარჩევნო უბნებთან მობილიზებას შემაჯამებელი სიუჟეტი მიუძღვნა, სადაც ამ პირების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ აგრესიაც ჩანს. საყურადღებოა, რომ ე.წ. ძველი ბიჭების ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლის სტატუსით მოქმედებდა და ასე ახდენდა ზეწოლას ამომრჩეველზე.[176]

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში გამოვლინდა ტენდენცია, რომელიც წინა წლებშიც არსებობდა - აღნიშნულ ტენდენციას დამკვიდრებულ პრაქტიკად მოიხსენიებს - თუმცა არასოდეს გამხდარა განსაკუთრებული ყურადღების საგანი. საქმე შეეხება სადამკვირვებლო მისიებად დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობაც არჩევნების დაკვირვების გარეთ პრაქტიკულად უცნობია, ხოლო არჩევნებზე დამკვირვებლების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი, რომლებიც, როგორც წესი, მმართველი პარტიის ინტერესებში მოქმედებენ და ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა "ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის". როგორც ტვ "პირველის" გადაცემა "ნოდარ მელაძის შაბათში"[177] ჩანს, ადგილობრივი არჩევნების პირველი ტურის კენჭისყრის დღეს რუსთავის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე გამოვლინდა ე.წ. „უბნის ავტორიტეტი" მეტსახელად "დოღრიალა", რომელიც, როგორც გაირკვა, დამკვირვებლის სტატუსით მოქმედებს და არასამთავრობო ორგანიზაციას "ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის" წარმოადგენს. როგორც ჟურნალისტური გამოძიების შედეგად გაირკვა, აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელი იმ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი იყო, ორგანიზაციის ხელმძღვანელად კი ფორმალურად ძმის ცოლი ჰყავდა გაფორმებული.

ამ ტენდენციაზე ისაუბრა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სენაკის მერობის კანდიდატმა კობა ნაყოფიამაც და აღნიშნა, რომ *"...ადრე თუ კრიმინალური ელემენტები უბნებზე იდგნენ ჩაცუცქულები, ახლა ბეიჯებით არიან გამოფენილები უბნებზე. ისეთებიც არიან, ვისაც ბეიჯები არ აქვთ, ისინი გარეთ მუშაობენ, ასე ვთქვთ, შიგნით მუშაობენ ბეიჯიანი კრიმინალური ელემენტები. უკვე "ქართულმა ოცნებამ" ზღვარი წაშალა კრიმინალსა და სახელმწიფოს შორის, ერთია უკვე."*[178]

ამგვარი სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობა მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ტელეკომპანია "მთავარი" მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებზეც საუბრობს - "პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერი", "კავშირი მწვანე დედამიწა", საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი.[179]

---

[175] https://www.interpressnews.ge/ka/article/681305-vazisubnis-62-e-ubantan-nika-melias-mokalakem-xeli-daartqa.
[176] https://www.facebook.com/watch/?v=863084211018319.
[177] https://www.facebook.com/watch/?v=300575908174563.
[178] https://mtavari.tv/news/62244-adre-tu-kriminaluri-elementebi-ubnebze-idgnen.
[179] https://mtavari.tv/news/61400-neitralur-beijs-amoparebuli-otsnebis.

2021 წლის 3 ნოემბერს, ტვ "პირველის" ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია "ოცნების" სატელიტები - არჩევნებს სახლში გახსნილი ორგანიზაციის 10 ათასი დამკვირვებელი აკვირდებოდა", რომელშიც ორგანიზაციებზე "ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია" და "პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერი" არის საუბარი.[180]

საგულისხმოა, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციები არაერთხელ მოექცნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. 2021 წლის არჩევნებზე "ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის" დამკვირვებლების საეჭვო ქცევა დაფიქსირდა ახალციხეშიც, სადაც, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ინფორმაციით, ახალციხის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე ორმა ამომრჩეველმა ხმის მიცემის შემდეგ, ბიულეტენი გახსნილ მდგომარეობაში აჩვენა „ახალგაზრდული ინიციატივა - დემოკრატიისთვის" დამკვირვებელს;[181] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. სავანეთის საარჩევნო უბანზე ამ ორგანიზაციიდან სამი დამკვირვებელი იმყოფებოდა, რაც საარჩევნო კოდექსის დარღვევაა, თუმცა ორი მათგანის უბნიდან გაყვანისთვის ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს გარკვეულ ძალისხმევა დასჭირდა;[182] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ცნობით, ქობულეთის ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან იმყოფებოდა ორგანიზაცია "მწვანე დედამიწის" წარმომადგენელი, რომელიც ამომრჩევლებს, სავარაუდოდ, ტალონებს გადასცემდა;[183] ადამიანის უფლებათა ცენტრი მსგავსი ტიპის ორგანიზაციებზე საუბრობდა არა მხოლოდ 2021 წლის არჩევნების დროს, არამედ გასულ წლებშიც.[184]

**"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს"** საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის დაკვირვების შედეგების შეჯამების დოკუმენტი ასევე შეიცავს სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებელთა უკანონო ქმედებების თაობაზე ინფორმაციას: *"პრობლემური იყო მიკერძოებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლების მიერ ჩადენილი არაერთი დარღვევა, რასაც ხშირ შემთხვევაში საარჩევნო კომისიებიც უწყობდნენ ხელს."*[185] დოკუმენტში საუბარია დამკვირვებლების მიერ ჩადენილ ისეთ სერიოზულ დარღვევებზე, როგორებიცაა საარჩევნო უბანზე ფულის დარიგების მცდელობა ("კავშირი მწვანე დედამიწა"), ამომრჩევლების აღრიცხვასა („ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის") თუ აღრიცხული ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციის საარჩევნო უბნის გარეთ, უცნობი პირებისთვის მიწოდება ("კავშირი მწვანე დედამიწა").[186]

ზემოხსენებული ორგანიზაციების საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია, "ნამდვილი" სადამკვირვებლო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სრულიად ბუნდოვანია და საჯაროდ ხელმიუწვდომელია - ზოგიერთ მათგანს ფეისბუქ და ვერბგვერდებიც არ გააჩნია. ასევე გაურკვეველია მათი დაფინანსების წყაროც. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ეჭვს იწვევს ის გარემოებაც, რომ ამ ორგანიზაციებს ყველაზე ავტორიტეტულ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე

---

[180] https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/12035-otsnebis-satelitebi-archevnebs-sakhlshi-gakhsnili-organizatsiis-10-atasi-damkvirvebeli.
[181] https://www.isfed.ge/geo/presrelizebi/kenchiskris-mimdinareoba-da-amomrchevelta-aqtivoba-1500-saatistvis.
[182]http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20410&lang=geo.
[183] https://www.isfed.ge/geo/presrelizebi/kenchiskris-mimdinareoba-da-amomrchevelta-aqtivoba-1500-saatistvis.
[184] 2021 წლის ადგილობრივი არჩევნები: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20417&lang=Geo; 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19717&lang=geo .
[185] საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების მეორე ტურის დაკვირვების შედეგების შეჯამება, 31 ოქტომბერი, 2021.
[186] იქვე.

(რომელთა საქმიანობა და დაფინანსების წყაროები გამჭვირვალეა და ყველასთვის ხელმისაწვდომი) გაცილებით ბევრი დამკვირვებელი ჰყავთ მობილიზებული ისე, რომ არაფერია ცნობილი, რა გზებით მოხდა მათ მიერ დამკვირვებელთა მობილიზება.[187]

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ტენდენცია უფრო სიღრმისეული კვლევის საგანი უნდა გახდეს.

### *5.2.2.2 ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები*

როგორც ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საუბრობენ საარჩევნო უბნებზე მათი წარმომადგენლების მიმართ ზეწოლის ფაქტებზე, რაც მიზნად ისახავდა სადამკვირვებლო პროცესებისთვის ხელის შეშლას. აქვე კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, კვლავაც არაადეკვატური იყო **ძალადობის** შემთხვევებზე პოლიციის რეაგირების ფორმები. ხშირ შემთხვევაში კი, რესპონდენტები ამჯობინებდნენ არც მიემართათ პოლიციისთვის, რადგან ძირითადად ამით მთელი დღით ხდებოდა მათი საარჩევნო პროცესებიდან ჩამოშორება და რეალური შედეგი არ დგებოდა, გარდა იმისა, რომ ისევ დამკვირვებლები წყდებოდნენ თავიანთ საქმიანობას და ვეღარ აკვირდებოდნენ არჩევნების მიმდინარეობას.

> **პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #2**: *„X ჩანდა 101-ე საარჩევნო უბანზე, თუმცა თვითონ X-მა ხელი არ აწია, მაგრამ ჰყავდა ზონდერები მოყვანილი, რომელიც ჩემ თვალწინ შეეხო ჩემს დამკვირვებელს X-ს პირველ ტურზე მე პირადად შემეხო, მანქანის ნომერიც ვიცი, ვიდეო კადრებიც მაქვს ამისი. მთვრალი ადამიანები იყვნენ, ვიზუალზეც რომ ეტყობოდათ, რომ ქუჩის ბიჭები იყვნენ, არიგებდნენ ფულებს იმ კონკრეტული უბნიდან და როგორც შენიშვნას მისცემდი, რომ მთვრალები არ უნდა ყოფილიყვნენ საარჩევნო უბანზე, ეგრევე გადმოდიოდნენ იერიშზე და მოდიოდნენ პირდაპირ ფიზიკურ ძალადობაზე. ხელის გაწევა, ფურთხება, მსგავსი სცენები."*
>
> **პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #2:** *„კენჭისყრის დღეს სოფელ ფონიჭალაში მაგალითად, ეს X და Y ორივე საარჩევნო უბანზე დგანან და კონკრეტულად ეძახიან ვისაც იცნობენ თუ არ ვიცი, ძირითადდ ისე ახალგაზრდებზე იყო აქცენტი მე რასაც ვუყურებდი. პატრული რომ გამოვიძახე დროებით გავიდა მანქანა გადააყენა მაგრამ მერე თვითო მოვიდა და დადგა ისევ. თან მნიშვნელოვანია რომ ყველა შემთხვევაში 100 მეტრიანი რადიუსი ირღვეოდა. X-თან ერთად მშვენივრად*

[187] ცესკოს მონაცემებით, ორგანიზაცია "ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისთვის არჩევნების I ტურში 1135, ხოლო II ტურში 0 დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი, "პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერს 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების I ტურში - 5161, ხოლო II ტურში 7110 დამკვირვებელი ჰყავდა, კავშირი "მწვანე დედამიწა" I ტურში - 3212, II ტურში კი 2066 დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი, საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირს I ტურში - 894, II ტურში კი 982 დამკვირვებელი წარმოადგენდა; ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიას I ტურში მხოლოდ 159, II ტურში კი უკვე 1668 დამკვირვებელი ჰყავდა. შედარებისთვის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებელთა რიცხვი I ტურში - 1432, II ტურში კი 1457 იყო, "საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო - I ტური - 309, II ტური - 362 დამკვირვებელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია - I ტური - 385, II ტური - 305 დამკვირვებელი: https://cesko.ge/res/docs/20211029110639.pdf.

*ჩუკჩუკებდნენ კრიმინალურ ავტორიტეტთან კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები.“*

ცალკეული პარტიის წარმომადგენელთა განმარტებით, მათზე ხორციელდებოდა **თვალთვალი,** მათ მომხრეებს კი, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში იყვნენ, პირდაპირ სთხოვდნენ, რომ არ მისულიყვნენ არჩევნებზე და თავი შეეკავებინათ ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობისგან.

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #1**: *„საპატრულო პოლიციის ვალდებულება იყო, 100 მეტრიან რადიუსზე ცვლილება როცა შევიდა კოდექსში, ეს უზრუნველეყო. მართლა სასწაული ხდებოდა და არცერთი შემთხვევა არ მახსენდება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეედგინოთ რომელიმე ადამიანზე“.*

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაციის - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი:** *„ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გართულდა მათი გარჩევა. ჩვენამდეც მოვიდა ხმები, რომ სტრატეგია შეცვალეს და ადრე თუ, პირველ ტურში, ამ ზეწოლაზე კოორდინატორები იყვნენ პასუხისმგებელნი, მეორე ტურში ჩვენ რაც ვნახეთ, ეს გარეშე პირები, ძველი ბიჭები, იყვნენ აქტიურად მობილიზებულები და ეგ იყო ზუსტად მათი, უფრო ხელისუფლების, სტრატეგიის ნაწილი.“*

**პოლიტიკური პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი #2:** *„ყოველ არჩევნების დღეს ვეგუები იმას, რომ ან შეიძლება ცხვირი გამიტეხონ, ან თავში რაღაცა ისევ ჩამარტყან და ამ დროს მე პოლიცია არ მიცავს. ნამდვილად არ იცავს პოლიცია არცერთ დამკვირვებელს.“*

***არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელი:*** *„უბანთან, რამდენიმე შემთხვევაში, ჩვენ მკაფიოდ დავაიდენტიფიცირეთ ე.წ. „ძველი ბიჭები“, ნამდვილად იყვნენ ე.წ. „ძველი ბიჭები“ და კრიმინალური ავტორიტეტები, სუბკულტურის წარმომადგენლები და საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევებში, ისინი იყვნენ კოორდინაციაში უბანზე მყოფ პირებთანაც. ასევე, ბათუმის საარჩევნო ოლქის 31-ე საარჩევნო უბანთან 100 მეტრის რადიუსის ფარგლებს მიღმა შეინიშნებოდა ე.წ. „ძველი ბიჭების“ შეკრება. ბათუმის 45-ე საარჩევნო უბანთან ძველი ბიჭები სამართლიანი არჩევნების დამკვირვებლებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და ქმნიდნენ მისთვის, სამუშაოსთვის დამაშინებელ და დამაბრკოლებელ გარემოს.“*

არჩევნების მეორე ტურის თაობაზე გამოკითხული რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ პირველ ტურში უფრო მეტი დარღვევები შეინიშნებოდა და უფრო თვალსაჩინო იყო, თუმცა ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმაც დაადასტურა სამაგიდე კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენცია - 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში, ყველა სხვა არჩევნებისგან განსხვავებით, მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც ხელისუფლებამ საქმიანობის ტაქტიკა მთლიანად შეცვალა და ე.წ. **კრიმინალური მენტალობის მქონე პირები უკვე გარკვეული სამართლებრივი სტატუსით საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლებად შეიყვანა.** ამ ქმედებით მათ კანონიერად მიიღეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ყოფნისა და არჩევნებზე დაკვირვების უფლება. კვლევის რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თუ ადრე ე.წ. უბნის ავტორიტეტები

გარეთ ადევნებდნენ თვალს მოსახლეობას და ამ ფორმით ახდენდნენ მათზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, მეორე ტურში უკვე საარჩევნო ყუთამდე მიყვებოდნენ მათ და ამით მათი მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა კიდევ უფრო გაიზარდა. რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ ამ პირებს გარეთაც ჰყავდათ მოკავშირე, რომელიც არ იყო მარტივად დასაიდენტიფიცირებელი და რომელიც მათ წინასწარ ატყობინებდა, ვინ შედიოდა უბანზე ხმის მისაცემად და ე.წ. დამკვირვებელმა ავტორიტეტებმაც ზუსტად იცოდნენ, ვისთან უნდა მისულიყვნენ და ვის გამოლაპარაკებოდნენ. აღინიშნა ფაქტები, როდესაც კენჭისყრის მიმდინარეობისას, თუ ცხადი ხდებოდა, რომ მმართველი პარტია კონკრეტულ უბანს აგებდა, კოორდინატორებს ორგანიზებულად მოჰყავდათ ამომრჩევლები და ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფთან ერთად რამდენჯერმე ცხადდებოდნენ საარჩევნო უბანზე. რესპონდენტები მიუთითებენ უკვე უბნის ტერიტორიაზე დამკვირვებლის სტატუსის მქონე ავტორიტეტების მუდმივ სატელეფონო კავშირზე უბნის გარეთ მყოფ სხვა პირებთან და გამოთქვამდნენ საფუძვლიან ეჭვს თანამშრომლობის გარკვეულ, ორგანიზებულ სქემაზე.

> **პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი:** *„ამ ადამიანებს ამ სტატუსმა უფრო მეტი უფლებები შესძინა, ფაქტიურად ეს კრიმინალ დამკვირვებელი გარედან რომ წამოყვა ამომრჩეველს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, მიყვა საარჩევნო ყუთამდე. ანუ, კიდე უფრო მეტად დამძიმდა სიტუაცია, იმიტომ, რომ ამომრჩეველმა დაინახა, რომ ეს ტიპი, რომელიც გარეთ ემუქრებოდა, უკვე შიგნით შეყვა. იქ თავმჯდომარე გაწია-გამოწია, აკვირდება პროცესს. ბიულეტინის გაცემას დააკვირდა, იქ კაბინასთან დაელოდა, როდის გამოვა, დარწმუნდა, რომ ნამდვილად ჩააგდო ბიულეტენი."*

კვლევის რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ თვითმმართველობის არჩევნები გამოირჩეოდა იმითაც, რომ **ე.წ. ავტორიტეტების დამკვირვებლებად გამოფორმებით, ნეიტრალური დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით,** საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ პარტიული ინტერესების მქონე პირები. ეს ძირითადად ეხებოდა "ქართულ ოცნებას". მართალია, ცალკეულმა რესპონდენტებმა მიუთითეს, რომ დამკვირვებლებად პარტიული ინტერესების მქონე პირები "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" და "ლელოსაც" ჰყავდათ, თუმცა განსაკუთრებით ჭარბობდა მმართველი პარტიის ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციები და ქართულ ოცნებასთან მიმართებით, ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტებისა და პოლიტ აქტივს შორის ზღვარი ფაქტობრივად წაშლილი იყო. როგორც რესპონდენტები განმარტავენ, ესენი არიან ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად იღებენ ცესკოს გრანტებს და რეალურად არც საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვთ, ასევე არ იძებნება მათი ვებგვერდი და სხვა ტიპის ორგანიზაციული მახასიათებლები. რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ სწორედ ასეთი ორგანიზაციების დამკვირვებლების სახელით ხვდებიან უბნებზე ე.წ. „ძველი ბიჭები", შემდეგ ისინი ხშირად გამიზნულად და პროვოკაციულად იწყებენ დაპირისპირებას ოპოზიციური ან ნეიტრალური დამკვირვებლებთან და აღწევენ იმას, რომ კომისიის თავმჯდომარემ ორივე გააძევოს. ამით რეალურად მმართველი პარტიის ინტერესები არ ზარალდება, რადგან შიგნით მრავლად რჩებიან კომისიის წევრები და დამკვირვებლები, რომლებიც ხელისუფლების ინტერესის დასაცავად არიან მომართულნი, ოპოზიციის ინტერესი კი მნიშვნელოვნად ზიანდება, რადგან ამ ფორმით ხდება ან მათი ან ობიექტური და მიუკერძოებელი დამკვირვებლის საარჩევნო პროცესიდან ჩამოშორება და კომისიის თავმჯდომარე იღებს ე.წ. „მშვიდ" გარემოს საჭიროების მიხედვით საქმიანობისთვის.

პოლიტიკური პარტია "ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" წარმომადგენელი: *„დებოშს ატეხავენ და შემდეგ კომისიის წევრი ორივეს აძევებს. ანუ, მისთვის ამათი გამოძევება არაფერს ნიშნავს, უბრალოდ რიცხვია და თვლაში ჰყავს და მისთვის მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანი არჩევნებიც გამოაძევონ. ან, მაგალითად ენმ-ის წარმომადგენელთან ერთად, განსხვავება ის არის, რომ ენმ-ის დამკვირვებლის მიერ აღარ პროტესტდება და კომისიის თავმჯდომარემ მიიღო მშვიდი გარემო მისთვის და უკვე რასაც უნდა, იმას აკეთებს".*

*არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია - „სამოქალაქო პლატფორმა 20/20-ის"* წარმომადგენელი: *„ვინც უბანზე შემოდის რაღაცა სტატუსი ყველას აქვს, ზოგი მწვანე დედამიწაა, ზოგი მრგვალი ცა. ანუ, მართლა არის რაღაც ორგანიზაციები, რომლებიც დარეგისტრირებულები იყვნენ და ამას აკეთებდნენ".*

არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი: *„მომატებული იყო ეს ძველი ბიჭების მუხტი, ოღონდ კენჭისყრის დღეს, უბანზე, სამწუხაროდ, მათ დამკვირვებლის სტატუსიც ჰქონდათ, ჩემთვის გაურკვეველი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ძირითადად, ფსიქოლოგიურ ძალადობას ახდენდნენ, გადაადგილება იყო ჯგუფური, რაც ზეწოლის მუხტს ქმნიდა. ძაან ხმამაღლა საუბრობდნენ, რომ არავის მისცემდნენ უფლებას, რომ აერია სიტუაცია და „ბლატაობდნენ" და გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენდნენ დამკვირვებლებზე. ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, „ჩვენ თავმჯდომარის დაჩაგვრის უფლებას არავის მივცემთ" , „ნაცების დრო დამთავრდა" და მსგავსი ფრაზები ისმოდა მათგან, მაგრამ ძირითადად ძალას დემონსტრირებდნენ."*

პოლიტიკური პარტია "გირჩი - მეტი თავისუფლება"-ს წარმომადგენელი: *„სადამკვირვებლო ორგანიზაციებით იფუთავდნენ თავს ძველი ბიჭები და ქართული ოცნების წარმომადგენლები. ეს იყო პირველ ტურშიც და მეორე ტურშიც.გარეთ ჰყავდათ ერთი ადამიანი მაინც, რომელმაც ზუსტად იცოდა ის ამომრჩეველი ვისზეც უნდა მოეხდინათ ზეწოლა ან რაიმე ტიპის რჩევა მიეცა."*

რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, **რომ ეს ჯგუფები საარჩევნო უბნებზე ქმნიდნენ შიშის ატმოსფეროს**, რათა ერთი მხრივ, სხვა დამკვირვებელთა მხრიდან რაც შეიძლება ნაკლები საჩივარი დაწერილიყო და მეორე მხრივ, უბნის ამომრჩევლისთვის ცხადი გამხდარიყო, თუ ვისკენ არის მიმართული მათი მხარდაჭერა. კვლევის რესპონდენტების განმარტებით, საარჩევნო უბნებზე ამ ტიპის დამკვირვებლების დაშვება და მათი ქცევა ნამდვილად წარმოადგენდა ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებას. მათივე განმარტებით, არ იმუშავა ახალმა ნორმამ საარჩევნო უბნებიდან 100 მეტრიან რადიუსში შეკრებების დაუშვებლობის შესახებაც და ამ ტიპის დაჯგუფებები საარჩევნო უბნებთან მაინც შეინიშნებოდა.

არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია - „ადამიანის უფლებათა ცენტრის" წარმომადგენელი: *„დარწმუნებული ვარ, ბევრი იყო ისეთი, ვინც ხმა ვერ ამოიღო, იმიტომ, რომ იმხელა ხმაზე ყვიროდნენ, იმხელა ხმაზე საუბრობდნენ. თუნდაც ამომრჩეველი მივდივარ, ვარ პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც არავინ მიცავს, უბრალოდ ჩემთვის პატიოსნად ვცხოვრობ და აი, ამათ რომ დავინახავდი, ნამდვილად შემეშინდებოდა. მე რომ ვყოფილიყავი გამოუცდელი და უბანში ყოველდღიურად ვხედავ ამ კრიმინალურ ავტორიტეტებს უსაქმოდ, ან*

*სულ მესმის, რომ ციხეშია და მივდივარ ხმის მისაცემად და კაბინიდან 30 მეტრში დგას ეს ქუჩის ბიჭი და მიყურებს, ნამდვილად შემეშინდებოდა თავისუფალი არჩევანის გაკეთება.“*

**პოლიტიკური პარტია - „ლელო საქართველოსთვის“ წარმომადგენელი:** *„ყველგან დარღვეული იყო 100 მეტრის რადიუსი, პრაქტიკულად ყველგან დარღვეული იყო. იდგნენ იქ იმის ნიშნად, რომ „ემანდ რამე არ შეგეშალოთ”. ამომრჩეველსაც ელაპარაკებოდა, რა თქმა უნდა და ეუბნებოდნენ, ხო იცი, ხმა უნდა მისცე ოცნებას და ნაცები ხო იცი, რო მკვლელები არიან.“*

***არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია - „ეი პი ემ ჯორჯიას“ დამკვირვებელი:*** *„X მაჟორიტარი სისტემატურად გადადგილდებოდა სხვადასხვა უბნებზე თავისი ამალითურთ და ეს ამალა, ეს ხალხი, აშკარად სპორტსმენები იყვნენ თუ ძველი ბიჭები იყვნენ, არ ვიცი, ძალის დემონსტრირებას ცდილობდა მეტად უბნებზე და ყველგან მე დამყვებოდნენ. პლიუს ამას ეწეოდა ეს ადამიანი აგიტაციას, პირდაპირ ამბობდა უბნის წინ, მე ვარ პარტია “ქართული ოცნების” მაჟორიტარი, ოლქიდან მოვიყვანე ხალხიო.“*

გარდა წინასაარჩევნო პერიოდისა, მოსყიდვის ფაქტები დაფიქსირდა უშუალოდ არჩევნების დღესაც, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა განმარტებით, საარჩევნო უბნების ახლოს მდგომი მანქანებიდან პირდაპირ ხდებოდა **თანხების დარიგება,** მართალია ცალკეულ შემთხვევებში ფულის გადაცემის მომენტის დაფიქსირება ვერ მოხერხდა, თუმცა განხორციელდა ვიდეოგადაღება თუ როგორ გამოდიან ამომრჩევლები საარჩევნო უბნიდან, შემდეგ მიდიან მანქანასთან, რაღაცას ანახებენ იქ მყოფ პირებს და იქიდანაც სანაცვლოდ იღებენ რაღაცას.

**პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი #1:** *„ყველა მანქანის უკანა შუშები, საიდანაც ფული რიგდებოდა, იყო დაბურული.“*

**არასამთავრობო/სადამკვირვებლო ორგანიზაცია -** ***ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი:*** *„ მოსყიდვა არის კვლავ პრობლემა და კვლავ ხდება კენჭისყრის დღეს.“*

**პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი #2:** *„99-ე უბნაზე ასეთი შემთხვევა, პირდაპირ ჩემს თვალწინ მოხდა. მოქალაქეს ჰქონდა 100 ლარი აღებული და გამოვიდა და ეუბნება რა გეგონათ 100 ლარად ხახალეიშვილს შემოვხაზავდიო და ატყდა იქ ერთი ამბავი, რას ქვია ხატია შემოხაზეო, ფული დააბრუნეო და პირდაპირ აი ეს მდგომარეობა მიმდინარეობდა უბნებზე.“*

**პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი #2:** *„101-ე უბანს გავიხსენებ სადაც მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესები და უკანა მხარეს იგივე შენობაში ჩვეულებრივად ქართული ოცნების კოორდინატორების პურმარილი იყო გაშლილი იქვე რომ ყოფილიყვნენ უბანთან, იქვე რიგდებოდა ფულები, ხელფასები და ნუ ვერაფერს ვერ აკეთებ. გიდევს კანონში რომ 100 მეტრის რადიუსით არ უნდა იყო მაგრამ არიან.“*

### 5.3. სახელმწიფო უწყებების რეაგირება

#### 5.3.1 საკანონმდებლო ჩარჩო

მოქალაქეების საარჩევნო უფლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებაა. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი**, ისევე, როგორც **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი**, აღიარებს თავისუფალი არჩევნების უფლებას.

**ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტი**[188], რომელშიც თავმოყრილია საარჩევნო უფლებების სათანადო განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საერთაშორისო სტანდარტი, მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქისთვის ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობისა და ამ პროცესში ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა; ამომრჩევლები არ უნდა დაექვემდებარონ რაიმე სახის შევიწროებას, დაშინებასა და იძულებას.[189]

**ეუთო-ს სახელმძღვანელო დოკუმენტში წევრი სახელმწიფოებისადმი**, კოპენჰაგენის დოკუმენტსა და სხვა ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობით, მითითებულია, რომ სახელმწიფოებმა არჩევნებში მონაწილეებისთვის უნდა უზრუნველყონ ძალადობისა და ზეწოლისგან თავისუფალი გარემო როგორც საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას (პარ. 7.2, 7.4), ისე ხმის მიცემის პროცესში (პარ. 8.5).[190] სახელმძღვანელო დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ კოპენჰაგენის დოკუმენტისა და ვენეციის კომისიის საარჩევნო კონვენციის სტანდარტებიდან გამომდინარე, *"სამართლიანი და თავისუფალი წინასაარჩევნო გარემოს შექმნის ვალდებულება ასევე მოიცავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ყველა შესაძლო ღონისძიება გაატაროს კერძო პირების იმგვარი ქმედებების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც უსამართლოდ ზღუდავს საარჩევნო სუბიექტების შესაძლებლობებს, წარადგინონ თავიანთი კანდიდატები და პროგრამები, მათ შორის, ქმედებების, რომლებიც არღვევს კანონს ან რეგულაციებს. სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულება აკისრია, თავიდან აიცილოს და რეაგირება მოახდინოს საარჩევნო სუბიექტების მიმართ ძალადობასა და დაშინებაზე."*[191]

**გაეროს ზოგადი კომენტარები** აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ *"ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ჩარევა ამომრჩეველთა რეგისტრაციის ან ხმის მიცემის პროცესში, ისევე, როგორც ამომრჩეველთა დაშინება ან იძულება უნდა აიკრძალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომელიც ზედმიწევნით უნდა აღსრულდეს."*[192]

**საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის** თანახმად, ყველა მოქალაქეს აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და უზრუნველყოფილია ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენა.

**საქართველოს საარჩევნო კოდექსი**, ტექნიკური და პროცედურული საკითხების რეგულირებასთან ერთად, განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ამომრჩევლების

---

188 Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the CSCE, 29 June 1990.
189 იქვე, პ. 7.7
190 Existing Commitments for Democratic Elections in OSCE Participating States, October 2003.
191 იქვე., პ.. 7.4
192 CCPR/C/21/Rev.1/Add.7, General Comment No. 25. (General Comments), 12 July 1996, par. 11

თავისუფალი ნების გამოვლენა საარჩევნო პროცესში, მათ შორის, ამომრჩევლის იძულების, დაშინების და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის აკრძალვას.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით** დასჯადია არჩევნებში მოქალაქეების თავისუფალი ნების ხელშემშლელი გარემოებები. მაგ არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (მუხლი 162); კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა (მუხლი 162[1]); საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 163); ხმის მიცემის_ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება (მუხლი 164); ამომრჩევლის მოსყიდვა (მუხლი 164[1]); ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევა (მუხლი 164[4]).

შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოს რეაგირებაზე არჩევნების პროცესში მომხდარი დანაშაულებებსა და გადაცდომებთან მიმართებაში, ვგულისხმობთ ღონისძიებებს, რომლებიც თანხვედრაშია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ სტანდარტებთან და პრინციპებთან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ რეაგირება არ იყოს ფორმალური და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გამოძიების დაწყებით ან კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვით, როგორც ხშირად ხდება საქართველოს პრაქტიკაში, არამედ ყველა ინციდენტი, რომელიც კავშირშია არჩევნებთან, გამოძიებული იქნას სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლებით და ყველა შემთხვევაში დამნაშავეები იდენტიფიცირებულნი და დასჯილნი იქნენ. ეს არის თავისუფალი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ერთადერთი ეფექტიანი გზა.

არჩევნებთან დაკავშირებული სპეციალური მუხლების გამოყენება მნიშვნელოვანია საჯარო კონტროლის თვალსაზრისითაც - იმ შემთხვევებში, როდესაც საგამოძიებო ორგანოები არ იყენებენ სპეციალურ მუხლებს, სტატისტიკურ ინფორმაციაში შეუძლებელია, გავმიჯნოთ ძალადობის შემთხვევები, რომლებიც არჩევნებს უკავშირდება სხვა შემთხვევებისგან, ხოლო ინფორმაცია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე, გამოძიების დასრულებამდე და ხშირად, მას მერეც, ხელმიუწვდომელია.

### 5.3.2 სამაგიდე კვლევის მიგნებები

ჩვენს მიერ მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციისა და შესაბამისი ორგანოების წერილობითი პასუხების ანალიზი დიდწილად ადასტურებს ჩაღრმავებული ინტერვიუების მიგნებებს, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ საარჩევნო ინციდენტების გარკვეულ ნაწილზე გამოძიება საერთოდ არ იწყება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში რეაგირება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არანაირად არ ემსახურება მომავალში მსგავსი ინციდენტების პრევენციას. ასევე, როგორც ზევით ვიხილეთ, ხშირ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოები არ იყენებენ სპეციალურ მუხლებს, არამედ ინციდენტებს ერთგვარ საყოფაცხოვრებო დაპირისპირებებად განიხილავენ, რაც ასევე ხელს უშლის ეფექტიანი და ადეკვატური რეაგირების გზით მომავალში საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას. მეტიც, ინციდენტის ინიციატორებისთვის, კრიმინალური/არაფორმალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის აღნიშნული მიდგომა ერთგვარ დაუსჯელობის სინდრომს ქმნის, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სტანდარტებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის თანახმად[193], 2020 წლის განმავლობაში არჩევნების პროცესში ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებისთვის ან მუქარისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2 პირი იქნა შესახლებული.[194]

საქართველოს სისხლის სამართლის სტატისტიკის 2020 წლის ოქტომბრის მონაცემებით, იმავე დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის დევნა ორი პირის მიმართ დაიწყო, ხოლო ასევე ორი პირი დაზარალებულად იქნა ცნობილი.[195]

2021 წლის მარტის თვის სტატისტიკის თანახმად კი იმავე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა ერთი პირის მიმართ დაიწყო.[196]

სამწუხაროდ, საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ ტიპის საჯარო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია.

ჩვენი წერილობითი მიმართვის საპასუხოდ, საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მივიღეთ ინფორმაცია,[197] რომლის თანახმად, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებმა შეისწავლეს 24 შესაძლო დანაშაულის შემთხვევა, შესწავლის შედეგად დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა. იმავე წერილობითი პასუხის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ.[198] გამოძიება შეწყდა 20 საქმეზე, მათ შორის, 18 საქმეზე - სისხლის სამართლის კანონით გათვალსიწინებული ქმედების არარსებობის გამო, ხოლო 2 საქმეზე - 2021 წლის 11 იანვრის ამნიისტიის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანარიშის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატმა, წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ ათეულობით ძალადობრივ შემთხვევასთან დაკავშირებით, მათი რეაგირების შესწავლის მიზნით, სამართალდამცავ უწყებებს მიმართა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია 28 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო 8 სისხლის სამართლის საქმეში კონკრეტულ პირებს ბრალი წარედგინათ. 1 საქმეში ბრალდებული პირი ცნობილი იქნა დამნაშავედ; 6 შემთხვევაში მიმდინარეობს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა; 5 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, 2

---

[193] https://info.police.ge/page?id=337&parent_id=233.

[194] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162¹-ე მუხლი - „კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა“.

[195] https://www.geostat.ge/media/35030/Report_oqtomberi-2020.pdf.

[196] https://info.police.ge/page?id=337&parent_id=233.

[197] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი N13/51623, 24 აგვისტო 2021 წელი.

[198] სსკ-ის 126-ე მუხლის (ძალადობა) პირველი ნაწილით - 7 პირის მიმართ; სსკ-ის 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება) პირველი ნაწილით - 2 პირის მიმართ; სსკ ის 154-ე მუხლის (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 პირის მიმართ; სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) - 1 პირის მიმართ; 162¹ მუხლის (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე,ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა) პირველი ნაწილით - 3 პირის მიმართ; სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით -1 პირის მიმართ, სსკ-ის 118-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მე-3 ნაწილით - 1 პირის მიმართ და სსკ-ის 126- ე მუხლის პირველი ნაწილით და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 პირის მიმართ.

სისხლის სამართლის საქმე კი შეწყდა.[199] ანგარიშის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი 343 საჩივრიდან მხოლოდ 8 სრულად, ხოლო 1 - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 153 არ დაკმაყოფილდა, 94 საერთოდ არ იქნა განხილული, 7 შესაბამის ორგანოებს გადაეგზავნა რეაგირებისთვის და 80 კვლავ განხილვის პროცესშია.[200] *"საარჩევნო სუბიექტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ საჩივრის ოფიციალურად დარეგისტრირებას აზრი ეკარგება, როცა საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოების და პოლიციის მიუკერძოებლობა სათუოა."*[201]

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ, რომლის მანდატს საჯარო მოხელეების მხრიდან არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების აღკვეთა და მათზე რეაგირება წარმოადგენს, 22 ოქტომბრამდე 500 ასეთი შესაძლო შემთხვევა შეისწავლა და 48 მისი მანდატის ქვეშ აღმოჩნდა. აქედან 17 ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებას უკავშირდებოდა, 10 - შესაძლო ძალადობას, 5 - შესაძლო ხმის მოსყიდვას და 16 - სხვა შესაძლო დარღვევებს. ორ შემთხვევაში უწყებათაშორისმა კომისიამ დარღვევა დაადგინა, ხოლო 5 კვლავ მოკლევის ეტაპზეა. ასევე, უწყებათაშორისმა კომისიამ რამდენიმე რეკომენდაცია გამოსცა, მათ შორის ერთი საჯარო მოხელეებს მოუწოდებდა არ ჩართულიყვნენ პოლიტიკურ კამპანიებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ხოლო პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებისთვის განკუთვნილი რეკომენდაცია მოწინააღმდეგეთა კამპანიებისთვის ხელის არშეშლას და ძალადობრივი ქმედებებისგან თავის შეკავებას ითვალისწინებდა."[202]

### 5.3.3 ჩაღრმავებული ინტერვიუების მიგნებები

როგორც უკვე აღინიშნა, 2020 წლის არჩევნებზე ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების/არაფორმალური ჯგუფების მასშტაბური ჩარევა დაფიქსირდა. შესაბამისად, 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, ანალოგიური ჩარევის პრევენციისა და კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალადობისა და ზეწოლის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. კვლევის რესპონდენტები აცხადებენ, რომ თითქმის ყველა ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით მათ ინფორმაცია მიაწოდეს სამართალდამცავ ორგანოებს. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციელები თავად შეესწრნენ ე.წ. კრიმინალური ჯგუფების თუ უბნის ავტორიტეტების მხრიდან მოქალაქეებსა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, თუმცა ზოგჯერ საფუძველს მოკლებული ფორმალური მიზეზით (განცხადების დაწერის აუცილებლობა), ზოგჯერ კი სხვა გაურკვეველი საბაბით, აღნიშნულ ფაქტებზე რეაგირებას არ ახდენდნენ. 2020 წლის საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას, ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი ტელევიზიით გადაიცა, ნაწილი კი სოციალური ქსელების მეშვეობით გაშუქდა, თუმცა, უმეტეს მათგანზე გამოძიება მხოლოდ ფორმალურად დაიწყო და ძირითადად

---

[199] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, გვ.321-322.
[200] იქვე.
[201] იქვე.
[202] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, გვ. 11-12.

დაზარალებულის გამოკითხვით შემოიფარგლა. იყო ინცინდენტები, როდესაც პირიქით დაზარალებულები დააკავეს ადმინისტრაციული წესით, მაშინ, როდესაც ისინი დაჟინებით ითხოვდნენ მომხდარ ძალადობაზე რეაგირებას. ცალკეულ შემთხვევებში, მოძალადეებმა მხოლოდ მცირე ჯარიმის გადახდით დააღწიეს თავი მართლმსაჯულებას.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების ნაწილი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო წინასაარჩევნოდ კრიმინალურ ავტორიტეტებთან თანამშრომლობს და ამის დასტურად მოჰყავთ ფაქტები, როდესაც საარჩევნო უბნის გარშემო მობილიზებულ ავტორიტეტებთან საკვები ქართულ ოცნებასთან აფილირებულ სპორტსმენებს, ცნობად სახეებს ან ოცნების აქტივისტებს მოჰქონდათ, მათთან აქტიურ კონტაქტსა და განხილვაში შედიოდნენ და არჩევნების დღეს ფაქტობრივად ერთად მოქმედებდნენ. რესპონდენტების ნაწილმა განაცხადა, რომ ხელისუფლება თავად ახალისებს არაფორმალურ აქტივს ამგვარი ქმედებისკენ., სწორედ ამიტომ, ამ ტიპის ფაქტებზე არანაირი სამართლებრივი რეაგირება არ მოხდება. შესაბამისად, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე უშუალოდ არჩევნების დღესაც, მათი უსაფრთხოება დაცული არ არის და ვერც იქნება, სანამ ხელისუფლება შესაბამის პოლიტიკურ ნებას არ გამოავლენს.

> სადამკვირვებლო ორგანიზაცია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი: *„მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მიგვეღო ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოებისგან დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით, ასეთი დეტალური ინფორმაცია არ გვაქვს. გვაქვს ზოგადი სტატისტიკა და უმრავლესობა არის მიმდინარე“.*
>
> პოლიტიკური პარტია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წარმომადგენელი: *„განსაკუთრებით ახალგაზრდებში ამ ფაქტორმა იმუშავა. ბევრი ადამიანი, რომელიც ხედავდა, რომ საარჩევნო უბანთან ინციდენტებს ჰქონდა ადგილი, დავინახე ბევრი ადამიანი, რომელიც უბრალოდ გაბრუნდა და საერთოდ სკოლის ეზოში არც კი შემოსულა. იმათი მხრიდან, როდესაც ხედავ შენ, რომ გინებას, შეურაცხყოფას არანაირი რეაგირება არ მოჰყვება და ერთ პატარა მოწოდებაზე, რომ შეწყვიტო, შეიძლება შენ დაგაკავონ, პრაქტიკულად ამის პრევენცია არის წარმოუდგენელი. ფორმალურად საქმე აღიძრა და მორჩა, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, იმიტომ, რომ მაგალითი ჰქონდათ იმ ძველ ბიჭებს, რომ ამის გამო არავინ არ დასჯიდა.“*
>
> პოლიტიკური პარტია “ელენე ხოშტარია - დროას” წარმომადგენელი: *„პოლიცია იქ იყო, დაახლოებით 20 მეტრში, რამდენიმე მანქანა იდგა პოლიციის, მთლიან ინციდენტს ვიღებდი ვიდეოზე და მერე სოც. ქსელშიც დავდე. ვეძახე პოლიციელს, მოდით, ისინი საერთოდ არ რეაგირებდნენ. ორჯერ დავუძახე, თუ არ ვცდები და ისინი გულზე ხელდაკრეფილები იდგნენ.“*
>
> პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი #1: *„ბევრჯერ გვინახავს კადრებში, როდესაც კრიმინალი დასაკავებელია და ჩხუბი რომ არის და ყველა პოლიციელი რომ რეკავს და ათანხმებს, დაიჭიროს თუ არა. ანუ ეს ადამიანი თავისუფლად ვერ მოქმედებს მისი ვალდებულებების შესასრულებლად.“*
>
> პოლიტიკური პარტია “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის” წარმომადგენელი #2: *„ფორმალური გამოძიებები იყო ხოლმე და მაქსიმუმი 100 ლარიანი ჯარიმა. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოძიებაც არ დაუწყიათ საერთოდ.“*

**პოლიტიკური პარტია "ლელოს" წარმომადგენელი**: *"მე რამდენჯერაც მივედი პოლიციაში და ვუთხარი, რომ ან მოდით ან იქვე გამოვიძახე პატრული, ასე მიპასუხეს, რომ ჩვენი მოვალეობა ეს არ არის, ჩვენ ეხლა დავაკვირდებით, რომ ეს არაფერი არ მოხდეს, მიმართეთ სასამართლოს. ხელისუფლების* შექმნილია და როგორ იმოქმედებს ამის თავიდან ასაცილებლად."